

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგი



ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი, 2014 წელი

ანგარიშის ავტორი: მარი ცუცქერიძე

რედაქტორი: ალექო ცქიტიშვილი



2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მონიტორინგის პროექტი დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა, არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

სარჩევი

შესავალი	4
წინასაარჩევნო პერიოდი.....	5
• პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია.....	5
• მედიის მუშაობა წინასაარჩევნო პერიოდში	7
• საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა	13
• ამომრჩეველთა სიები.....	18
• წინასაარჩევნო აგიტაცია და საარჩევნო მიზნით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.....	20
• ძალისმიერი რესურსები	20
• სამართლებრივი რესურსები.....	25
• ინსტიტუციური რესურსები	26
• ფინანსური რესურსები.....	31
• შემოწირულობა	34
• წინასაარჩევნო კვლევები.....	36
• უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა.....	38
• სხვადასხვა დარღვევები.....	39
საარჩევნო დღის შეფასება.....	39
• ზოგადი მიმოხილვა.....	39
• დარღვევები	41
არჩევნების შემდგომი პერიოდი.....	62
დასკვნა.....	69
რეკომენდაციები.....	70

შესავალი

2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი იყო, რადგან ამ თარიღს უკავშირდებოდა საკონსტიტუციო ცვლილებების ძალაში შესვლა, რომლის მიხედვითაც ქვეყანაში შეიცვალა ძალთა ბალანსი ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის და შემცირდა პრეზიდენტის უფლებამოსილება.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების სამართლიანად ჩატარება მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლებისათვის და ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ადგილობრივ თვითმმართველობებში განვითარებული მოვლენებისა და რამდენიმე ყოფილი მაღალჩინოსნის დაპატიმრების ფონზე, რასაც ოპოზიციის მხრიდან პოლიტიკური დევნის შესახებ ბრალდებები მოჰყვა, ახალი ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი იყო, დაემტკიცებინა, რომ არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარების პოლიტიკური ნება ჰქონდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიზანი გახლდათ საარჩევნო პროცესების მონიტორინგი და არჩევნების დღის შეფასება. პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის კოორდინატორ-ჟურნალისტები და სტაჟიორ-ჟურნალისტები საქართველოს 6 რეგიონში (იმერეთი, კახეთი, აჭარა, გურია, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი) აკვირდებოდნენ როგორც წინასაარჩევნო პერიოდს, ასევე საარჩევნო დღეს და არჩევნების შემდგომ პერიოდს. მიმდინარე მოვლენების შესახებ მათ მიერ მომზადებულ ინფორმაციებს აქვეყნებდა ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერნეტგამოცემა - www.humanrights.ge.

2013 წლის 30 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაიარა რეგისტრაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციად, რაც დადასტურდა №356/2013 განკარგულებით. ადამიანის უფლებათა ცენტრს მიენიჭა ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის სტატუსი, ყველა დონის შესაბამის საარჩევნო კომისიაში და უფლება მიეცა, დაკვირვებოდა არჩევნებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

წინამდებარე ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ საკითხებზე:

- პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია;
- მედიის მუშაობა წინასაარჩევნო პერიოდში;
- საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა;

- ამომრჩეველთა სიები;
- წინასაარჩევნო აგიტაცია და საარჩევნო მიზნით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება;
- შემოწირულობა;
- წინასაარჩევნო კვლევები;
- უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა;
- საარჩევნო დღის შეფასება;
- არჩევნების შემდგომი პერიოდი.

მონიტორინგი მოიცავს პერიოდს 2013 წლის 1 აგვისტოდან - 2014 წლის 1 მარტამდე.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ამ არჩევნებში იყო გაცილებით ნაკლები დარღვევები, რამაც საარჩევნო გარემო უფრო მშვიდად და კონკურენტულად წარმოაჩინა და არჩევნები უფრო გამჭვირვალე გახდა. თუმცა, კვლავ დაფიქსირდა დარღვევები, რაზეც ყურადღება გამახვილდა ანგარიშში. პროექტის ერთ-ერთი მიზანია მომავალში საარჩევნო პროცესის გაუმჯობესება, რის გამოც ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად, მნიშვნელოვანია, გათვალისწინებულ იქნეს რეკომენდაციები.

წინასაარჩევნო პერიოდი

• პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია

2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები კანდიდატთა სიმრავლით გამოირჩეოდა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციის თხოვნით მიმართა 54 მსურველმა. ცესკომ დააკმაყოფილა 39 განცხადება. მათ შორის დარეგისტრირდა 23 პრეზიდენტობის კანდიდატი, დანარჩენ მსურველებს კი ეთქვათ უარი. იმ პრეზიდენტობის კანდიდატებიდან, რომლებსაც ეთქვათ უარი, გამოსარჩევია რამდენიმე კანდიდატი:

1. პრეზიდენტობის კანდიდატის, სალომე ზურაბიშვილის წარმდგენ საინიციატივო ჯგუფს 3 სექტემბერს ცესკომ უარი უთხრა პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრაციაზე, ორმაგი მოქალაქეობის მოტივით. აღნიშნული განკარგულება სალომე ზურაბიშვილმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოში. საქალაქო სასამართლომ 6 სექტემბერს ძალაში დატოვა ცესკოს გადაწყვეტილება. ზურაბიშვილმა აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება

ზემდგომ ინსტანციაში გაასაჩივრა, მაგრამ მისი საჩივარი სააპელაციო სასამართლომაც არ დააკმაყოფილა და ძალაში დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რითაც ზურაბიშვილს, ორმაგი მოქალაქეობის გამო(საქართველო-საფრანგეთი), 27 ოქტომბრის არჩევნებში პრეზიდენტის თანამდებობაზე კენჭისყრის უფლება არ მიეცა. სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ თავისი უფლებებისთვის ბრძოლას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გააგრძელებს.

2. პრეზიდენტობის კიდევ ერთმა მსურველმა - ზურაბ წიწუაშვილმა განაცხადა, რომ მასაც ორმაგი მოქალაქეობა აქვს (საქართველო-აშშ), მაგრამ მიუხედავად ამისა, ცესკომ უპრობლემოდ გაატარა რეგისტრაციაში, როგორც მისი წარმდგენი საინიციატივო ჯგუფი, ასევე პირადი წარმომადგენელიც. ცესკოს პრესსპიკერმა ეკა აზარაშვილმა საპასუხოდ განმარტა, რომ იმ დროისათვის ზურაბ წიწუაშვილი, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, ჯერ დარეგისტრირებული არ იყო და მხოლოდ საინიციატივო ჯგუფს ჰქონდა ცესკოში გავლილი რეგისტრაცია. საინიციატივო ჯგუფის დარეგისტრირების დროს წარმოდგენილ დოკუმენტაციაში კი არსად ფიქსირდებოდა წიწუაშვილის ორმაგი მოქალაქეობა. მას შემდეგ, რაც წიწუაშვილმა საჯაროდ განაცხადა ორმაგი მოქალაქეობის შესახებ, ცესკომ გადაწყვიტა, შესაბამისი უწყებებიდან გამოეთხოვა დოკუმენტაცია და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება - უარი ეთქვა წიწუაშვილისათვის დარეგისტრირებაზე.

ცესკოს ამგვარი ქმედება კანონმდებლობის დარღვევაა. საქმე გვაქვს ორმაგი სტანდარტის გამოყენებასთან, რადგან სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაში, ცესკომ პირადად მოიძია ინფორმაცია კანდიდატის ორმაგი მოქალაქეობის შესახებ და აღნიშნული საფუძველით პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატის საინიციატივო ჯგუფს უარი უთხრა რეგისტრაციაზე, ხოლო ზურაბ წიწუაშვილის შემთხვევაში, საინიციატივო ჯგუფი გაატარა რეგისტრაციაში, რითაც ფაქტობრივად პრეზიდენტობის კანდიდატს გაუჩნდა ნდობა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, მან დაიწყო ხელმოწერების მოგროვება, შტაბების გახსნა, თანამშრომლების აყვანა, რაც სერიოზულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ცესკომ სწორედ აღნიშნული ხარჯების გაწევის შემდგომ უთხრა უარი წიწუაშვილს პრეზიდენტობის კანდიდატად დარეგისტრირებაზე. ცესკო თავიდანვე არ დაინტერესდა წიწუაშვილის ორმაგი მოქალაქეობის საკითხით, მიუხედავად იმისა, რომ ზურაბ წიწუაშვილმა (როგორც თვითონ აცხადებდა დამკვირვებელ ორგანიზაციებს) ორმაგი მოქალაქეობის შესახებ თავიდანვე განაცხადა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

3. სალომე ზურაბიშვილისა და ზურაბ წიწუაშვილის გარდა, ორმაგი მოქალაქეობის გამო, კიდევ რამდენიმე პოტენციურ პრეზიდენტობის კანდიდატს ეთქვა უარი რეგისტრაციაზე, ასევე ორმაგი მოქალაქეობის საფუძველით, ესენი არიან: ტარიელ ხვედელიძე, გიორგი გახოკია და მერაბ სულიაშვილი.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ კონსტიტუციური ნორმები, ამ მხრივ, ნათლად არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ თუ აღნიშნულ ნორმებს კომპლექსურად გავვეცნობით, ნათელია, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისთვის კანდიდატად დარეგისტრირებაზე უარის თქმა კონსტიტუციის არასწორი ინტერპრეტაციაა. უპირველეს ყოვლისა, უნდა გაიმიჯნოს პრეზიდენტის კანდიდატად დარეგისტრირება და პრეზიდენტობის თანამდებობის დაკავების ცნება. საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის 1¹ პუნქტი, რაზეც ცესკო აპელირებს, განსაზღვრავს, რომ „საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ- მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა“.

აღნიშნული ნორმა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს უკრძალავს საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებას და არა კანდიდატად დარეგისტრირებას. საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლის 2-ე პუნქტის თანახმად, „პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღემდე 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში“. აღნიშნული ნორმა საქართველოს მოქალაქეს უფლებას აძლევს, არჩეულ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობაზე. საქართველოს კონსტიტუციის 71-ე მუხლი განასხვავებს საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების და კანდიდატად დარეგისტრირების ცნებებს, რადგან პრეზიდენტის თანამდებობის ოფიციალურად დაკავება ხდება მის მიერ საპროგრამო სიტყვის წარმოთქმისა და ფიცის დადების შემდეგ (კონსტიტუციის 71-ე მუხლი 1 პუნქტი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, ვინც აკმაყოფილებს კონსტიტუციის 70-ე მუხლის მოთხოვნებს, შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატმა, ხოლო კონსტიტუციის 29-ე მუხლის თანახმად, მას პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების უფლება არა აქვს მანამ, სანამ უარს არ იტყვის უცხო ქვეყნის მოქალაქეობაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულება ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთათვის პრეზიდენტობის კანდიდატად რეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას.

- **მედიის მუშაობა წინასაარჩევნო პერიოდში**

თუკი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ვითარებას შევადარებთ წინა წლებში ჩატარებული არჩევნების მდგომარეობას, სხვაობა დიდია. 2012 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, ხშირი იყო თავდასხმები რეგიონულ ჟურნალისტებზე. 2013 წელს კი ამგვარი წნეხი მინიმუმამდე იყო დაყვანილი. თუმცა,

კვლავ დარჩა რამდენიმე პრობლემა, რაც მიზანშეწონილია, სამომავლოდ გამოსწორდეს. გამოსაყოფია რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც უკავშირდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში მედიის მუშაობას და რასაც შეიძლება საარჩევნო პროცესზე მეტ-ნაკლებად მოეხდინა ზემოქმედება:

1. საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შემდეგ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს, გიორგი ბარათაშვილს სამეურვეო საბჭომ უნდობლობა გამოუცხადა. ეს უნდობლობის გამოცხადების მეორე შემთხვევა იყო. პირველად სამეურვეო საბჭომ მას უნდობლობა გამოუცხადა 2013 წლის 4 მარტს. 29 აპრილს უნდობლობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება სასამართლომ ბათილად ცნო. მეორედ კი გიორგი ბარათაშვილს უნდობლობა გამოუცხადეს 6 სექტემბერს. სამეურვეო საბჭოს სხდომას, სადაც დადგა უნდობლობის გამოცხადების საკითხი, არ ესწრებოდა ორი წევრი - ნინო დანელია და ნატალია დვალი, რომელთაც სხდომაზე, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე, წარმოადგენდნენ საბჭოს ყოფილი წევრი ლევან გახელაძე და მოქმედი წევრი მამუკა ფაჩუაშვილი.

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ ნინო დანელიას და ნატალია დვალის შემთხვევაში არასწორად მოხდა ხმის მიცემა. სამეურვეო საბჭო არ იყო უფლებამოსილი, შვიდი ხმით მიეღო გენერალური დირექტორის უნდობლობის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ხმის მიცემას წარმომადგენლის მეშვეობით. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32¹-ე მუხლის შესაბამისად, სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, „სრული შემადგენლობის უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადოს გენერალურ დირექტორს“. თუმცა, სამეურვეო საბჭო ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და შესაბამისად, გააჩნია სპეციალური უფლებათა უნარიანობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მას არა აქვს უფლება, განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრს არც ერთი ნორმატიული აქტით არა აქვს მინიჭებული უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილებები წარმომადგენლის მეშვეობით. საბჭოს წევრები ვალდებულნი არიან, პირადად განახორციელონ თავისი უფლებამოსილება. მინდობილობის საფუძველზე მოქმედება სამართლებრივ ურთიერთობებში დამახასიათებელია კერძო სამართლის იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის.

2. წინასაარჩევნო პერიოდში პრემიერ მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული ტელეკომპანია „მე-9 არხის“ დახურვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. პრემიერ-მინისტრის ამ გადაწყვეტილებამ არაერთგვაროვანი შეფასებები გამოიწვია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, წინასაარჩევნო პერიოდში იმ სატელევიზიო არხის დახურვა, სადაც თოქ-შოუებსა და საინფორმაციო გადაცემებში პოლიტიკური ხასიათის დისკუსიები სისტემატიურად იმართებოდა, ნეგატიური მოვლენაა, ამომრჩეველთა ინფორმირებისა და პოლიტიკური დისკუსიების მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

3. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს პრემიერ-მინისტრის facebook-ის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“, ბიძინა ივანიშვილმა სააგენტოს თანამშრომლებს აჩუქა.¹

ადამიანის უფლებათა ცენტრს მიაჩნია, რომ „ინფო 9“-ს გადაცემა სააგენტოს თანამშრომლებისათვის დადებით მოვლენად უნდა შეფასდეს იმ ვითარებაში, როცა მისი მესაკუთრე ბიძინა ივანიშვილი აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ პროცესებში და პრაქტიკულად, პირდაპირ შეეძლო ჩარეულიყო მის საკუთრებაში მყოფი სააგენტოს საინფორმაციო პოლიტიკაში. მას შემდეგ, რაც „ინფო 9“ სააგენტოს თანამშრომლებს გადაეცა, ბიძინა ივანიშვილმა იურიდიულად დაკარგა მისი მართვისა და საინფორმაციო პოლიტიკაში ჩარევის უფლება.

4. წინასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივმა ხელისუფლებამ გაზეთ „გურიის მოამბეს“ ორ ოფისს უზურფრუქტის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გაფრთხილება გაუგზავნა, რის გამოც, მედიაორგანიზაციას ერთ თვეში ოფისი უნდა დაეტოვებინა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საკრებულოს გაფრთხილებიდან ნათლად არ ჩანდა, თუ რა განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ საჭიროებასთან გვქონდა საქმე,

¹ ბიძინა ივანიშვილის განცხადებაში აღნიშნულია: „საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ს თანამშრომლებმა საპარლამენტო არჩევნების დროს სამოქალაქო გმირობა გამოიჩინეს. ეს ის ხალხია, ვინც ტელეკამერით დაუპირისპირდა ზონდერბრიგადებს. თითოეული კადრის მოპოვებისთვის ისინი არ ერიდებოდნენ განსაცდელს და სრულიად უნიკალურ კადრებს აწვდიდნენ საზოგადოებას. ჩვენ ყველანი ვაფასებთ საქმისადმი მათ ერთგულებასა და თავდადებას და დღეს, მე არ შემიძლია არ გავითვალისწინო მათი სურვილი, გააგრძელონ საქმიანობა. ამიტომ, მე და ჩემი ოჯახი ვითვალისწინებთ საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-ს მენეჯმენტის თხოვნას და თანხმობას ვაცხადებთ, ჩვენს საკუთრებაში არსებული საინფორმაციო სააგენტოს არამატერიალური ქონება - ბრენდი, სახელი - „ინფო 9“, ვებმისამართი და არქივით სარგებლობის უფლება გადაეცეს „ინფო 9“ მენეჯმენტს. რაც შეეხება სააგენტოსთვის აპარატურას, მცირე ნაწილის განვადებით და გამოსყიდვის უფლებით გადავცემთ, როგორც ამას მენეჯმენტი ითვალისწინებს, ასევე ჩვენ გადავწყვიტეთ ვაჩუქოთ ის აპარატურა, რომელიც პირველ ეტაპზე საჭიროა სააგენტოს ფუნქციონირებისთვის. წარმატებებს ვუსურვებთ „ინფო 9“-ს“.

რაც ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველია. გამომდინარე იქიდან, რომ საკითხი წინასაარჩევნო პერიოდში ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიასაშუალებების საქმიანობის შეზღუდვას ეხებოდა, მნიშვნელოვანი იყო, საკრებულოს წარმოედგინა დამაჯერებელი დასაბუთება, თუ რა განსაკუთრებული სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე შეუწყვიტა „გურიის მოამბეს“ უზურფრუქტის ხელშეკრულება. საკრებულოს არ წარმოუდგენია არანაირი დასაბუთება, რის გამოც შეგვიძლია, ვთქვათ, რომ საქმე გვაქვს ხელისუფლების მხრიდან არასასურველი მედიასაშუალებების საქმიანობის ხელშეშლასთან.

5. სატელევიზიო სივრცეში პრეზიდენტობის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე, სხვა კანდიდატებთან შედარებით, არათანაბარ პირობებში იმყოფებოდა. ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ 26 სექტემბერს არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრაზე განაცხადა. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ 19 სექტემბერს წერილით მიმართა პარლამენტის თავმჯდომარეს და საპარლამენტო უმრავლესობას, საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის სატელევიზიო სივრცეში შექმნილი უსამართლო და არათანაბარი პირობების გამოსწორების მოთხოვნით. წერილს არანაირი გამოხმაურება არ მოჰყოლია. ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურმა ორგანიზაციამ - სახალხო კრებამ მიმართა უფლებადამცველ ორგანიზაციებსაც, რათა მოეხდინათ შესაბამისი რეაგირება აღნიშნულთან დაკავშირებით. როგორც ნინო ბურჯანაძე განმარტავდა, 2013 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული ბოლო 5 კვლევის შედეგად მას ამომრჩეველთა 4 %-ზე მეტის მხარდაჭერა ჰქონდა და შესაბამისად, ის საზოგადოებრივ მაუწყებელს კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად უნდა ეღიარებინა და დაეთმო მისთვის უფასო საეთერო დრო.

ანალოგიური მოთხოვნა ნინო ბურჯანაძის წარმომადგენელმა დააყენა უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზეც, რის შემდეგაც კომისიამ შეიმუშავა რეკომენდაცია საზოგადოებრივი მაუწყებლისა და აჭარის ტელევიზიისათვის, ნინო ბურჯანაძე ეღიარებინათ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად, რათა მას მისცემოდა შესაძლებლობა, ესარგებლა უფასო საეთერო დროით. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გაითვალისწინა საზოგადოებრივი კვლევის შედეგები და უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაცია და ნინო ბურჯანაძის მოთხოვნა დააკმაყოფილა. მას მიეცა უფლება, განეთავსებინა უფასო პოლიტიკური რეკლამა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში.

საქართველოს ორგანული კანონის საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, „წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების გადაცემებისა და არჩევნების გაშუქების დროს მაუწყებელმა უნდა დაიცვას მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის პრინციპი“. „საარჩევნო კოდექსის“ 51-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, „მაუწყებელი

უფლებამოსილია, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად აღიაროს პოლიტიკური პარტია, რომელიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული, ამ მუხლით დადგენილი პირობების შესაბამისი საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, არჩევნების წელს ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვის ან არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგების შესაბამისად, სარგებლობს ამომრჩეველთა არანაკლებ 4 პროცენტის მხარდაჭერით. დაუშვებელია მაუწყებლის მიერ სოციალური კვლევის შედეგების დისკრიმინაციული გამოყენება“.

6. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ცესკოს იმ დადგენილების გაუქმება მოითხოვეს, რომელიც ჟურნალისტებს საარჩევნო უბანზე პროფესიული საქმიანობის შეზღუდვებს უწესებდა. როგორც ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტი ნინო ბოლაშვილი აცხადებდა, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების დღეს, საარჩევნო უბანზე მხოლოდ 3 წუთი უშვებდნენ კადრების გადასაღებად და ამის შემდეგ ჟურნალისტებს აღარ აძლევდნენ საარჩევნო პროცესების გაშუქების საშუალებას². რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი გოგა აფციაურიც მიიჩნევდა, რომ ცესკოს აღნიშნული დაგენილება ჟურნალისტებს პროფესიულ საქმიანობაში შეზღუდვებს უწესებდა და მის გაუქმებას ითხოვდა³. საიას გორის ოფისის თავმჯდომარე, ქეთევან ბებიაშვილის განმარტავდა, რომ გასული წლის 1 ოქტომბერს ჟურნალისტების ხელის შეშლის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა. ასევე, საარჩევნო უბნებზე იყო შეზღუდვები მედიის წარმომადგენლების შემვებასთან დაკავშირებით.

ცესკომ გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების მიმართვა და დაადგინა, რომ საარჩევნო უბნებზე მიმდინარე პროცესები ყოფილიყო ღია და ჟურნალისტებს ჰქონოდათ უფლება, თავისუფლად გაეშუქებინათ საარჩევნო პროცესები. ცესკომ 16 ოქტომბერს გამართულ სხდომაზე განიხილა საკითხი, რომელიც კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნებზე ფოტო-ვიდეო გადაღების პროცედურებს არეგულირებდა და №42/2012 დადგენილებით, შესაბამის დადგენილებაში შეიტანა ცვლილება. კომისიამ ასევე გადაწყვიტა, გაეუქმებინა დადგენილების რეგულაცია, რომლის მიხედვითაც კენჭისყრის შენობის დატოვების

² „იყო შემთხვევები, როდესაც საარჩევნო უბანზე არ შეგვიშვეს. კომისიის თავმჯდომარემ გვითხრა, თქვენი წარმომადგენლები უკვე იყვნენ მოსულებიო. როდესაც მოვითხოვე, ეჩვენებინათ დოკუმენტი, სადაც იქნებოდა ჩატარებული ჩვენი კოლეგების უბანზე ყოფნა, ვერ მაჩვენეს, მაგრამ არც უბანზე შემიშვეს“, - განაცხადა „თრიალეთის“ ჟურნალისტმა ნინო ბოლაშვილმა.

³ „გასულ წელს ოქტომბრის არჩევნებისას, ჟურნალისტები ძალიან აღშფოთებული იყვნენ აღნიშნული დადგენილების გამო, რადგან საარჩევნო უბანზე მუშაობისას ოპერატორს გადაადგილების უფლება არ ჰქონდა. თუ დატოვებდი საარჩევნო უბანს, უკან შებრუნების საშუალებას აღარ გაძლევდნენ და შესაბამისად, ეს იყო სერიოზული შეზღუდვა. მაშინაც და ახლაც ჩვენ ვითხოვთ, რომ გაუქმდეს ეს დადგენილება და უბანზე მუშაობისთვის მხოლოდ აკრედიტაცია იყოს საჭირო, ეს მოხსნის ბევრ კითხვას არჩევნების სამართლიანად ჩატარებასთან დაკავშირებით“, - განაცხადა რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტმა გოგა აფციაურმა.

შემთხვევაში, უფლებამოსილი პირი დაკარგავდა შენობაში დაბრუნების უფლებას (მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი). მისასალმებელია ცესკოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან ამგვარი ახალი რეგულაციით უფრო მეტად არის უზრუნველყოფილი არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარება.

7. 2013 წლის 22 ოქტომბერს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და „მემო 98“-ის მიერ, ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა 6 სატელევიზიო არხის (საზოგადოებრივი მაუწყებლის, „რუსთავი 2“-ის, „იმედის“, „მაესტროს“, „კავკასიისა“ და ტელეკომპანია „აჭარას“) მედიამონიტორინგი. შუალედური ანგარიშის შედეგების მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატს, დავით ბაქრაძეს „პირველი არხი“, „რუსთავი 2“ და „იმედი“ სხვა პრეზიდენტობის კანდიდატებთან შედარებით უფრო მეტ დროს უთმობდნენ. პრეზიდენტობის კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს კი მეტ საეთერო დროს უთმობდნენ - ტელეკომპანია „მაესტრო“ და „აჭარის“ ტელევიზია. 1 ოქტომბრიდან „პირველ არხზე“ ახალი პოლიტიკური ტოქ-შოუ დაიწყო, რომლის ბოლო ბლოკი პრეზიდენტობის კანდიდატებს ეთმობოდათ. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე გადიოდა ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქ-შოუ - „არჩევნები“ და „პოზიცია“. ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში ასევე ორი პოლიტიკური შოუ გადიოდა - „პოლიტიკის დრო“ და „ღია ეთერი“. ტელეკომპანია „მაესტროს“ არხზე სამი პოლიტიკური ტოქ-შოუ - „სუბიექტური აზრი“, „არგუმენტები“ და „პოლიტმეტრი“ გადიოდა. ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში კი - ოთხი თოქ-შოუ - „სპექტრი“, „ცხელი ხაზი“, „ბარიერი“ და „არჩევნები 2013“.

8. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განაცხადა, რომ 17-18 ოქტომბერს სატელევიზიო დებატებში უმასპინძლებდა პრეზიდენტობის კანდიდატებს. მაუწყებლის მიერ 9 ოქტომბერს გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ „დებატებში მონაწილეობას მიიღებდნენ მხოლოდ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები“, ანუ ის კანდიდატები, რომლებიც საბიუჯეტო დაფინანსების მქონე პარტიებმა წარადგინეს. ამასთან, საზოგადოებრივი მაუწყებელი მზადყოფნას გამოთქვამდა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტად ელიარებიანა ის კანდიდატი, რომელიც 12 ოქტომბრამდე წარუდგენდა დოკუმენტაციას, რომ არჩევნების წელს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული არანაკლებ 5 გამოკითხვისა ან არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში ჩატარებული კვლევის შედეგების შესაბამისად, სარგებლობდა ამომრჩეველთა არანაკლებ 4%-ის მხარდაჭერით. პრეზიდენტობის 23 დარეგისტრირებულ კანდიდატს შორის მხოლოდ შვიდი იყო მიჩნეული კვალიფიციურ სუბიექტად: გიორგი მარგველაშვილი - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“; დავით ბაქრაძე - „ნაციონალური მოძრაობა“; გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა; კობა დავითაშვილი - ხალხის პარტია; ზურაბ ხარატიშვილი - საქართველოს ევროპელი დემოკრატები; სერგო ჯავახიძე - სამართლიანი საქართველოსთვის; თეიმურაზ მყავია - ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია.

9. 10 სექტემბერს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ექვსი პოლიტიკური შინაარსის ვიდეორგოლის ეთერში განთავსებაზე იმ მიზეზით უთხრა უარი, რომ ეს ვიდეომასალა წინასაარჩევნო რეკლამის მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა. უფრო ზუსტად, საუბარი იყო იმაზე, რომ ვიდეორგოლებში არსად ჩანდა რეკლამის დამკვეთი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის უარი საფუძვლიანია, რადგან როდესაც პოლიტიკურ რეკლამაში არ ჩანს რეკლამის დამკვეთი სიბიექტი, შეუძლებელია, ზუსტად დადგინდეს, რომელი საარჩევნო სუბიექტის მიერ არის დაკვეთილი კონკრეტული რეკლამა. ეს კი ეწინააღმდეგება გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპს, რაც წინასაარჩევნოდ მნიშვნელოვანია ამომრჩევლისათვის. პოლიტიკურ რეკლამაში გარკვევით უნდა ჩანდეს, თუ ვინ არის რეკლამის დამკვეთი. აღნიშნული წესი უნდა გავრცელდეს ისეთ რეკლამებზეც, რომლებიც ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩენენ სხვა პოლიტიკურ სუბიექტს.

აღსანიშნავია, რომ სრულყოფილად არ არის ჩამოყალიბებული საარჩევნო კოდექსის მე-2 მუხლის „ჯ“ პუნქტი, სადაც ნათქვამია: „პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა - მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში (შემდგომ - მედია) გასული ისეთი შინაარსის რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საარჩევნო სუბიექტის არჩევისთვის ხელის შეწყობას/ხელის შეშლას, რომელშიც ნაჩვენებია საარჩევნო სუბიექტი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, ან მოწოდებას სარეფერენდუმოდ/საპლემბისციტოდ გამოტანილი საკითხის გადაწყვეტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ“. ადამიანის უფლებათა ცენტრს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საჭიროა ამ მუხლში ცვლილების შეტანა. კერძოდ, მუხლში უნდა დაკონკრეტდეს, რომ აუცილებელია, რეკლამაში იყოს მითითებული რეკლამის დამკვეთი სუბიექტი. მართალია, ამჟამინდელ ვარიანტში, ზოგადად, მოიაზრება, რომ რეკლამაში უნდა იყოს მითითებული რეკლამის დამკვეთი საარჩევნო სუბიექტი ან სუბიექტის არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი, მაგრამ იმის გამო, რომ არ არის დაკონკრეტებული სიტყვა „დამკვეთი“, პრაქტიკაში წარმოიშვა პრობლემა. სავარაუდოდ, მუხლში სწორედ დამკვეთი სუბიექტი ივარაუდება, მაგრამ მართებულად მიგვაჩნია, მუხლში ყოველგვარი ბუნდოვანება აღმოიხვრას.

• საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობა

1. 12 აგვისტოს ცესკოს თავმჯდომარემ, ზურაბ ხარატიშვილმა გადადგომის შესახებ განცხადება გაავრცელა. პარლამენტს ეს განცხადება ოფიციალურად 14 აგვისტოს წარედგინა. ხარატიშვილმა თანამდებობიდან წასვლის მიზეზად

პოლიტიკაში წასვლა დაასახელა. მას უფლებამოსილება ოფიციალურად 29 აგვისტოს შეუწყდა.

2. 11-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ცესკოს თავმჯდომარის კანდიდატად თამარ ჟვანია დაასახელა და კანონმდებლობის შესაბამისად, წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტს⁴. საქართველოს პრეზიდენტმა, 9 სექტემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე სამი კანდიდატურა წარადგინა: თამარ ჟვანია, მანუჩარ გამყრელიძე და კონსტანტინე ამირაჯიბი.

ზურაბ ხარატიშვილის მოულოდნელი გადადგომა ცესკოს თავმჯდომარეობიდან ადამიანის უფლებათა ცენტრმა უარყოფითად შეაფასა. მართალია, მოქმედი კანონმდებლობა მსგავსი ქმედების განხორციელებას მას არ უკრძალავდა, მაგრამ მეორე მხრივ, არჩევნების დანიშვნის შემდეგ ცესკოს თავმჯდომარის მოულოდნელი გადადგომა არ არის მისასალმებელი, რადგან მისმა გადაწყვეტილებამ საგრძნობლად შეაფერხა ცესკოს მუშაობა.

რაც შეეხება ახალი თავმჯდომარის დანიშვნას, საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს მე-15-ე დღისა პრეზიდენტი სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციების შემდეგ, თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკო-ს სამ კანდიდატურას წარუდგენს. ცესკო-ში პარტიების მიერ დანიშნული წევრები (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა) თავმჯდომარეს 5 დღის ვადაში ირჩევენ. თუ ზემოაღნიშნული წესით ცენტრალური საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, იმავე კანდიდატურებიდან ცესკო-ს თავმჯდომარეს შვიდი დღის ვადაში საქართველოს პარლამენტი ირჩევს. მოცემულ შემთხვევაში არასამთავრობო სექტორის მიერ დასახელებულმა კანდიდატმა გაიმარჯვა. თამარ ჟვანია მანამდე გაეროს განვითარების პროგრამის საარჩევნო დახმარების პროექტს ხელმძღვანელობდა. კომისიის წევრებმა გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს. პრეზიდენტის ამგვარი გადაწყვეტილება დადებითად უნდა შეფასდეს, მით უფრო, რომ წინა არჩევნებში ამომრჩეველს არ ახსოვს მსგავსი პრეცედენტი - ცესკოს თავმჯდომარედ არჩეულიყო სამოქალაქო სექტორის მიერ დასახელებული კანდიდატი.

2. ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მიმართა და საარჩევნო ადმინისტრაციების უბნების დონეზე ფორმირების პროცესით დაინტერესებისკენ მოუწოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით „ახალმა მემარჯვენეებმა“, „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, „თავისუფალმა საქართველომ“, „ქართულმა დასმა“ და „ქრისტიან დემოკრატიულმა მოძრაობამ“ ერთობლივი

⁴<http://www.netgazeti.ge/GE/105/News/22787/>

განცხადება გაავრცელეს. პარტიები მიიჩნევდნენ, რომ ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე ვერ აკონტროლებდა ქვედა დონის კომისიებში მიმდინარე პარტიული ზეგავლენის მექანიზმებს. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები პირდაპირ ერეოდნენ საუბნო-საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებაში. „მისაღები“ კანდიდატურების მოძიება იმის მიხედვით ხდებოდა, „ნაციონალური მოძრაობა“ აკონტროლებდა თვითმმართველობას, თუ „ქართული ოცნება“. პარტიების განცხადებით, „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ ერთობლივად ჰქონდათ გადაწყვეტილი ადგილობრივი საარჩევნო კომისიების სრული კონტროლი საუბნო-საარჩევნო კომისიის არაპარტიული წევრების ჩათვლით. აღნიშნულმა პარტიებმა მიმართეს საერთაშორისო და ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს და მოითხოვეს, რომ ისინი დაინტერესებულიყვნენ საარჩევნო ადმინისტრაციის უბნების დონეზე ფორმირების პროცესით.

3. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რიგითი ნომრები წილისყრით 3 ოქტომბერს განსაზღვრა. ცესკო-ს ინფორმაციით, რამდენიმე პრეზიდენტობის კანდიდატმა პირადად მიიღო წილისყრაში მონაწილეობა და საკუთარი რიგითი ნომერი თავადვე გამოავლინეს. რიგითი ნომრების განსაზღვრის პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ „ნაციონალური მოძრაობის“, „ქართული ოცნების“ და „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ კანდიდატებს. მათ ისარგებლეს კანონით მინიჭებული უფლებით და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, 2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას საუკეთესო შედეგის მქონე მათი წარმდგენი პოლიტიკური პარტიების რიგითი ნომრები შეინარჩუნეს. შესაბამისად, დავით ბაქრაძეს საარჩევნო ნომერი - 5, გიორგი მარგველაშვილს - 41, გიორგი თარგამაძეს - 10 ნომერი განესაზღვრათ. რაც შეეხებოდა დანარჩენ კანდიდატებს, რიგითი ნომრები შემდეგნაირად განესაზღვრათ: მიხეილ სალუაშვილი - 16, შალვა ნათელაშვილი - 9, ნესტან კირთაძე - 12, გიორგი ლილუაშვილი - 2, სერგო ჯავახიძე - 3, ნინო ბურჯანაძე - 14, ლევან ჩაჩუა - 11, ავთანდილ მარგიანი - 19, კობა დავითაშვილი - 4, ნუგზარ ავალიანი - 20, ზურაბ ხარატიშვილი - 15, თეიმურაზ მუავია - 22, გიორგი ჩიხლაძე - 13, თეიმურაზ ბობოხიძე - 8, აკაკი ასათიანი - 6, ნინო ჭანიშვილი - 7, ქართლოს ღარიბაშვილი - 17, მამუკა ჭოხონელიძე - 18, თამაზ ბიბილური - 1, მამუკა მელიქიშვილი - 21.

4. ცესკოს და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ინიციატივით, ჩატარდა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსი. შეხვედრას ესწრებოდა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელიც. დამსწრე პირებს ეცნოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის

არჩევნებში ხმის უფლება ექნებოდა სულ 1747 ბრალდებულს და მსჯავრდებულს, მათგან არჩევნებში მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადა 197-მა. ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების უმეტესობის უარი გამომდინარეობდა იქედან, რომ მათ არ ჰქონდათ პირადობის მოწმობები და უარს აცხადებდნენ ახალი მოწმობის აღებაზე. სულ გამონაკლის შემთხვევაში, შეიქმნა 34 საარჩევნო უბანი 34, აქედან 10 სასჯელადსრულების დაწესებულებაში გაიხსნა.⁵

5. 7 ოქტომბერს ცესკომ სასჯელადსრულების დეპარტამენტის, სახალხო დამცველის ოფისის, ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართა შეხვედრა. შეხვედრაზე განიხილებოდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის, შემადგენლობისა და მისი უფლებამოსილების საკითხები. შეხვედრაზე საუბარი იყო საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნის შესრულებაზე, რომლის მიხედვითაც, საპატიმრო დაწესებულებებში უნდა განთავსებულიყო სააგიტაციო მასალები და მომხდარიყო პატიმრების ინფორმირება. ამ მიზნით შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფები, რომლებსაც დაევალა, გაეკონტროლებინათ სააგიტაციო მასალების განთავსებისა და შესაბამისი საინფორმაციო კამპანიის კანონშესაბამისად წარმართვა სასჯელადსრულების დაწესებულებებში. ამ მონიტორინგის ჯგუფში ჩართული იყო ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელი, თამარ ლუკავა, რომელიც ახორციელებდა მონიტორინგს ქუთაისის №2 სად-ის დაწესებულებაში, რომელშიც გაიხსნა № 58 საარჩევნო უბანი და სად-ის № 14 დაწესებულებაში (გეგუთი), რომელშიც გაიხსნა № 59 საარჩევნო უბანი.

6. ცესკომ ბიულეტენების ბეჭდვა დაიწყო 21 ოქტომბერს. ბიულეტენები 10 სტამბაში იბეჭდებოდა. 3,348,900 ბიულეტენის ბეჭდვის პროცესს, რომელიც რამდენიმე დღე გრძელდებოდა ცესკოს წევრებთან ერთად, შემდეგი 8 არასამთავრობო ორგანიზაციის დამკვირვებლები აკვირდებოდნენ:

ადამიანის უფლებათა ცენტრი;
განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი;
ასოციაცია საქართველოს იდეალისტები ერთად ერთობისთვის;
ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისთვის;
საარჩევნო გარემოს განვითარების ცენტრი;
ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისთვის;
საქართველოს ახალგაზრდობის განვითარების კავშირი;
კავშირი თემი და თვითმმართველობა.

⁵ <http://cec.gov.ge/uploads/other/18/18930.pdf>

ბიულეტენები ასევე იბეჭდებოდა ეთნიკური უმცირესობების (სომხურ-ქართული, აზერბაიჯანულ-ქართული, ქართულ-აზერბაიჯანულ-სომხური) ენებზე. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინიციატივით, უსინათლო ამომრჩევლებისთვის დაიბეჭდა საარჩევნო ბიულეტენის შესავსები ჩარჩო/ფორმა, რომლის საშუალებითაც ამომრჩეველი დამოუკიდებლად მიიღებდა კენჭისყრაში მონაწილეობას. ფორმის გამოყენებას შეძლებდა როგორც ბრაილის შრიფტის მცოდნე, ისე ის უსინათლო ამომრჩეველი, რომელიც ვერ კითხულობდა ბრაილს. პროექტი საქართველოს მასშტაბით 2013 წელს პირველად განხორციელდა.

7. ISAF-ის მისიაში მონაწილე ქართველმა სამხედროებმა საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი არჩევანი 21 ოქტომბერს გააკეთეს. ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტისთვის სპეციალური საარჩევნო უბნების მოწყობა საქართველოს ცესკომ თავდაცვის სამინისტროს ხელშეწყობით უზრუნველყო. ქართველმა სამხედრო მოსამსახურებმა ხმა ორ საარჩევნო უბანზე - „ლეზერნიკსა“ და „ერედვზე“ მისცეს. საარჩევნო უბნების გარდა, არსებობდა ორი გადასატანი ყუთი. მათი გადატანა, საარჩევნო კოდექსის თანახმად, დროულად მოხდა ბაზების - „ფაიზელისა“ და „პალაციოს“ მიმართულებით. გადაადგილება განხორციელდა ჯავშანმანქანა MRAP-ისგან შემდგარი კონვოით. ამერიკელი პარტნიორების მხარდაჭერით, კოლონის უსაფრთხოებას ჰაერიდან საბრძოლო ვერტმფრენები იცავდნენ. საარჩევნო პროცესმა ბაზებზე მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. ავღანეთში, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში 1500-ზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა. ავღანეთში საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრების გარდა, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენლები აკვირდებოდნენ. ISAF-ის მისიაში, ჰელმანდის პროვინციაში, მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონი და ბათუმის ცალკეული მსუბუქი ქვეითი ბატალიონი მონაწილეობდა.

8. რუსეთის ფედერაციაში 2013 წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის საარჩევნო უბნების გახსნა რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, დავით ზალკალიანმა განაცხადა. მან განმარტა, რომ რუსეთთან ქართულ მხარეს არა აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, ხოლო საარჩევნო უბნების გახსნა ძალიან ბევრ ორგანიზაციულ საკითხთან იყო დაკავშირებული. გარდა ორგანიზაციული საკითხებისა, იყო უსაფრთხოების პრობლემებიც. ბოლო არჩევნები, რომელიც ჩატარდა რუსეთის ფედერაციაში, იყო 2003 წელს და მაშინდელი ინფორმაციით, მხოლოდ 5 000 კაცი იყო აღრიცხვაზე. საუბარი, რომ მილიონობით ადამიანი ვერ მიიღებდა მონაწილეობას, არ იყო სამართლიანი, გამომდინარე იქედან, რომ მილიონამდე

ქართველიდან, რომელიც რუსეთში იმყოფება, ძალიან ბევრს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი აქვთ. არჩევნებში მონაწილეობას კი მხოლოდ ის პირები იღებენ, ვისაც აქვს საქართველოს პასპორტი და იმყოფება საკონსულო აღრიცხვაზე.,⁶ ზალკალიანმა ასევე აღნიშნა, რომ მაშინ როდესაც ქვეყანას რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არა აქვს, საკონსულოშიც ჰყავს მხოლოდ ორი წარმომადგენელი და ისიც შვეიცარიის სექციაში ახორციელებს ამ ფუნქციებს. ამიტომ ასეთ პირობებში საარჩევნო უბნების გახსნა დიდ სირთულესთან იქნებოდა დაკავშირებული. დავით ზალკალიანის განცხადებით, დიპლომატიური ურთიერთობის არქონის პირობებში, ამ პროცესებში აუცილებლად მოუწევდათ შესვლა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონტაქტში. გარდა ამისა, მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, არ იყო იმის გარანტიაც, რომ უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნებოდა.

საარჩევნო უბნები ასევე არ გაიხსნა კიდევ სამ ქვეყანაში - მოლდოვაში, რუმინეთსა და იორდანიაში. როგორც დავით ზალკალიანმა განაცხადა, აღნიშნულ სამ ქვეყანაში საარჩევნო კომისიების წევრთა საჭირო რაოდენობა ვერ შეგროვდა. მინისტრის მოადგილის განმარტებით, ამ ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების რაოდენობა ძალიან ცოტაა. საქართველოს საკონსულო ყველანაირად ეცადა, რომ შეეკრიბა საჭირო რაოდენობა, მაგრამ ვერ შეკრიბა ზალკალიანის ცნობით ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საგარეო უწყებიდან სიები დროულად მიეწოდა. ერთადერთი გამონაკლისი იყო ამერიკის შეერთებული შტატები. კერძოდ, ნიუ-იორკის საკონსულოდან, დროში განსხვავების გამო, მოხდა სიის დაგვიანებით მიწოდება. ზალკალიანის განცხადებით, მხოლოდ რამდენიმე საათის დაგვიანებით მოხდა ამ კონკრეტული სიის მიწოდება ცენტრალურ საარჩევნო კომისიისათვის.⁶

• ამომრჩეველთა სიები

1. ცესკოს მიერ 19 ოქტომბერს გამოქვეყნებული განახლებული მონაცემების თანახმად, საქართველოში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 537 719-ს შეადგენდა. 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ეს მონაცემი 76 132-ით ნაკლებია ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის იმ მონაცემზე, რომელიც 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირდა და 3 613 851-ს შეადგენდა. წინა და ახლანდელ მონაცემებს შორის სხვაობას ხელისუფლება ძირითადად უკავშირებდა მოქალაქეების რეგისტრაციიდან მოხსნას. ცესკო სიას იმ მონაცემების საფუძველზე ადგენდა, რომელსაც მას სახელმწიფო სერვისების

⁶ <http://sknews.ge/index.php?newsid=2473#.UtOiMCx321s>

განვითარების სააგენტო აწვდიდა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, რეგისტრაციიდან მოხსნილი მოქალაქეების რაოდენობამ 98 000–ს ოდნავ გადააჭარბა; მათი რეგისტრაციიდან მოხსნის ძირითადი მიზეზი კონკრეტულ მისამართებზე მათი არასწორი რეგისტრაცია იყო. ცესკომ საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეების ფილტრაციაც განახორციელა, რის საფუძველზეც შესაბამის უბნებში გამოიკრა 74 896 რეგისტრაციიდან მოხსნილი მოქალაქეების სია. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, 9 142 ამომრჩეველმა ხელახლა გაიარა რეგისტრაცია. 2013 წლის 10 ოქტომბერს ამოიწურა ხელახალი რეგისტრაციის ვადა. 48 458 ამომრჩეველს, ვინც კი საზღვარგარეთ, საქართველოს დიპლომატიურ მისიებში გაიარა რეგისტრაცია, შესაძლებლობა მიეცა, მონაწილეობა მიიღონ 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში 36 ქვეყანაში გახსნილ 52 უბანზე. მათ შორის იყო ავღანეთში 2 უბანზე ის 1 560 ქართველი სამხედროც, რომლებიც ISAF–ის მისიაში მონაწილეობდნენ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისას საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების რაოდენობა 45 100–ს შეადგენდა. საქართველოში ამომრჩეველთა ყველაზე დიდი რაოდენობა 1991 წლის მაისის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაფიქსირდა – 3 594 810 და 2010 წლის მაისის ადგილობრივ არჩევნებზე – 3 544 770.

ამომრჩეველთა ერთიანი სია არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სია. ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებაზე, მისკომპიუტერულ დამუშავებასა და საჯარო ინფორმაციას მიკუთვნებული ნაწილის ცესკოს ვებ-გვერდზე განთავსებაზე. აღნიშნულს უზრუნველყოფს საარჩევნო კოდექსის 31-ე მუხლი. ცესკო ვალდებულია, ორჯერ - საარჩევნო პერიოდის დასაწყისსა და კენჭისყრის დღემდე გამოაქვეყნოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოში და ყოველ საარჩევნო ოლქში.

3. რეგისტრაციიდან მოხსნილი მოქალაქეები ახალ მისამართზე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით 10 ოქტომბრის ჩათვლით დარეგისტრირების შემთხვევაში პირადობის ახალ მოწმობას უფასოდ იღებდნენ. აღნიშნული პირები ასევე გათავისუფლებულები იყვნენ რეგისტრაციის წესის დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმისგან და საარჩევნო სიაში იყვნენ შეყვანილი. ეს აქცია იუსტიციის სამინისტროს სერვისების განვითარების სააგენტომ და იუსტიციის სახლმა ერთობლივად განახორციელეს. იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განმარტებით, აქციის მიზანი იყო, საქართველოს ჰქონოდა ზუსტი საარჩევნო სია და აგრეთვე, საბოლოოდ დასმოდა წერტილი არჩევნებში რეგისტრაციიდან მოხსნილი პირების თემით სპეკულირებას. მინისტრის თქმით, მოქალაქემ შესაძლოა, არ იცოდა, რომ მოხსნილი იყო რეგისტრაციიდან, რისი გადამოწმებაც ნებისმიერ პირს შეეძლო სერვისების განვითარების სააგენტოსა და იუსტიციის სახლის ვებგვერდებზე. თეა წულუკიანის

ინფორმაციით, სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციიდან მოხსნილი იყო 98 000-მდე პირი, რომელთაც ამ აქციით სარგებლობა შეეძლოთ. ახალ მისამართზე რეგისტრაციის მსურველებს განაცხადის წარდგენა სერვისების განვითარების სააგენტოს ფილიალებსა და იუსტიციის სახლებში შეეძლოთ არჩევნების დღემდე.⁷

- **წინასაარჩევნო აგიტაცია და საარჩევნო მიზნით ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება**

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების აკრძალვას. ამდენად, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, კოდექსის თანახმად, იკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციის და კამპანიის დროს. საქართველოს პრეზიდენტის № 0407/01 განკარგულებით, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში წინასაარჩევნო კამპანია 4 ივლისს დაიწყო. საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, „წინასაარჩევნო კამპანია იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე“. იმავე მუხლის შესაბამისად, „პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტების კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები“. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა რომ, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ამ პერიოდში გაცილებით ნაკლები იყო ადმინისტრაციული რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენების შემთხვევები, რამაც საარჩევნო გარემო უფრო კონკურენტუნარიანად წარმოაჩინა.

ადმინისტრაციული რესურსის რამდენიმე სახე არსებობს, ესენია: ძალისმიერი რესურსი, სამართლებრივი რესურსი, ინსტიტუციური რესურსი, ფინანსური რესურსი და მედიარესურსი.

- **ძალისმიერი რესურსები**

ძალისმიერ რესურსში იგულისხმება პოლიტიკური ოპონენტების, მათი მხარდამჭერებისა და ამომრჩევლების წინააღმდეგ სახელმწიფოს უკანონო ძალადობრივი მექანიზმების გამოყენება, მათ შორის - პოლიტიკური ნიშნით ადამიანების დაკავება, დაშინება, ცემა, მუქარა, სამსახურიდან განთავისუფლება და სხვა სახის ზეწოლა.

⁷ <http://www.zonanews.ge/chkhreka-davith-baqradzis-sht>

საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა უშუალოდ საარჩევნო მიზნებისთვის სახელმწიფოს ძალისმიერი რესურსის მასობრივი გამოყენების ფაქტები, რაც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდთან შედარებით, უდავოდ მნიშვნელოვანი პროგრესია.

1. ამ კუთხით აღსანიშნავია ხარაგაულში მომხდარი ფაქტი, როდესაც 20 ოქტომბერს, დილის 6 საათზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის, დავით ბაქრაძის ხარაგაულის შტაბის წევრის, ნინო ფხალაძის ოჯახში შევიდა ხარაგაულის პოლიციის რაიონული სამმართველოს თანამშრომლები და ხარაგაულის პოლიციის უფროსი დავით კაპანაძე. პოლიციამ განაცხადა, რომ ჰქონდა ოპერატიული ინფორმაცია იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერების არსებობასთან დაკავშირებით. თუმცა, პოლიციელებმა ვერ აღმოაჩინეს ვერც ცეცხლსასროლი იარაღი და ვერც ასაფეთქებელი ნივთიერება⁸.

აღნიშნული ფაქტი შეიძლება, პირდაპირ არ უკავშირდებოდეს საპრეზიდენტო არჩევნებს, მაგრამ არჩევნების სამართლიან და კონკურენტულ გარემოში ჩატარებისთვის ასეთი შემთხვევების თავიდან აცილება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში რამდენიმე მუნიციპალიტეტის საკრებულოებსა და გამგეობებში მაღალი თანამდებობის პირები მათ წინააღმდეგ განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობდნენ. აქ, ძირითადად, იგულისხმებოდა ის ფაქტი, რომ წინასაარჩევნოდ ათეულობით გამგებელი შეიცვალა, მათ შორის პირადი განცხადების საფუძველზე გადადგა 7 გამგებელი, 1 დააკავეს, 2 საკრებულომ გადააყენა, ორ მუნიციპალიტეტში გადააყენეს საკრებულოს თავმჯდომარე, ერთ ქალაქში შეიცვალა მერი.

2. „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებას ონის გამგებელზე და მის მოადგილეებზე ზეწოლაში ადანაშაულებდა. როგორც პარტიის განცხადებაში იყო ნათქვამი, ონის გამგებელს, კობა გამყრელიძეს გადადგომის შესახებ განცხადება დააწერინეს.^{9,10}

⁸<http://pirveliradio.ge/?newsid=9801>

⁹ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ არაერთხელ განაცხადა საქართველოს რეგიონებში თვითმმართველობებსა და გამგეობებზე ზეწოლისა და შანტაჟის ფაქტების შესახებ. ხელისუფლების მხრიდან (განსაკუთრებით - ძალადგანაშაულების) აგრესიას ადგილი ჰქონდა იმ რაიონებში, სადაც საკრებულოს თავმჯდომარეები და გამგებლები ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრები იყვნენ. ამ ერთი წლის განმავლობაში თანამდებობები მხოლოდ იმ გამგებლებმა და საკრებულოს თავმჯდომარეებმა შეინარჩუნეს, რომლებმაც თავის პარტიულ კუთვნილებაზე უარი თქვეს და კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალ რომელიმე პარტიაში გადაინაცვლეს ან უპარტიოები გახდნენ. თუმცა, აღმოჩნდნენ „ურჩებიც“, რომლებმაც ზეწოლისა და შანტაჟის მიუხედავად, მაინც არ თქვეს უარი ნაციონალური მოძრაობის წევრობაზე. ე.წ. „ურჩების“ მიმართ ხელისუფლება უფრო მკაცრ მეთოდებზე გადადიოდა. ამის მაგალითი იყო სრულიად აბსურდული მიზეზით ადიგენის გამგებლის, მარტვილის გამგებლის მოადგილის და ვანის საკრებულოს თავმჯდომარის დაკავება. სასამართლო პროცესზე

3. ბოლო განცხადება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ამ თემაზე 2013 წლის 5 სექტემბერს გავრცელდა. მასში ის რაიონები იყო ჩამოთვლილი, სადაც ნაციონალური მოძრაობის მტკიცებით, ბოლო პერიოდში ზეწოლამ განსაკუთრებული ხასიათი მიიღო: მარტვილი, ვანი, ონი¹¹.

4. მარნეულში გამგებლის მოადგილეები არჩევნების დანიშვნის შემდეგ მეორედ შეიცვალნენ. ქვემო ქართლის ორ რაიონში განხორციელებული საკადრო ცვლილებების შედეგად, ახალი კადრები შსს-ს ყოფილი თანამშრომლები გახდნენ. 20 აგვისტოს დაწერა განცხადება უკვე ყოფილმა გამგებლის მოადგილემ, თამაზ ენუქიძემ. 2 სექტემბერს ამ ადგილზე დანიშვნის სურვილით, განცხადება მერაბ თოფჩიშვილმა შეიტანა და მის დასანიშნად ბრძანება მომზადდა. რაც შეეხება მეორე მოადგილეს, მან განცხადება 7 აგვისტოს დაწერა და 8 აგვისტოს მის ნაცვლად, რამინ ისმაილოვი დაინიშნა.

5. ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, ემიკო ფეიქრიშვილს საკრებულომ უნდობლობა გამოუცხადა. მის განთავისუფლებას და გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად ყოფილი პოლიციელის, ზაზა გულიაშვილის კანდიდატურას რიგგარეშე სხდომაზე უყარეს კენჭი. ხმათა უმრავლესობით ფეიქრიშვილი გულიაშვილმა ჩაანაცვლა. რამ განაპირობა საკადრო ცვლილებები? პასუხის გაცემა უჭირდა ფეიქრიშვილსაც, საკრებულოს თავმჯდომარე და დეპუტატები კი კითხვას თავს არიდებდნენ. ქარელის მუნიციპალიტეტის შენობასთან ყოფილი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, ემიკო ფეიქრიშვილისა და საკრებულოს მიერ არჩეული ახალი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ზაზა გულიაშვილის მხარდამჭერებს შორის შელაპარაკება მოხდა. საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე დეპუტატებმა ფეიქრიშვილი გადააყენეს და მის ადგილზე ქარელის პოლიციის უფროსის მოადგილეს, ზაზა გულიაშვილს დაუჭირეს მხარი.

მტკიცებულებების არარსებობის გამო, ეს პირები არსებით განხილვამდე წინასწარი პატიმრობიდან განთავისუფლებულ იქნენ, მაგრამ შედეგი, რასაც ხელისუფლება ისახავდა მიზნად, მიღწეულია - ისინი თანამდებობებს აღარ იკავებენ“, - აღნიშნულია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის „განცხადებაში

¹⁰ <http://pirveliradio.ge/?newsid=9801>

¹¹ „სექტემბრის თვეში ონის გამგებელზე, კობა გამყრელიძეზე და მის მოადგილეებზე, თეიმურაზ გრძელიშვილსა და მიხეილ ბიძიშვილზე განსაკუთრებულად მიმდინარეობდა ზეწოლა, რათა ისინი გადამდგარიყვნენ თანამდებობიდან. ამის შედეგად გამგებლის მოადგილემ თეიმურაზ გრძელიშვილმა საკუთარი განცხადებით დატოვა თანამდებობა და მის ადგილზე დაინიშნა ნუგზარ ბიჭაშვილი, ონის პოლიციის ყოფილი უფროსი. ნუგზარ ბიჭაშვილი რამდენიმე წლის წინ განთავისუფლებული იყო თანამდებობიდან სამსახურეობრივი გადაცდომის გამო, საქმე ეხებოდა მკვლელობისთვის დაპატიმრებული მისი ნათესავისადმი ზედმეტად ლოიალურ დამოკიდებულებასა და გამოძიებისთვის ხელის შეშლას“.

„თვითმმართველობისა და საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი უნდა გამხდარიყი მისი მოადგილე. გაურკვეველია გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის ბრძანების გაუქმების საფუძველი. ასევე გაურკვეველია, რატომ გახდა საჭირო გარეშე პირის შემოყვანა მაშინ, როდესაც არსებობდა გამგებლის მოადგილე. კანონმდებლობის თანახმად, უნდა გამოცხადებულიყო გამგებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსი, რასაც ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, რაც არ განხორციელებულა.

6. წინასაარჩევნო პერიოდში ლენტეხის მუნიციპალიტეტში მოხდა ლენტეხის გამგებლის თანამდებობიდან უკანონოდ გათავისუფლება.¹²

აღნიშნული ფაქტი პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციას, სადაც საპრეზიდენტო არჩევნების წინ, იმპიჩმენტის და მსგავსი პროცესების განხორციელება აკრძალულია. არასამთავრობო ორგანიზაციები და უწყებათაშორისი კომისიის წევრები ჩასულები იყვნენ ლენტეხში. საკითხის გასაშუქებლად ლენტეხში ასევე ჩავიდა ადამიანის უფლებათა ცენტრის ვიდეოსტუდიის გადამღები ჯგუფი (www.hridc.tv), მომზადდა შესაბამისი ვიდეომასალა. იურისტებმა შეისწავლეს არსებული მდგომარეობა. დოკუმენტების გაცნობისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან შეხვედრისას გაირკვა, რომ გამგებლის გადაყენება რიგი დარღვევებით მოხდა. როგორც საკრებულოდან ამოღებული დოკუმენტაციით ირკვევა, საკრებულოს კანცელარიაში არ აღმოჩნდა საკრებულოს 20 აგვისტოს სხდომის ოქმი. სწორედ 20 აგვისტოს სხდომაზე ბიუროს უნდა დაემტკიცებინა გამგებლის გადაყენების საკითხი. ასევე არ აღმოჩნდა 23 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის ოქმი, 23 აგვისტოს #64 ბრძანება და 2 სექტემბრის # 66 ბრძანება გურგენ ფურელიანის დანიშვნის შესახებ. ფაქტობრივად მოხდა ისე, რომ ბიუროს სხდომაზე არ დაყენებულა საკითხი, ისე განხორციელდა გამგებლის იმპიჩმენტი. ამასთან არაუფლებამოსილმა პირმა დააყენა გამგებლის გადაყენების საკითხი, არ დათვლილა ხმები, არ გაფორმებულა შესაბამისი ოქმი. ასევე გურგენ ფურელიანიც პროცედურული დარღვევით იქნა დანიშნული გამგებლის მოადგილედ არარსებულ შტატზე და შემდგომ - გამგებლის თანამდებობაზე.

7. ვანის საკრებულომ განახორციელა მუნიციპალიტეტის გამგებლის იმპიჩმენტის წესით გადაყენება. შეტყობინების ავტორის ცნობით, საკრებულოს წევრების უმრავლესობას „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები წარმოადგენენ. მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა გამგებლის პოლიტიკური შეხედულებები, რომელიც მათივე პარტიის წევრია და განახორციელეს იმპიჩმენტის პროცედურა. 23 სექტემბრის უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს, რათა დაუყოვნებლივ ყოფილიყო მიღებული ზომები ნაციონალური მოძრაობის

¹² <http://www.hridc.tv/index.php?a=view&id=864&lang=geo>

მხრიდან იმპიჩმენტის პროცედურის შესაჩერებლად, მაგრამ ეს რეკომენდაცია გათვალისწინებული არ ყოფილა.

8. ასევე მეტად საყურადღებოა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილის დაკავების საქმე, რომელსაც სხვადასხვა უცხო ქვეყნის პოლიტიკოსებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ივანე მერაბიშვილს პროკურატურამ რამდენიმე ეპიზოდში წაუყენა ბრალი. ყველაზე მეტი კითხვა მერაბიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას უკავშირდებოდა. საინტერესოა, რომ სასამართლო პროცესზე პროკურატურამ საქმეში ჩართული ყველა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება მოითხოვა, მაგრამ ეს მოთხოვნა მხოლოდ ივანე მერაბიშვილის შემთხვევაში დაკმაყოფილდა.

9. 2013 წლის აგვისტოს ბოლო დღეებში თბილისში განხორციელდა რამდენიმე რიდი პოლიციის მიერ, მოხდა მოქალაქეების დიდი ხნით შეჩერება, ჩხრეკა, ზოგიერთ შემთხვევაში -პოლიციაში გადაყვანა¹³.

მოქმედი კანონმდებლობით, პოლიციას უფლება აქვს, საავტომობილო გზებზე მოაწყოს რიდეები; აღნიშნული რიდეები შეიძლება მოეწყოს საგანგებო ან საომარი მდგომარეობის პირობებში, აგრეთვე დამნაშავეთა და სამართალდამრღვევთა დაკავების მიზნით. პირის შეჩერება პოლიციელის მიერ შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გონივრული ეჭვი მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ. შეჩერება გულისხმობს პირთან კომუნიკაციის დამყარებას, მის იდენტიფიცირებასა და გამოკითხვას, რაც არ ითვალისწინებს პოლიციელის უფლებას, გადაიყვანოს პირი დახურულ სივრცეში. პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია, შეჩერებულ პირს გააცნოს თავისი ვინაობა, წარუდგინოს თავისი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი და განუმარტოს შეჩერების კანონიერებისა და დასაბუთებულობის გასაჩივრების უფლება. შეჩერება უნდა მომხდარიყო მხოლოდ იმ ვადით, რაც აუცილებელია გონივრული ეჭვის დადასტურებისთვის ან გამორიცხვისთვის, ანუ - მკაცრად უნდა შემოფარგლულიყო იმ დროით, რაც აუცილებელი იქნებოდა გონივრული ეჭვის შესამოწმებლად. შეჩერებული პირი უნდა გათავისუფლებულიყო მაშინვე, როგორც კი შეჩერების საფუძველი შეწყვეტდა არსებობას - გონივრული ეჭვის გაქარწყლებისთანავე. პოლიციის თანამშრომლებს უფლება ჰქონდათ, ჩაეტარებინათ მხოლოდ ზედაპირული დათვალიერება, რაც არ გულისხმობდა ჩხრეკას. ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს სასამართლოს განჩინების, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში - დადგენილების საფუძველზე. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლობის ნორმები არ იყო ზედმიწევნით დაცული.

¹³ <http://www.liberali.ge/ge/liberali/news/115888/>

- **სამართლებრივი რესურსები**

საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოების რომელიმე პარტიის ან კანდიდატის საარჩევნო ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება.

საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში დაფიქსირდა სახელმწიფო სამართლებრივი რესურსების საარჩევნო მიზნით გამოყენების რამდენიმე შემთხვევა. კერძოდ, სამართლებრივი რესურსის გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს:

1. 2013 წლის 19 აგვისტოს პრეზიდენტის მიერ ფართომასშტაბიანი შეწყალების განხორციელება.

პრეზიდენტის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში მის ხელთ არსებული მსგავსი სამართლებრივი შესაძლებლობის გამოყენება ქმნიდა განცდას, რომ ეს ქმედება მიზნად ისახავდა ამომრჩევლის გულის მოგებას და წარმოადგენდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას საარჩევნო მიზნით, რაც ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის 48-ე და 49-ე მუხლებს.

2. საქართველოს პრეზიდენტი თურქეთში ვიზიტისას ეთნიკურ ქართველებს შეხვდა და პირადად გადასცა მის მიერ მათთვის მინიჭებული საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი მოწმობები. მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, თურქეთში მცხოვრებ 936 ეთნიკურ ქართველს საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა. მსგავსი ქმედება შესაძლებელია, მიზნად ისახავდეს ამომრჩევლის გულის მოგებას, რაც ამავე დროს წარმოადგენს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას საარჩევნო მიზნით.

3. სამართლებრივი რესურსების სავარაუდო გამოყენებად შეიძლება, ჩაითვალოს 2013 წლის სექტემბერში განათლების სამინისტროს მიერ აბიტურიენტთა მეორადი ჩარიცხვების დაშვება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, 11-13 სექტემბერს აბიტურიენტთა მეორადი ჩარიცხვები განხორციელდა. კერძოდ, ყველა აბიტურიენტს, რომელმაც 4 საგანში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახა და ვერ გახდა სტუდენტი, საშუალება მიეცა, ხელახლა გაეცლო რეგისტრაცია და ჩარიცხულიყო უმაღლეს სასწავლებელში.

მიუხედავად იმისა, რომ განათლების მინისტრს ამგვარი ბრძანების გამოცემის უფლება ჰქონდა, ჩარიცხვის წესის ასეთ ცვლილებას წინა წლებში ადგილი არ ჰქონია.

შესაბამისად, ჩნდება ეჭვი, რომ ადგილი ჰქონდა რამდენიმე ათასი ამომრჩევლის გულის მოსაგებად განხორციელებულ ქმედებას.

- ინსტიტუციური რესურსები

წინასაარჩევნო ღონისძიებების ორგანიზება-ჩატარებისათვის სახელისუფლებო სტრუქტურების საოფისე ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, შენობა-ნაგებობების, დაქვემდებარებული საჯარო მოხელეების და სახელმწიფოს თანხებით დაფინანსებული სხვა მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენება.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფოს ინსტიტუციური რესურსები, სხვა რესურსებთან შედარებით, საარჩევნო მიზნით ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საჯარო მოხელეების საარჩევნო აგიტაციაში უკანონო მონაწილეობის ფაქტები. ასეთი შემთხვევები დაფიქსირდა: ზუგდიდში, კასპში, ფოთში, ჩოხატაურში. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, 2013 წელს ნაკლებად შეინიშნებოდა საბიუჯეტო დაწესებულებების თანამშრომლების იძულებითი მობილიზაცია აგიტაციაში მონაწილეობის მისაღებად. რამდენიმე მუნიციპალიტეტში ასეთი ქმედება, უფრო მეტად ნებაყოფლობითი იყო, ვიდრე იძულებითი.

1. პრეზიდენტობის კანდიდატი, გიორგი მარგველაშვილის განათლების მინისტრის თანამდებობიდან გადადგა, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ამას არ ავალდებულებდა. მან განაცხადა, რომ ეს იყო ახალი პოლიტიკური სტანდარტების დამკვიდრებისკენ გადადგმული ნაბიჯი. პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატის ეს გადაწყვეტილება უდავოდ მისასალმებელი იყო. თუმცა, მარგველაშვილის ერთგულება „ახალი პოლიტიკური სტანდარტების“ მიმართ ეჭვქვეშ დააყენა მისმა საჯარო გამოჩენების სპეციფიკამ. მხედველობაში გვაქვს მისი დასწრების ფაქტი იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ შრომის კოდექსის ბეჭდური ვერსიის პრეზენტაციაზე და ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ თუშეთობის დღესასწაულზე ომალოში, სადაც მარგველაშვილმა ვერტმფრენით იმგზავრა. პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატის საჯარო შეხვედრები უწყებათაშორის კომისიაზე განიხილეს, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ „ქართული ოცნების“ მიერ დასახელებული კანდიდატი კულტურისა და რეინტეგრაციის სამინისტროების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებსაც ესწრებოდა.

მსგავსი ტიპის ღონისძიებებზე პრეზიდენტობის კანდიდატის დასწრებამ, შესაძლოა, წარმოშვას კანონდარღვევა. საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ღონისძიებებზე აგიტაცია ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად ითვლება. აგიტაცია კი, მოქმედი

კოდექსით, შეიძლება ნებისმიერი საჯარო მოქმედება იყოს, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის პირის არჩევას. საარჩევნო მიზნების მქონე პირის საჯარო ღონისძიებაზე დასწრება კი იყო მისთვის პლატფორმის დათმობა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე. ამ ქმედებით, კანდიდატი ზოგავდა საკუთარ ფინანსებს, რაც შესაძლოა, განხილული ყოფილიყო, როგორც სახელმწიფო ორგანოს მხრიდან გაღებული უკანონო შემოწირულობა.

2. საერთაშორისო ორგანიზაციამ - „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ მიმდინარე წლის 4 აგვისტოს გურიაში, კერძოდ ოზურგეთში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 12 პირს ინვალიდის ეტლი გადასცა. აქციასთან დაკავშირებით, ჟურნალისტებისათვის კომენტარი ორგანიზაციის თავმჯდომარემ, მაია კვეხერელმა „ქართული ოცნების“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის ოფისში, „ქართული ოცნების“ ლოგოს ფონზე გააკეთა. მანვე მედიასთან საუბარში დაადასტურა, რომ ჩოხატაურშიც და ოზურგეთშიც, საჩუქრების დარიგებას პოლიტიკურ პარტიასთან ერთად „ჩაუდგა სათავეში“:

საქველმოქმედო ორგანიზაციამ - „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ საარჩევნო კოდექსის დარღვევით კოალიცია გასწია „ქართული ოცნების“ აგიტაცია. ორგანიზაციამ შშმ პირებს საჩუქრად ეტლები გადასცა. საქველმოქმედო ორგანიზაციამ საზოგადოებას ინფორმაცია „ქართული ოცნების“ ოზურგეთის შტაბიდან მიაწოდა და გაწეული დახმარებისთვის პარტიას მადლობა გადაუხადა. აღნიშნული ქმედებით ორგანიზაციამ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა კანონის დარღვევით მიიღო. ცესკომ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ საარჩევნო კოდექსის დარღვევის გამო, 2 ათასი ლარით დააჯარიმა.

3. ასევე, საყურადღებოა პრეზიდენტობის კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის „თუშეთობაში“ მონაწილეობა. კერძოდ, 3 აგვისტოს სოფელ ომალოში გაიმართა „თუშეთობა“. მარგველაშვილი ახმეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა „თუშეთობაზე“ სწორედ პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსით წარადგინა. აღსანიშნავია, რომ ღონისძიება ადგილობრივი ბიუჯეტიდან იყო დაფინანსებული.

მსგავს ღონისძიებაზე საარჩევნო მიზნებისთვის პირის მიწვევა შეიძლება უკანონო შემოწირულობად ჩაითვალოს, რადგან წინასაარჩევნო კამპანია, ფაქტობრივად, უკვე დაწყებული იყო. „ქართული ოცნების“ მომავალი კანდიდატი ვალდებული იყო, დაეცვა ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტი, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო და პოლიტიკურ პარტიებს შორის მკაფიო განსხვავება უნდა არსებობდეს, რაც ამ შემთხვევაში დარღვეული იყო. პრეზიდენტობის კანდიდატი ვალდებული იყო, დაეცვა მის მიერვე დეკლარირებული „მაღალი პოლიტიკური სტანდარტი“ და ასევე კანდიდატად ოფიციალურად დარეგისტრირებამდეც არ დაემვა ადმინისტრაციული

რესურსის გამოყენება, ვინაიდან ამომრჩევლისთვის ის უკვე აღიქმებოდა, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი.

4. 7 სექტემბერს კასპის რაიონში „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს საჯარო სკოლების პედაგოგები შეხვდნენ. შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, მხარდამჭერთა მობილიზებას ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა და მას ხოვლისა და სხვა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები ახორციელებდნენ. ხონდაკის რწმუნებულმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან 120 ადამიანის ტრანსპორტირება უზრუნველყო.

ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელეები არიან და გარდა იმისა, რომ მათ ეკრძალებოდათ სამუშაო საათებში წინასაარჩევნო აგიტაცია, ასევე ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათი მხრიდან მოხდა ფინანსური რესურსების გამოყენება კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტის სასარგებლოდ, რაც საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის 1 ნაწილის „გ“ პუნქტის დარღვევაა და ითვალისწინებს ჯარიმას 2000 ლარის ოდენობით.

5. 7 სექტემბერს ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ და ორგანიზებულ ღონისძიებაზე მხოლოდ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. აღნიშნულ ღონისძიებაზე საუბარი იყო საპრეზიდენტო არჩევნებზე. საუბარია სწორედ სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებულ ღონისძიებაზე, სადაც მხოლოდ ერთი კონკრეტული პარტიის წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება, ესაუბრათ საკუთარ პრეზიდენტობის კანდიდატზე.

ამ შემთხვევაში, დაირღვა საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლი, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ ღონისძიებაზე, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ადგილი არ უნდა ჰქონდეს პოლიტიკური პარტიის აგიტაციას.

6. 13 სექტემბერს დაფიქსირდა ჩოხატაურში საჯარო მოხელეების უკანონო მონაწილეობა წინასაარჩევნო აგიტაციაში, სადაც „გურია ნიუსის“ ცნობით, პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრაში მონაწილეობდნენ გურიის სამხარეო პოლიციის სამმართველოს უფროსი გოჩა ფერსაშვილი, მისი მოადგილე გურამ ასათიანი, ჩოხატაურის პოლიციის სამმართველოს უფროსი აკაკი მაისურაძე და მისი მოადგილე ზაზა დოლიძე.

შსს-ს თანამშრომლების დასწრება წინასაარჩევნო შეკრებაზე აღიქმება, როგორც წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა, რაც საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის 4-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევაა და ითვალისწინებს ჯარიმას 2000 ლარის ოდენობით.

7. 11 სექტემბერს ზუგდიდში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრას ესწრებოდნენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მატერიალურ-ტექნიკურ საკითხთა განყოფილების უფროსი, ბართლომე შელია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა განყოფილების უფროსი, ლევან მაქაცარია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, ანა წითლაძე. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ პარალელურად გამართულ სააგიტაციო შეხვედრაში, რომელსაც „დაიცავი საქართველოს“ წევრი კახა მიქაია ხელმძღვანელობდა, მონაწილეობდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ჩხორიის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ედემ კეკუტია, ზუგდიდის ქალაქის ტერიტორიული ორგანოს წამყვანი სპეციალისტი, ნუკრი ჭიჭინაია.

ჩამოთვლილი თანამდებობის პირები წარმოადგენდნენ ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოხელეებს. შესაბამისად, მათ საარჩევნო კოდექსი სამუშაო საათებში აგიტაციის გაწევას ან აგიტაციაში მონაწილეობას უკრძალავს, კერძოდ - საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-4 ნაწილის „თ“ პუნქტი. აქცია მიმდინარეობდა სამუშაო საათებში (დაიწყო 16⁰⁰ საათზე) საჯარო მოხელეებმა დაარღვიეს საარჩევნო კოდექსი, რაც 2000 ლარის ოდენობის ჯარიმას ითვალისწინებს.

8. 9 ოქტომბერს, ზუგდიდში კოალიცია „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის წინასაარჩევნო შეხვედრა გაიმართა. პოლიტიკური აქცია ქალაქის მეორე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე 15 საათზე დაიწყო. პრეზიდენტობის კანდიდატი და პრემიერ მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ზუგდიდში ჩასვლამდე ხობში იმყოფებოდნენ, სადაც ასევე გამართეს შეხვედრა ამომრჩევლებთან. აქციის გამო პოლიციამ დილიდანვე გადაკეტა ცენტრალური ბულვარის ერთი მხარე. ასევე დაამონტაჟეს რკინის ჯებირები შეხვედრის ადგილის გამოსაყოფად. აქციაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის თანამშრომელი ზვიად მალაზონიაც დაფიქსირდა. გაირკვა, რომ მას შვებულების თაობაზე განცხადება დაწერილი არ ჰქონია, რაც საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ამ საჯარო მოხელემ დაარღვია საქართველოს საარჩევნო კოდექსი. აქციის დასრულების შემდეგ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ვალერიან ხუბულავა გადაადგილდებოდა იმ ავტოსატრანსპორტო საშუალებით, რომლის მეშვეობითაც მოხდა აქციაზე მყოფი პირების ტრანსპორტირება. ვალერიან ხუბულავამ განაცხადა, რომ აღნიშნულ აქციაზე არ იმყოფებოდა, მაგრამ ზემოაღნიშნული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ის შესაძლოა, ჩართული ყოფილიყო აქციის ორგანიზების პროცესში. გარდა აღნიშნულისა, 10 ოქტომბერს ინტერნეტრესურსმა „თავისუფალმა ზონამ“ youtube-ზე გამოაქვეყნა

ფოტოკოლაჟი, სადაც ასახულები იყვნენ ის პირები, რომლებიც ზუგდიდში გიორგი მარგველაშვილის შეხვედრას ესწრებოდნენ. „თავისუფალი ზონის“ მტკიცებით, ამ პირების ნაწილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციაში იყვნენ დასაქმებულები. ფოტოებზე ამ პირებს არანაირი განმასხვავებელი ნიშანი არ აღენიშნებოდათ, რაც ეწინააღმდეგება შსს-ს მიერ თანამშრომელთა აგიატაციაში მონაწილეობის კუთხით შემუშავებულ შიდა ინსტრუქციას, რომელიც უწყებათაშორისი კომისიის 30 სექტემბერის სხდომაზე გაჟღერდა. ფოტოკოლაჟში ჩანდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა აპარატის მთავარი სპეციალისტი დავით ჭანტურიაც, მაგრამ უცნობია, სარგებლობდა თუ არა იმ დროს დავით ჭანტურია კუთვნილი შვებულებით. კოლაჟში ასევე ჩანდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი თენგიზ ქობალიაც. ა/ო „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, თენგიზ ქობალია შვებულებაში არ იმყოფებოდა.

9. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებს ადგილი ჰქონდა პრემიერ-მინისტრის ქმედებაში, როდესაც მან „შუამთობის“ დღესასწაული მიულოცა ადგილობრივ მოსახლეობას. დღესასწაულის აღნიშვნის დროს ახლად დაქორწინებულ გუნდალამეების ოჯახს საჩუქრად ბრილიანტის ბეჭედი გადასცა. აღნიშნული ინციდენტი შეიცავდა ამომრჩეველთა მოსყიდვის ნიშნებს და ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის 47-ე მუხლის მოთხოვნებს.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ პრემიერ-მინისტრის მიერ ამომრჩეველისათვის საჩუქრის გადაცემის ფაქტი, შესაძლოა, შეიცავდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, ან სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, რაც დამოკიდებულია საჩუქრის ღირებულებაზე. თუ პრემიერ მინისტრის მიერ გადაცემული საჩუქარი არ აღემატება 100 ლარს, მაშინ შესაძლოა, სახეზე გვექონდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. კერძოდ: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის 252-ე მუხლის თანახმად, „პარტიას ეკრძალება კანდიდატის, წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, საქართველოს მოქალაქისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ან არამატერიალურ ფასეულობათა გადაცემა“. ამავე კანონის 342-ე მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი სანქციის თანახმად, „საარჩევნო მიზნით ფიზიკური პირის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული უკანონო საჩუქრის, შემოსავლის, მომსახურების მიღება, თუ ქონების (მომსახურების) ან გარიგების ღირებულება არ აღემატება 100 ლარს გამოიწვევს პარტიის, პარტიის წარმომადგენლის, იურიდიული პირის დაჯარიმებას შესაბამისი ქონების (მომსახურების) ან შესაბამისი გარიგების ღირებულების ათმაგი ოდენობით და ფიზიკური პირის დაჯარიმებას შესაბამისი ღირებულების ორმაგი ოდენობით“. თუ პრემიერ მინისტრის მიერ გადაცემული საჩუქრის ღირებულება აღემატება 100 ლარს, მისი ქმედება შესაძლოა,

შეიცავდეს დანაშაულის ნიშნებს. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164¹-ე მუხლის თანახმად, „საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ამომრჩევლისათვის ქონების გადაცემა ან წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით“.

- ფინანსური რესურსები

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო რესურსების მიმართვა რომელიმე პარტიის ან კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიის ხელშეწყობისათვის.

საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში ამ ტიპის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას თითქმის არ ჰქონია ადგილი. დაფიქსირდა ერთი შემთხვევა აჭარაში, როდესაც ადგილობრივი ბიუჯეტის ცალკეული პროგრამების დაფინანსება 1 ივლისის შემდეგ გაიზარდა, რაც კანონდარღვევა იყო, ვინაიდან წინასაარჩევნო პერიოდში ბიუჯეტის ნებისმიერი პროგრამის ზრდა აკრძალული იყო. მოგვიანებით კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, საბიუჯეტო პროგრამების ზრდა არჩევნებამდე 2 თვის განმავლობაში შეიზღუდა და არა – წინასაარჩევნო პერიოდის დროს. აქედან გამომდინარე, რადგანაც ზემოთ აღნიშნული ცვლილება არჩევნებამდე 2 თვეზე ადრე განხორციელდა, ეს ქმედებები მოქმედი საარჩევნო კოდექსით კანონდარღვევად აღარ მიიჩნევა.

1. აჭარის უმაღლესმა საბჭომ ბიუჯეტში შეიტანა ცვლილება არჩევნებამდე 2 თვით ადრე. საუბარია 13 555 400 ლარზე, რომელიც აჭარის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროგრამებს მოხმარდა. 24 ივლისს ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების განმარტებით ბარათში ეწერა, რომ გადაწყვეტილება არ არღვევს საარჩევნო კოდექსს, რადგან ცვლილება განხორციელდა არჩევნებამდე 2 თვით ადრე. ბიუჯეტის ახალი განაწილებით გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება ეუთოსა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები უმაღლესმა საბჭომ 24 ივლისს, რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე, 11 ხმით დაამტკიცა. კანონპროექტის მიხედვით, ბიუჯეტი გაიზარდა 14 722 700 ლარით, საიდანაც 13 554 400 ლარი განკუთვნილი იყო ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტებისთვის. კერძოდ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, ადგილის სანაპიროზე ნაპირსამაგრი ნაგებობის მშენებლობისათვის 5 მლნ ლარი გამოეყო. ამავე ფონდიდან 8 მლნ ლარით დაფინანსდა და დასრულდა გოდერძის უღელტეხილზე სამთო კურორტის ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპი. ცვლილებები

განხორციელდა ჯანდაცვის პროგრამების მიმართულებებშიც - საყოველთაო დაზღვევის მეორე ეტაპის ამოქმედების შედეგად გამოთავისუფლებული თანხები, კერძოდ - 555 400 ლარი, მოსახლეობისთვის განსაკუთრებულ შემთხვევებში სამედიცინო დახმარებისა და ბავშვთა ფსიქოსომატური რეაბილიტაციის მიმართულებით გაიხარჯა.

ძველი რედაქციით, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლით, არჩევნების დანიშვნის დღიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე, აკრძალული იყო იმ საბიუჯეტო პროგრამების ზრდა, რომლებიც არჩევნებამდე გათვალისწინებული არ იყო ბიუჯეტით, აგრეთვე არაგეგმური ტრანსფერების ინიცირება ან გეგმიური ტრანსფერის ზრდა ადგილობრივ ბიუჯეტში. გარდა ამისა, ოფიციალური წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში აკრძალული იყო ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული სახელმწიფო/ადგილობრივ ბიუჯეტში. თუმცა, ახალი ცვლილებით, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში განხორციელდა საბიუჯეტო პროგრამების ზრდა არჩევნებამდე 2 თვის განმავლობაში შეიზღუდა და არა წინასაარჩევნო პერიოდის დროს. აქედან გამომდინარე, რადგანაც ზემოთ ნახსენები ცვლილებები არჩევნებამდე 2 თვეზე ადრე განხორციელდა, აღნიშნულ ქმედებებს კანონდარღვევად ვეღარ მივიჩნევთ. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2011 წლის 19 დეკემბერს ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 პუნქტი. აგრეთვე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლების ოფისის (OSCE/ODHIR) 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შუალედურ ანგარიშში, წინასაარჩევნო გარემოს შეფასებისას ორგანიზაციები სახელმწიფოს მოუწოდებდნენ, რომ სახელმწიფო ორგანოებს თავი შეეკავებინათ არჩევნების პერიოდში დამატებითი სოციალური პროგრამების დაწყებისგან.

2. მიმდინარე წლის 22 იანვარს დაარსდა ა(ა)იპ „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი“, რომლის მიზანსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების განხელმეწიფობის მიზნით, ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენდა. ფონდის მიერ ხორციელდა ორი პროექტი - „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელმეწიფობის პროექტი“, რომლის ფარგლებშიც სასოფლო სამეურნეო მიწის მფლობელმა მოსახლეობამ მიმდინარე წელს სხვადასხვა ღირებულების ვაუჩერი მიიღო და „შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი“, რომელიც მიზნად ისახავდა დაბალპროცენტიანი აგროკრედიტების გაცემას. აღნიშნულ პროექტებს საერთაშორისო საქველმოქმედო „ფონდი ქართუ“ და „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი“ აფინანსებდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი იზიარებს არჩევნებზე დამკვირვებელი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებას, რომ მართალია, „ფონდი ქართუს“ შესახებ არსებულ სარეგისტრაციო დოკუმენტებში იმდროინდელი პრემიერ მინისტრი ბიძინა

ივანიშვილი მოხსენიებული არ იყო, მაგრამ საზოგადოებისთვის ეს ორგანიზაცია სწორედ მასთან ასოცირდება. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული კანონმდებლობით არ არსებობს მკვეთრი ზღვარი პოლიტიკოსის მხრიდან დასაშვებ ქველმოქმედებასა და საარჩევნო მიზნით ამომრჩევლის მოსყიდვას შორის, ასეთი ქმედება შეიძლება აღქმული ყოფილიყო, როგორც ამომრჩევლის ნებაზე ზეგავლენის მოსახდენად ფინანსური რესურსების უკანონო გამოყენება. მისასაღმებელია, რომ ამ სასოფლო-სამეურნეო პროექტების შესახებ საზოგადოების ინფორმირება მართებულად ხდებოდა და ამ ტიპის დახმარება სახელმწიფო პროგრამად წარმოჩინდებოდა და არა – კერძო ქველმოქმედებად. თუმცა, 2013 წლის თებერვალში იყო შემთხვევა, როდესაც საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ კახეთში სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას 100 მილიონ ლარამდე თანხა კომპენსაციების სახით გადასცა და იმ დროს პირდაპირ ითქვა, რომ ეს იყო კერძო ქველმოქმედება.

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, მსგავს ფაქტებს სჭირდება ნათელი საკანონმდებლო რეგულირება, რათა ყველასთვის ცალსახა იყოს, ასეთი ქმედება წარმოადგენს თუ არა სამართალდარღვევას. შესაბამისად, სანამ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებები განხორციელდება, უმჯობესი იქნება, თუ პოლიტიკოსები და განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირები, თავს შეიკავებენ საკუთარი სახსრებით ასეთი პროექტების დაფინანსებისგან.

3. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა „ღვინის ფესტივალი“ გორში, ქუთაისში, ამბროლაურში, რაჭაში. აღნიშნული ღონისძიებების შესახებ ვიდეოგანცხადებებს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ანდრო ბარნოვი ავრცელებდა.

მიგვაჩნია, რომ მსგავსი ღონისძიება შესაძლოა, მიზნად ისახავდა წინასაარჩევნო პერიოდში ამომრჩევლის კმაყოფილების გაზრდას, რაც თავის მხრივ, წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილს წარმოადგენდა. ეს კი შეიძლება აღქმული ყოფილიყო ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებად. ფაქტი დადასტურდა და აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა 23 სექტემბრის უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე, რომლის შედეგადაც, კომისიამ კიდევ ერთხელ მოუწოდა ყველა პოლიტიკურ პარტიას, წინასაარჩევნო პერიოდში ემოქმედათ კანონისა და უწყებათაშორისი კომისიის რეკომენდაციის ფარგლებში.

4. 2013 წლის 7 სექტემბერს, კასპში ქართული ოცნების მიერ წარდგენილ პრეზიდენტობის კანდიდატის წინასაარჩევნო შეხვედრისას, მხარდამჭერთა მობილიზებას ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები ახორციელებდნენ, რომლის შედეგადაც დაახლოებით 120 ადამიანის ტრანსპორტირება მოხერხდა.

ადმინისტრაციული რესურსის თემაზე საუბრის დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა ცენტრალურ

საარჩევნო კომისიას, შვიდ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას შორის. მემორანდუმი საარჩევნო ადმინისტრაციისა და აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციების პერმანენტული სამუშაო შეხვედრების საფუძველზე შემუშავდა, რომლებსაც საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES) უწევდა ორგანიზებას. IFES-ი უკვე ბოლო რამდენიმე არჩევნებია, რაც ფასილიტაციას უწევს მსგავსი მემორანდუმის გაფორმებას, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციული რესურსების შესახებ საარჩევნო კოდექსში არსებული მუხლების ერთგვაროვან განმარტებას. დოკუმენტში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით საარჩევნო კოდექსში არსებული ნორმების (45-ე, 48-ე, 49-ე მუხლები) განმარტებებია წარმოდგენილი. ურთიერთგაგების მემორანდუმზე ხელისმომწერი მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადმინისტრაციული და სასამართლო წარმოების დროს სწორედ მემორანდუმში მითითებული განმარტებებით იხელმძღვანელებდნენ, რითაც საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეებისთვის თანაბარ პირობებს უზრუნველყოფდნენ. დოკუმენტს ხელს აწერენ:

ცენტრალური საარჩევნო კომისია;
უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის;
არასამთავრობო ორგანიზაციებიდან:
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო;
საარჩევნო და პოლიტექნოლოგიების კვლევის ცენტრი;
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;
სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრი;
სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი;
ახალი თაობა - ახალი ინიციატივა;
ადამიანის უფლებათა ცენტრი.

მემორანდუმს შეუერთდნენ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც ასევე შეთანხმდნენ, ეხელმძღვანელათ მემორანდუმში გაწერილი განმარტებებით. ურთიერთთანამშრომლობის ამგვარი დოკუმენტი, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან მიმართებით გაფორმდა 2008, 2010 და 2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდშიც.

• შემოწირულობა

1. 2013 წლის იანვრიდან - ივლისის თვის ჩათვლით, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანებულმა პარტიებმა ფიზიკური პირებისგან შემოწირულობის სახით 1 085 000 (ერთი მილიონ ოთხმოცდახუთი ათასი) ლარი მიიღეს. ამ შემოწირულობების დიდი წილი მოდიოდა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივალიშვილის პარტიაზე - „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“,

რომელმაც 2013 წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით 1 057 000 (ერთი მილიონ ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი მოიზიდა დაახლოებით 114 დონორისგან. მმართველ კოალიციაში შემავალი დანარჩენი ხუთი პარტიის შემოწირულობებმა 2013 წლის პირველ შვიდ თვეში 275 999 ლარი შეადგინა. კერძოდ, კონსერვატიულმა პარტიამ - 99 995 ლარი; ჩვენი საქართველო-თავისუფალმა დემოკრატებმა - 96 556 ლარი; რესპუბლიკურმა პარტიამ - 54 451 ლარი; ეროვნულმა ფორუმმა - 24 997 ლარი. მრეწველთა პარტიას ამ ეტაპისთვის არანაირი შემოწირულობა არ ჰქონდა მიღებული. ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელმაც შარშან 2 800 000 (ორი მილიონ რვაასი ათასი) ლარის შემოწირულობა მიიღო (რაც 4-ჯერ აღემატებოდა „ქართული ოცნების“ შემოწირულობებს), 2013 წელს 16 800 ლარის ღირებულების მხოლოდ ორი არაფულადი შემოწირულობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.¹⁴

2. 22 ოქტომბრის მდგომარეობით სახეზე გვქონდა შემოწირულობების შემდეგი მონაცემები: კოალიცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ 2013 წელს ფულადი შემოწირულობების უმსხვილესი მიმღები აღმოჩნდა, რომელსაც მოყვებოდა „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“, მან ექვსჯერ მეტი დაფინანსება მიიღო, ვიდრე „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ იმ 1 085 000 (ერთი მილიონ ოთხმოცდახუთი ათასი) ლარის გარდა, რომელიც მმართველ კოალიციაში შემავალმა პარტიებმა 2013 წლის პირველ შვიდ თვეში მიიღეს, კოალიციამ დონორებისგან მიღებული 2 015 000 (ორი მილიონ თხუთმეტი ათასი) ლარი შემატა თავის ხაზინას 1 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე პერიოდში. „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ 15 ოქტომბრამდე პერიოდში მოიზიდა 1 472 895 ლარის ფულადი შემოწირულობა, დანარჩენი 677 642 ლარი მოიზიდეს შემდეგმა პოლიტიკურმა პარტიებმა: ეროვნულმა ფორუმმა (141 136 ლარი), თავისუფალმა დემოკრატებმა (354 797 ლარი), რესპუბლიკურმა პარტიამ (181 598 ლარი); კონსერვატიულმა პარტიამ 111 ლარი; ხოლო მრეწველთა პარტიის ინფორმაციით, მათ საერთოდ არ მიუღიათ არანაირი შემოწირულობა. „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ 2013 წლის პირველ ნახევარში შედარებით მცირე შემოწირულობებს იღებდა, მაგრამ დაფინანსების ძირითადი ნაკადი 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად წამოვიდა. 15 ოქტომბრის მდგომარეობით, ბურჯანაძის პარტიამ 860 137 ლარის ფულადი შემოწირულობები მიიღო. ამის გარდა, პარტიამ მიიღო 64 507 ლარის ღირებულების „არაფულადი შემოწირულობები“. 2 სექტემბრიდან 13 ოქტომბრამდე ბურჯანაძის პარტიამ, რომელსაც სხვა პარტიებისგან განსხვავებით სახელმწიფო დაფინანსება არ ჰქონდა, სულ ცოტა, 854 258 ლარი დახარჯა რეკლამაზე, საიდანაც 397 613 ლარი სატელევიზიო რეკლამაზე დაიხარჯა, 381 226 ლარი - ბეჭდვით რეკლამაზე, ხოლო 7 404 ლარი ინტერნეტით რეკლამაზე. „ნაციონალურმა მოძრაობამ“, რომელმაც 2012 წელს 2 800 000 (ორი მილიონ რვაასი

¹⁴ <http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=16982&lang=geo>

ათასი) ლარის ფულადი შემოწირულობები მიიღო, 2013 წელს მხოლოდ 140 000 ლარი მოიზიდა.¹⁵

2013 წლის ზაფხულში შემოდებული საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, პოლიტიკური პარტია ან საინიციატივო ჯგუფი, რომლის საპრეზიდენტო კანდიდატი ხმების სულ ცოტა 10%-ს მიიღებდა, შეძლებდა სახელმწიფო დაფინანსების მიღებას კამპანიის დროს გაწეული მაქსიმუმ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ოდენობის ხარჯების დასაფარად.

• წინასაარჩევნო კვლევები

1. 2013 წლის ივნისში ჩატარებული კვლევის თანახმად, მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ რესპოდენტთა 52% მასთან ყველაზე ახლო მდგომ პარტიად მიიჩნევდა. თუმცა, ივლისში ამ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მისი საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის რეიტინგი, რომელსაც პრეზიდენტად რესპოდენტთა 29% ისურვებდა, მაშინ როცა „ნაციონალურ მოძრაობას“ და ასევე მის საპრეზიდენტო კანდიდატს თანაბარი - 10-10%-იანი რეიტინგები ჰქონდათ. აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) დაკვეთით, კვლევა 12-26 ივნისის პერიოდში საქართველოს მასშტაბით შემთხვევით შერჩეული 2 338 რესპოდენტის პირისპირ ინტერვიუს გზით ჩატარდა და მისი ცდომილების ზღვარი +/- 2.9 %-ს შეადგენდა. კვლევის თანახმად, რესპოდენტთა იმ 73%-დან, ვინც საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამდა, ყველაზე მეტად პრეზიდენტად ქართული ოცნების კანდიდატს გიორგი მარგველაშვილს ისურვებდა 29%. მარგველაშვილი, რომელიც საპრეზიდენტო კანდიდატად მაისში დასახელდა, სამჯერ უსწრებდა ნაციონალური მოძრაობის მიერ პრაიმერის გზით ამ ეტაპისთვის ჯერ კიდევ გამოსავლენ კანდიდატს, რომელსაც გამოკითხულთა 10% ისურვებდა მომავალ პრეზიდენტად. დანარჩენ კანდიდატებს შორის უმნიშვნელო უპირატესობით ლიდერობს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე 5%-ით, შემდეგ მოდიოდა ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი გიორგი თარგამაძე 4%-ით, ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი 3-3%-ით. რესპოდენტთა 26%-ს პრეზიდენტობის ფავორიტ კანდიდატთან დაკავშირებით არჩევანი ამ დროისათვის გაკეთებული არ ჰქონიათ.
2. NDI-ის 26 სექტემბრისთვის კვლავის მიხედვით, იმ ამომრჩევლის საერთო რაოდენობა, ვისაც ამ დროისათვის კიდევ არ ჰქონდათ გადაწყვეტილი რომელ

¹⁵ http://civil.ge/geo/_print.php?id=27456

კანდიდატს მისცემდნენ ხმას, 22%-ს შეადგენდა; ლეიბორისტების ლიდერს შალვა ნათელაშვილსა და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერს გიორგი თარგამაძეს კვლავ 3-3% ისურვებდა საქართველოს პრეზიდენტად, ხოლო სხვა კანდიდატებზე არჩევანს 4% აკეთებდა; 4% კი აცხადებდა, რომ არც ერთს არ დაუჭერდა მხარს. ეს პროცენტული მონაცემები დათვლილი იყო გამოკითხულთა იმ 73%-დან, ვინც აცხადებდა, რომ მიიღებდა 27 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას. „ქართულ ოცნებას“ ყველაზე ახლო მდგომ პარტიად 50% ასახელებდა; შემდეგ მოდიოდა ნაციონალური მოძრაობა 12%-ით. ორივე მონაცემი სტატისტიკურად უცვლელი რჩებოდა ივნისის კვლევასთან შედარებით. 4%-მდე გაიზარდა ბურჯანაძის დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს მხარდამჭერთა რიცხვი.

3. „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (IRI) მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობა საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ კანდიდატს უჭერდა მხარს. კითხვაზე, მომავალ კვირას რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყოს, რომელი პოლიტიკური პარტიის კანდიდატს მისცემდით ხმას, 41%-მა განაცხადა, რომ მხარს „ქართული ოცნების“ კანდიდატს დაუჭერდა, 11%-მა აღნიშნა, რომ ხმას „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს მისცემდა. სხვა სავარაუდო კანდიდატებთან მიმართებაში კი პროცენტული მაჩვენებლები ასე ნაწილდებოდა: სალომე ზურაბიშვილი - 7 %, ნინო ბურჯანაძე - 5 %, გიორგი თარგამაძე - 5%. კვლევა 17 მაისიდან 2 ივნისის პერიოდში ჩატარდა და საარჩევნო ასაკის მქონე 3 998 რესპონდენტი გამოიკითხა.
4. ბოლოს გამოქვეყნებული სოციოლოგიური კვლევის თანახმად, საპრეზიდენტო არჩევნებზე პირველ ადგილს „ქართული ოცნების“ კანდიდატი, მეორეს კი „ნაციონალური მოძრაობის“ რჩეული იკავებდა. კვლევა პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაკვეთით ამერიკულმა ორგანიზაცია Greenberg Quinland Rosner Research (გრინბერგ ქუინლანდ როსნერ რისერჩმა) მოაწყო, რომლის თანახმად, გიორგი მარგველაშვილს მხარს გამოკითხულთა 43% უჭერდა, დავით ბაქრაძეს 22%. შემდეგ პოზიციაზე იყო ნინო ბურჯანაძე - 8%. პრეზიდენტის ადმინისტრაცია სოციოლოგიური კვლევის დაფინანსების მიზეზად 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების მიმართ მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს ასახელებდა. კვლევა 1204 რესპონდენტის პირდაპირ გამოკითხვას ეყრდნობოდა.

კომპანია „გრინბერგ ქუინლანდ როსნერ რისერჩი“ თითქმის ყველა არჩევნების დროს ნაციონალური მოძრაობის დაკვეთით ასრულებდა კვლევას და ყოველთვის მათთვის სასურველ შედეგს დებდა. ახლა კვლევა პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაკვეთით შეასრულა. ბუნებრივია, რომ საარჩევნო პროცესებზე დამკვირვებელი ორგანიზაციებისთვის ამ ფაქტმა კითხვები გააჩინა: რის საფუძველზე და რა მიზნებით

დაუკვეთა კვლევა პრეზიდენტის ადმინისტრაციამ? რატომ ხარჯავდა პარტიული აქტივობისთვის ბიუჯეტის ფულს? ამ მოქმედებაში პირდაპირ ხომ იკვეთებოდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიული ინტერესები, რაც გამოიხატებოდა საარჩევნო კამპანიის ფონდის გვერდის ავლით, საბიუჯეტო თანხებით საარჩევნო აქტივობების დაფინანსებაში? ხომ არ დაირღვა კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ და საარჩევნო კოდექსი?

- უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა

საქართველოს 2013 წლის 27 ივლისს ორგანული კანონის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 2013 წლის 7 აგვისტოს, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-3 პუნქტში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია გადმოტანილ იქნა და ამუშავდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან. კომისია, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ხელს უწყობდა დიალოგს მთავრობასა და არჩევნებში ჩართულ დაინტერესებულ პირებს შორის; უზრუნველყოფდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების შესახებ დაინტერესებული მხარის მიერ მოწოდებული, ასევე, მედიით გავრცელებული ცნობების გადამოწმებას. ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, დარღვევებზე რეაგირებისა და პრევენციის მიზნით, შეიმუშავა არაერთი რეკომენდაცია საჯარო მოხელეებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს ბრძანებით, განისაზღვრა კომისიის ახალი შემადგენლობა და დამტკიცდა კომისიის დებულება. მოცემული ბრძანების საფუძველზე, კომისიის ახალ წევრებად მოწვეულნი იყვნენ თავდაცვის სამინისტრო და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტრო. აგრეთვე, კომისიაში მოწვეულ იქნენ ახალ მონაწილეებად პოლიტიკური პარტიები „საქართველოს გზა“ (ქ-ნი სალომე ზურაბიშვილი), „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ (ქ-ნი ნინო ბურჯანაძე). კომისიამ აგრეთვე გაზარდა სამოქალაქო საზოგადოების ამ პროცესში მონაწილეობის ხარისხი და თავის მუშაობაში ჩართო 15 ახალი არასამთავრობო ორგანიზაცია. კომისიის სხდომებზე ასევე მიწვეული იყო ადამიანის უფლებათა ცენტრი, რომელიც სისტემატიურად ესწრებოდა სხდომებს. კომისიის სხდომები იმართებოდა ყოველ ორშაბათს ან ხუთშაბათს, 11 საათზე, გაფართოებული შემადგენლობით (10 სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, 15 პოლიტიკური პარტია და 1 მმართველი კოალიცია (6 პარტია), 18 არასამთავრობო ორგანიზაცია და 11 საერთაშორისო ორგანიზაცია/საელჩო).

- **სხვადასხვა დარღვევები**

1. „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის გიორგი მარგველაშვილის მხარდასაჭერად 24 სექტემბერს ქუთაისის ერთ-ერთ მველ, რეაბილიტირებულ უბანში ბერა ივანიშვილმა კონცერტი გამართა. აღნიშნული ღონისძიებისთვის მზადება სამი დღით ადრე დაიწყო. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე სატრანსპორტო მოძრაობა 22 სექტემბრიდან შეიზღუდა. გადაკეტილი იყო ცენტრალური მოედანი, სადაც მასშტაბური სცენა დამონტაჟდა. ადგილობრივები კი აღნიშნულ ტერიტორიაზე მხოლოდ ქვეითად გადაადგილდებოდნენ. ადგილობრივი თვითმმართველობის ტრანსპორტის სამსახურში აცხადებდნენ, რომ სატრანსპორტო შეზღუდვის ნებართვა საპატრულო პოლიციამ ისე გასცა, რომ მათთვის არაფერი უკითხავს. რაც შეეხება აღნიშნული შეზღუდვის გამო საქალაქო ტრანსპორტის შეცვლილ მარშრუტს, ამაზე მერიის ტრანსპორტის სამსახურმა იზრუნა. მან სპეციალურად 22, 23 და 24 სექტემბრისთვის ადგილობრივ საქალაქო ტრანსპორტს დროებითი შემოვლითი მარშრუტი დაუწესა. მოქალაქეები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, რომ ცენტრალური ქუჩა სამი დღით გადაიკეტა და ისიც სამუშაო დღეებში. ისინი სატრანსპორტო შეზღუდვაზე პასუხისმგებლობას ცენტრალურ ხელისუფლებას და „ქართულ ოცნებას“ აკისრებდნენ.

საარჩევნო დღის შეფასება

- **ზოგადი მიმოხილვა**

ადამიანის უფლებათა ცენტრი 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დღის მონიტორინგს საქართველოს 6 რეგიონში ახორციელებდა (იმერეთი, კახეთი, აჭარა, გურია, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი). ძირითადად, არჩეულ იქნა მთელი საქართველოს მასშტაბით ყველაზე ცხელი საარჩევნო უბნები, რაც განისაზღვრა წინა არჩევნების დაკვირვების შედეგად მიღებული სურათით.

სულ კენჭისყრის დღეს მობილიზება გაუკეთდა 36 დამკვირვებელს, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა რაიონში აკვირდებოდნენ საარჩევნო უბნების გახსნას, ხმის მიცემისა და შედეგების დათვლის პროცესს. არჩევნებთან დაკავშირებული ნიუსებისა და სტატიების მომზადება ევალუბოდა კოორდინატორ-ჟურნალისტებსა და სტაჟიორ ჟურნალისტებს რაიონებში. ჟურნალისტები სამართლებრივ საკითხებთან

დაკავშირებით კონსულტაციებს გადიოდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის ცხელი ხაზის იურისტთან.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ კენჭისყრის დღემ, ძირითადად, ჩაიარა მშვიდ და სამართლიან გარემოში. პოლიტიკური პარტიების წევრებისა და აქტივისტების მხრიდან არ ყოფილა ამომრჩევლებზე პირდაპირი ზეწოლა. ცენტრალური საარჩევნო კომისია და მისი წარმომადგენლები, ძირითადად, ინარჩუნებდნენ ნეიტრალიტეტს. დარღვევების უმრავლესობა პროცედურული ხასიათის იყო, რაც საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების საჭიროებაზე მეტყველებს. ასევე პრობლემა იქმნებოდა საარჩევნო სიის უზუსტობის გამო. ძირითადად, საარჩევნო უბნები გაიხსნა დროულად, ხმის მიცემის პროცესი იყო გამჭვირვალე. საარჩევნო გარემო იყო მშვიდი.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ნაკლები იყო ამომრჩევლის აქტიურობა, რამაც განაპირობა საარჩევნო უბნებს გარეთ რიგების არარსებობა. ამავე დროს, არ შეიძლება, არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ზოგი საარჩევნო უბანი განთავსებული იყო ძალიან მცირე ზომის შენობაში, რაც პრობლემას უქმნიდა საარჩევნო უბნის წევრებს და წარმომადგენლებს თავისუფალ გადაადგილებაში და პროცედურების კანონმდებლობის შესაბამისად დაკვირვებაში.

საარჩევნო უბნებზე, სამწუხაროდ, მცირე რაოდენობის დამხმარე საშუალებები იყო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩევლებისათვის. აქვე აღსანიშნავია, რომ მხედველობის არმქონე ამომრჩევლები, ამ მხრივ, უფრო დაცულები იყვნენ - მათ მიეცათ საშუალება, თავისუფლად განეხორციელებინათ ხმის მიცემის პროცედურა ბრაილის სპეციალური შრიფტის მქონე საშუალებით. რაიმე სახის დარღვევა ამ მხრივ არ დაფიქსირებულა.

ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რიგ უბნებზე (განსაკუთრებით - აჭარაში) გადასატანი საარჩევნო ყუთის გამყოლი კომისიის წევრებს თავმჯდომარეები იმაზე მეტ ბიულეტენებს ატანდნენ, ვიდრე იყო გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემი ამომრჩეველი.

პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს ის, რომ ე.წ. სპეცუბნები მხოლოდ სპეციალური რეჟიმის ქვეშ მყოფი სამხედრო და პოლიციის თანამშრომლებისთვის იყო გახსნილი და აღნიშნულ უბნებში მხოლოდ ყაზარმულ მდგომარეობაში მყოფი მოსამსახურეები მონაწილეობდნენ, ხოლო იმ სამხედრო მოსამსახურეებს და პოლიციის თანამშრომლებს, ვინც არ იმყოფებოდა ყაზარმულ რეჟიმში, შესაძლებლობა მიეცათ, ხმა მიეცათ იმ საარჩევნო უბანში, სადაც ჰქონდათ გავლილი რეგისტრაცია.

კენჭისყრისა და შედეგების შეჯამების დროს გამოვლენილი დარღვევებიდან შეიძლება გამოიყოს:

• დარღვევები

➤ აჭარა

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები არჩევნებს აკვირდებოდნენ ბათუმის და ხელვაჩაურის ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებზე. სხვა რეგიონებთან შედარებით აღნიშნულ უბნებში ფიქსირდებოდა ყველაზე მეტი პროცედურული დარღვევა. იყო მნიშვნელოვანი პრობლემა სიების უზუსტობის გამო, რის გამოც მრავალმა ამომრჩეველმა ვერ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. რამდენიმე საარჩევნო უბანზე გადასატან საარჩევნო ყუთს კომისიის თავმჯდომარემ გააყოლა იმაზე მეტი ბიულეტენების რაოდენობა, ვიდრე იყო ამომრჩეველი. ისევე როგორც სხვა რეგიონებში, აქაც ფიქსირდებოდა ერთ საარჩევნო უბანზე ერთი და იგივე საარჩევნო სუბიექტის რამდენიმე წარმადგენლის დასწრება. ხშირ შემთხვევებში, დარღვევაზე მითითების შემდეგ, კომისია დაუყოვნებლივ აღმოფხვრიდა ხოლმე აღნიშნულ დარღვევებს, რამაც განაპირობა შენიშვნების და საჩივრების ნაკლებობა. სულ ბათუმის და ხელვაჩაურის ოლქში შემავალ უბნებში, რომლებსაც აკვირდებოდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები დაიწერა 2 საჩივარი და 5 შენიშვნა.

1. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი აკვირდებოდა ხმის მიცემის პროცედურას ბათუმის №79 საარჩევნო ოლქის №7 საარჩევნო უბანში, სადაც გადასატანი ყუთი უბნიდან გაიტანეს 09⁰⁰ საათზე. კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გაატანა 6 კონვერტი და 9 ბიულეტენი. ბიულეტენთა მეტი რაოდენობის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა შენიშვნა მისცა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც განმარტა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მისცა უფლება, გადასატან ყუთზე გაეტანებინათ დამატებით რამდენიმე ბიულეტენი, კონვერტები კი გადასატან ყუთზე ამომრჩეველთა რაოდენობის ტოლი უნდა ყოფილიყო.
2. №79-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში შემავალ №52 №46, №63 და №72 საარჩევნო უბნებზე იყო, ასევე, გადასატანი ყუთისთვის ზედმეტად გატანებული ბიულეტენების პრობლემა. იგივე პრობლემა იყო ხელვაჩაურის №83 ოლქის № 1 საარჩევნო უბანზე, №3 საარჩევნო უბანზე.

საარჩევნო კოდექსის 66-ე მუხლის 3-ე პუნქტის თანახმად, „კენჭისყრის დღეს 9 საათიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გადასატანი საარჩევნო ყუთის თანხმლებ საარჩევნო კომისიის წევრებს გადასცემს გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას, სპეციალურ კონვერტებს და ამომრჩეველთა რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით დამოწმებულ საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენებს“, რაც გულისხმობს, რომ თავმჯდომარე ვალდებულია,

საარჩევნო კომისიის წევრებს გადასცეს ბიულეტენების ის რაოდენობა, რამდენი ამომრჩეველიცაა დარეგისტრირებული გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მისაცემად.

3. გადასატან საარჩევნო ყუთთან დაკავშირებული პრობლემები იყო, ასევე, ბათუმის №79 საარჩევნო ოლქის №37 საარჩევნო უბანზე. კერძოდ, გადასატანი ყუთის საარჩევნო სიაში რეგისტრირებული იყო 5 ამომრჩეველი, კომისიის წევრებს წადებული ჰქონდათ 9 ბიულეტენი, ხმა მისცა 5 ამომრჩეველმა, დაბრუნებულ 4 ბიულეტენს არ ჰქონდა ჩამოჭრილი კუთხე, ბიულეტენები ცალკე ფაილში ჰქონდათ შენახული. თავმჯდომარემ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს უთხრა, რომ დაავიწყდათ გამოუყენებელ ბიულეტენებზე კუთხის ჩამოჭრა. აღნიშნულთან დაკავშირებით დამკვირვებელმა შენიშვნა შეიტანა ჩანაწერთა წიგნში.

„საარჩევნო კოდექსის“ 66-ე მუხლის 7-ე პუნქტის თანახმად „კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო ყუთში არსებული და გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები და სპეციალური კონვერტების რაოდენობა შეჯამდება შედარების მიზნით. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ დარჩენილ გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს ჩამოეჭრება კუთხე, დაეწერება - „გაფუჭებულია“, ხელს მოაწერს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ისინი ცალკე შეინახება“.

4. ხშირად ფიქსირდებოდა ერთ საარჩევნო უბანზე ერთი და იგივე საარჩევნო სუბიექტის რამდენიმე წარმომადგენლის დასწრება. კერძოდ, №79 საარჩევნო ოლქის 7-ე საარჩევნო უბანში 16⁰⁰ საათისთვის ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა შეამოწმა სარეგისტრაციო ჟურნალი, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ საარჩევნო უბანზე პრეზიდენტობის კანდიდატის, ნინო ბურჯანაძის 4 წარმომადგენელი იმყოფებოდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწერა საჩივარი და კომისიის თავმჯდომარემ გაატარა შესაბამისი ღონისძიება. უბანზე დარჩა მხოლოდ 2 წარმომადგენელი.
5. ბათუმის №79 საარჩევნო ოლქის №37 საარჩევნო უბანზე პრეზიდენტობის კანდიდატებს, ნინო ბურჯანაძეს და დავით ბაქრაძეს ჰყავდათ ორზე მეტი წარმომადგენელი კენჭისყრის ოთახში. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში. კომისიის თავმჯდომარემ შენიშვნა გაითვალისწინა. უბანზე დარჩა აღნიშნული პრეზიდენტობის კანდიდატების მხოლოდ 2 წარმომადგენელი.
6. №79 საარჩევნო ოლქის № 20 საარჩევნო უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დააფიქსირა, რომ უბანზე იმყოფებოდა ნინო ბურჯანაძის 5 წარმომადგენელი. კომისიის თავმჯდომარეს მიეცა შენიშვნა დარღვევის შესახებ, მან

ეს პრობლემა აღმოფხვრა, შენიშვნის მიღების შემდეგ უბანზე დარჩა ნინო ბურჯანაძის მხოლოდ 2 წარმომადგენელი.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 42-ე მუხლის 2-ე პუნქტის თანახმად, „არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს, ერთი ან რამდენიმე სახის არჩევნებისას დანიშნოს მხოლოდ 2 წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში“.

7. ქ. ბათუმის №79 საარჩევნო ოლქის №73 საარჩევნო უბანზე მოსულ ამომრჩეველს, ერთიან სიაში, თავისი გრაფა შევსებული დახვდა. მისი განცხადებით, ეს ხელმოწერა მას არ ეკუთვნოდა, რაც დასტურდება ულტრაიისფერი ფანრის დანათებით მის ხელებზე მარკირების კვალის არქონით. ამას მოჰყვა შესაბამისი რეაგირება ამომრჩევლის მხრიდან. მან დაწერა განცხადება/საჩივარი. საჩივარი დაწერა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმაც. როგორც შემდგომ გაირკვა, საქმე იყო რეგისტრატორის დაუდევრობაში. მან ზემოთხსენებული ამომრჩევლის ადგილზე, შეცდომით, ორი გრაფით დაშორებული სხვა ამომრჩეველი გაატარა.

აღნიშნული დარღვევა პროცედურული ხასიათისაა, რაც გამომდინარეობს რეგისტრატორის უყურადღებობიდან, მაგრამ მსგავს დარღვევას აღნიშნულ უბანზე ადგილი აღარ ჰქონია, რაც არ იძლევა ვარაუდის საშუალებას, რომ მსგავსი ქმედება იყო გააზრებული და მიზნად ისახავდა არჩევნების შედეგების გაყალბებას.

8. №79 საარჩევნო ოლქის №52 საარჩევნო უბანზე 08⁴⁰ საათზე მივიდნენ ამომრჩევლები, რომლებიც არც ერთ საარჩევნო უბანზე არ აღმოჩნდნენ სიაში. ერთ-ერთმა ამომრჩეველმა, ნანული ბედინაძემ განმარტა, რომ იმ კორპუსს, სადაც ის ცხოვრობს, უტარდება რეკონსტრუქცია. აღნიშნულ კორპუსში მცხოვრები 80 ამომრჩევლიდან არც ერთი არ აღმოჩნდა სიაში. როგორც შემდგომ სხვა უბნებზეც გაირკვა, მსგავსი შემთხვევები ხშირი იყო ბათუმის უბნებზე, სადაც, საერთო ჯამში, 2000-ზე მეტი ამომრჩეველი არ აღმოჩნდა სიაში, რაც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, კახა ჯაიანმაც დაადასტურა.

9. №79 საარჩევნო ოლქის № 48-ე საარჩევნო უბანზე საპრეზიდენტო კანდიდატის, ნინო ბურჯანაძის რამდენიმე წარმომადგენელი ერთდროულად აკვირდებოდა საარჩევნო პროცედურას, რის გამოც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა ჩანაწერთა წიგნში აღნიშნული დარღვევები დააფიქსირა. თავდაპირველად, კომისიის მდივანმა უარი განაცხადა აღნიშნული დარღვევების ჩანაწერთა წიგნში დაფიქსირებაზე. დამკვირვებელი დაახლოებით 15 წუთი ცდილობდა, გაეკეთებინა დარღვევაზე ჩანაწერი, რაზეც პასუხობდნენ, რომ ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის გაკეთების უფლება მას არ ჰქონდა. შემდეგ

დამკვირვებელმა დარეკა ადამიანის უფლებათა ცენტრისა და ცესკოს ცხელ ხაზზე, სადაც განუმარტეს, რომ აღნიშნულის უფლება ჰქონდა და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა შესაძლებლობა, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია ჩანაწერთა წიგნში და მხოლოდ ამის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ დაატოვებინა ოთახი ერთ-ერთ წარმომადგენელს.

საარჩევნო კოდექსის 62-ე მუხლის 10-ე პუნქტის თანახმად, „არავის არ აქვს უფლება, ხელი შეუშალოს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე რომელიმე პირს, ჩანაწერი შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში“.

10. 79-ე საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში შემავალ №20 საარჩევნო უბანზე 18:10 საათზე ნასვამ მდგომარეობაში შევიდა მამაკაცი, რომელმაც ვერ შეძლო ხმის მიცემა და კაბინასთან მისულმა დახმარებისათვის მიმართა ნინო ბურჯანაძის წარმომადგენელს, მარიამ აბაშიძეს, რის გამოც კომისიის თავმჯდომარემ რეაგირება მოახდინა. მამაკაცს დაეხმარა უბანზე მოსული ამომრჩეველი. პრობლემა აღმოიფხვრა.

საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის 3 ნაწილის თანახმად, „საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია, დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს, ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა: საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა“.

11. ხელვაჩაურის №83 საარჩევნო ოლქის №31 საარჩევნო უბანზე 07³⁵ საათზე ერთ-ერთი ამომრჩეველი „შევარდა“ კენჭისყრის ოთახში, რის შემდეგაც მოითხოვა დროზე ადრე რეგისტრაცია და ხმის მიცემა. რის მიზეზადაც დაასახელა შემდეგი გარემოება: „სამსახურში მაგვიანდება და ეხლა თუ არ მომცემთ ხმის მიცემის უფლებას ჩემი ხმა დაიკარგება, რადგან სალამოს 9:00 საათამდე ვმუშაობ“. კომისიის თავმჯდომარემ განუმარტა, რომ მას უფლება არ ჰქონდა 08:00 საათამდე გაეხსნა უბანი. შესაბამისად, ამომრჩეველმა საკუთარი ნებით დატოვა კენჭისყრის ოთახი.

ასევე, მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ის, რომ №83 საარჩევნო ოლქის №31 საარჩევნო უბანი განთავსებული იყო ძალიან მცირე ზომის შენობაში, რაც პრობლემას უქმნიდა საარჩევნო უბნის წევრებს და წარმომადგენლებს თავისუფალ გადაადგილებაში და პროცედურების კანონმდებლობის შესაბამისად დაკვირვებაში. ამომრჩეველთა სამაგიდლო სია არ იყო დალაგებული ანბანის მიხედვით, რაც ამომრჩეველთა შესაბამისი მაგიდისკენ გადამისამართებას აძნელებდა და ამომრჩეველს უწევდა თითქმის ყველა სარეგისტრაციო მაგიდასთან მისვლა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითებით, ეს პრობლემა მოგვიანებით გამოასწორა კომისიის თავმჯდომარემ და

რეგისტრატორებმა ამომრჩეველთა სამაგიდო სია გადაინაწილეს ანბანის მიხედვით, რამაც ხმის მიცემის პროცედურა გაამარტივა.

12. №79 საარჩევნო ოლქის №60-ე საარჩევნო უბანში შესასვლელ კარზე პრეზიდენტობის კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის პლაკატები იყო გაკრული. გადაცდომა დაადასტურა კომისიის თავმჯდომარემაც. მისი თქმით, გიორგი მარგველაშვილის პლაკატი გვიან ღამით უცნობმა პირებმა გააკრეს. მისი ჩამოხსნა კომისიის ერთ-ერთ წევრს დაევალა, მაგრამ მან პლაკატის ბოლომდე ჩამოხვევა ვერ შეძლო. შენიშვნის მიღების შემდეგ კი საუბნო საარჩევნო კომისიის ერთ-ერთმა წევრმა მარტივად ჩამოხსნა პლაკატი. საოლქო კომისიის იურისტი განმარტავს, რომ დარღვევის შესახებ უბნის თავმჯდომარეს ოლქისთვის უნდა ეცნობებინა, მაგრამ ვალდებულება არ შეასრულა. შენიშვნის მიღების შემდეგ ეს პრობლემა აღმოიფხვრა - პლაკატი ბოლომდე ჩამოიხსნა.

13. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი დააკვირდა 83-ე ოლქის №3 საარჩევნო უბანზე კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურას, სადაც დახვდა შემდგომი სიტუაცია: კომისიის წევრს, რომელსაც ევალეობდა საარჩევნო ყუთის კონტროლი, მაგიდაზე განთავსებული ჰქონდა წიგნაკი, რომელზეც გამოხატული იყო ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის სიმბოლიკა, რაც საარჩევნო კოდექსის პირდაპირი დარღვევაა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მოახდინა შესაბამისი რეაგირება - ჩანაწერთა წიგნში შენიშვნის სახით ჩაიწერა აღნიშნული ფაქტი. შენიშვნა მალევე აღმოიფხვრა - სიმბოლიკა გატანილი იქნა კენჭისყრის ოთახიდან.

საარჩევნო კოდექსის 45-ე მუხლის მე-11 პუნქტით, კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია. ხოლო იმავე კოდექსის 2-ე მუხლის 3¹ პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აგიტაციად ითვლება „ამომრჩეველთა მოწოდება საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს ან ხელს უშლის მის არჩევას, ან/და რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის, წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზებაში/ჩატარებაში მონაწილეობა, საარჩევნო მასალების შენახვა ან გავრცელება, მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა“. სააგიტაციო მასალად ითვლება პლაკატები, დროშები და ნებისმიერი სხვა მასალა, რომლებზეც გამოსახულია საარჩევნო სუბიექტი სუბიექტი/საარჩევნო სუბიექტის კანდიდატი ან/და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი.

14. 83-ე ოლქის №48 საარჩევნო უბანში კომისიის წევრები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ისე, რომ სარეგისტრაციო ჟურნალში მათი ერთმანეთით ჩანაცვლების ფაქტი არ ფიქსირდებოდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მცისიერად მიმართა კომისიის თავმჯდომარეს, რომ მას მიეღო შესაბამისი ზომები. შენიშვნის

შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა. ნებისმიერი ფუნქციის შეცვლა ფიქსირდებოდა სარეგისტრაციო ჟურნალში. იმავე უბანში, სადემონსტრაციო ოქმში არ იყო შეტანილი მიღებული ბიულეტენების საერთო რაოდენობა, რაზეც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს მიეცა ზეპირი შენიშვნა. თავიდან დამკვირვებლის შენიშვნებმა კომისიის მდივანი გააღიზიანა, მაგრამ შემდგომში სადემონსტრაციო ოქმი ზედმიწევნით ზუსტად და დროულად ივსებოდა.

ფუნქციების გადაცემას არეგულირებს „საარჩევნო კოდექსის“ 61-ე მუხლის 2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტი: „კომისიის წევრის წილისყრით დადგენილი ფუნქციის გადაცემა კომისიის სხვა წევრისთვის შეიძლება, მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, რასაც კომისიის მდივანი აღნიშნავს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე დროის მითითებით“.

➤ გურია

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები არჩევნებს აკვირდებოდნენ ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებზე. დამკვირვებელთა განმარტებით, არჩევნების დღემ ექსცესების გარეშე ჩაიარა, მაგრამ იყო წვრილმანი დარღვევები, მაგალითად: პრობლემა იყო გადასატან საარჩევნო ყუთთან დაკავშირებით. კერძოდ, გადასატან საარჩევნო ყუთის გამყოლ კომისიის წევრებს ატანდნენ იმაზე მეტ ბიულეტენებს, ვიდრე იყო ამომრჩეველი; იყო შემთხვევა, როდესაც გადასატან საარჩევნო ყუთზე გამყოლი კომისიის წევრის კენჭისყრაში ორი ერთი და იგივე საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა; ერთ უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიამ საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით არ მოახდინა იმ პირის რეგისტრაცია, რომელსაც ესაჭიროებოდა გადასატანი ყუთი, რის გამოც მან ვერ მიიღო მანაწილეობა არჩევნებში. იყო სხვა დარღვევებიც. მაგალითად, ერთ უბანზე დღის ბოლოს აღმოჩნდა, რომ რეგისტრატორების ბეჭდებს არ ჰქონდათ გაკეთებული ნაკვეთური, რამაც თავმჯდომარის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დადება და ბიულეტენების ბათილობა გამოიწვია. მრავალ უბანში დაფიქსირდა ბიულეტენების რაოდენობის ნაკლებობა. ხშირ შემთხვევაში დამკვირვებლის მიერ დარღვევაზე სიტყვიერად მითითების შემდეგ პრობლემა უბანზე მალევე აღმოიფხვრა, რის გამოც ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ დაიწერა სულ 3 საჩივარი და 1 შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში.

1. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი აკვირდებოდა არჩევნებს № 60 საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებში. აღნიშნულ უბნებში კენჭისყრის და ხმის დათვლის პროცედურა წარმართა კანონის დაცვით. პრობლემა, რომელიც დაფიქსირდა ყველა აღნიშნულ უბანზე, ეს იყო საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის ნაკლებობა ამომრჩეველთა რაოდენობასთან მიმართებაში, რაც აღინიშნა ყველა შესაბამისი უბნის დღის ჩანაწერთა წიგნში.

2. 60-ე ოლქის №25 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა გადასატანი საარჩევნო ყუთის უბნიდან გვიან გასვლა. კერძოდ, გადასატანი ყუთი უბნიდან გავიდა დილის 10⁰⁰ საათზე, რაც „საარჩევნო კოდექსის“ 66-ე მუხლის 1 პუნქტის დარღვევაა („გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 9 საათიდან და სრულდება 19 საათზე“).
3. № 60-ე ოლქის № 6-ე უბანზე გადასატანი ყუთი, ასევე, 09:00 საათზე გაიტანეს უბნიდან. კომისიის თავჯდომარემ კომისიის წევრებს გაატანა 36 ბიულეტენი, რაც აღმატებოდა ამომრჩეველთა რაოდენობას. ბიულეტენთა მეტი რაოდენობის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა შენიშვნა მისცა კომისიის თავჯდომარეს, მან კი აუხსნა, რომ ცესკომ მისცა უფლება გადასატან ყუთთან გაეტანებინათ დამატებით რამოდენიმე ბიულეტენი.

ამ შემთხვევაშიც დარღვეულია საქართველოს „საარჩევნო კოდექსის“ 66-ე მუხლის 3-ე პუნქტის იმპერატიული მოთხოვნა, რომ თავმჯდომარე ვალდებულია, საარჩევნო კომისიის წევრებს გადასცეს ბიულეტენების ის რაოდენობა, რამდენიც ამომრჩეველია დარეგისტრირებული გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მისაცემად.

4. №61 საარჩევნო ოლქის შემავალ №17 საარჩევნო უბანში სულ რეგისტრირებული იყო 595 ამომრჩეველი, საუბნო კომისიაში საოლქოდან მივიდა 550 ბიულეტენი და 581 – სპეციალური კონვერტი. აღნიშნულის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა გააკეთა შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში.

საარჩევნო კოდექსის 63-ე მუხლის 8-ე პუნქტის თანახმად, „თითოეული საუბნო საარჩევნო კომისიისთვის გადაცემული სპეციალური კონვერტების რაოდენობა ტოლია საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობისა, ხოლო საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტების რაოდენობა - საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 50-ის ჯერადი რიცხვისა“. ამ შემთხვევაში, ეს მოთხოვნა არ იყო დაცული.

5. ლანჩხუთის №61 საარჩევნო ოლქის №06-ე საარჩევნო უბანზე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გადასატან საარჩევნო ყუთზე კენჭისყრაში მონაწილეობა „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველოს“ კომისიის ორ წევრს მიაღებინა. ამის გამო ყუთს ერთი საარჩევნო სუბიექტის ორი წარმომადგენელი გაჰყვა, რაზეც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი.

აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის 2 პუნქტის დ) ქვეპუნქტს: „პარტიის მიერ დანიშნულ კომისიის წევრთაგან საუბნო საარჩევნო

კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოავლენს გადასატანი საარჩევნო ყუთის წამლებ კომისიის 2 წევრს. ამასთანავე, ისინი არ შეიძლება იყვნენ ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრები“.

6. ჩოხატაურის № 62 საოლქო კომისიის № 31 საარჩევნო უბანზე გადასატანი ყუთი 24 ამომრჩეველთან უნდა მისულიყო. თუმცა, რეგისტრაციის ჟურნალში 23 ამომრჩეველი იყო დაფიქსირებული. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებდა, რომ დაფიქსირებული არ იყო, მაგრამ იცოდა, ვისთან უნდა მისულიყო ყუთი. აღნიშნულ ფაქტზე საჩივარი დაწერა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა. გადასატანი კომისიის მდივანმა შენიშვნა მიიღო.
7. ლანჩხუთის № 08 საარჩევნო უბანში აღმოჩნდა, რომ უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდა პოლიციის თანამშრომელი. როდესაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მისი უბანზე ყოფნის მიზეზი იკითხა, პოლიციელმა უპასუხა, რომ მას აქვს უფლება, იყოს მიმდებარე ტერიტორიაზე და „აკონტროლოს უბანი“. აღნიშნულის შესახებ დამკვირვებელმა მისცა ზეპირი მითითება კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც, ასევე მისცა შენიშვნა პოლიციელს, რომ დაეტოვებინა საარჩევნო უბნის ტერიტორია, რის შემდეგაც ის იძულებული გახდა, დამორჩილებოდა კომისიის თავმჯდომარეს.

საარჩევნო კოდექსის 59–ე მუხლის მე–6 პუნქტის თანახმად, „თუ კენჭისყრის შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო გადაადგილებას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით, შეიძლება, გამოძახებულ იქნენ და კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ პოლიციის მუშაკები. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისთანავე და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში, პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას და მის მიმდებარე ტერიტორიას“.

8. ლანჩხუთის №61-ე ოლქის № 7-ე საარჩევნო უბანზე 17:45 სთ-ზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღმოაჩინა, რომ რეგისტრატორების ბეჭედს ნაკვეთური არ ჰქონდა გაკეთებული. ნაკვეთური, წესით, უბნის გახსნის დროს უნდა გაკეთებულიყო. ეს არის კიდევ ერთი მექანიზმი იმისა, რომ გაყალბება თავიდან იქნას აცილებული. 17:45 საათისთვის, ამ უბანზე 230 ამომრჩეველს ჰქონდა ხმა მიცემული. აღნიშნული დარღვევის გამო, საოლქო საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, №7-ე უბნის კომისიის თავმჯდომარეს დაეკისრება ადმინისტრაციული სახდელი და მიეცა გაფრთხილება, ხოლო ბიულეტენები ბათილად იქნა მიჩნეული.

საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის 8-ე პუნქტის თანახმად, „საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოვლენილი ამომრჩეველთა რეგისტრატორის ბეჭედს უკეთებს სპეციალურ ნაკვეთურს, რომლის ნიმუშიც აისახება კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში, და გადასცემს თითოეულ რეგისტრატორს“. ანუ კანონმდებელი იმპერატიულად ავალდებულებს კომისიის თავმჯდომარეს რეგისტრატორის ბეჭედს გაუკეთოს სპეციალური ნაკვეთური, რომლის შეუსრულებლობა იწვევს ადმინისტრაციული სახდელის დაწესების წინაპირობას.

ოზურგეთის №60-ე უბანზე საკონტროლო ფურცელზე არ იყო მითითებული მისი საარჩევნო ყუთში ჩაგდების დრო, რაც „საარჩევნო კოდექსის“ 61-ე მუხლის 10-ე პუნქტის დარღვევაა.

➤ იმერეთი

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები საპრეზიდენტო არჩევნებს აკვირდებოდნენ ქუთაისის, სამტრედიისა და ბაღდათის ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებზე. დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული იყო ისეთი დარღვევები, როგორცაა: კონვერტების ნაკლები რაოდენობა ბიულეტენებთან შედარებით, აგიტაციის რამდენიმე შემთხვევა, საარჩევნო უბანზე პროვოკაციის მოწყობის ფაქტი. იყო შემთხვევები, როდესაც უბანზე მივიდა მარკირებული ამომრჩეველი. დამკვირვებლის მიერ დაიწერა საჩივარი ისეთი მნიშვნელოვანი პროცედურის დარღვევის გამო, როგორცაა საარჩევნო ყუთის დალუქვა, რადგან დღის 14 საათამდე არ იყო დალუქული საარჩევნო ყუთი. იყო პირადობის მოწმობის ასლით ხმის მიცემის მცდელობა. ისევე როგორც სხვა ოლქებში, აქაც დარღვევები, ძირითადად, გამოწვეული იყო საარჩევნო ადმინისტრაციის არაკვალიფიციურობით. იმერეთის რეგიონში იმ უბნებზე, რომლებსაც აკვირდებოდა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები დაიწერა 1 საჩივარი და 2 შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში. სხვა დარღვევები დამკვირვებლის მიერ მითითებისთანავე აღმოიფხვრა, რის გამოც მეტი შენიშვნა ან საჩივარი არ დაწერილა.

1. #54 საარჩევნო ოლქში შემავალ N 3 საარჩევნო უბანზე მიღებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა იყო 1050, ხოლო კონვერტები ნაკლები იყო, რაზეც დამკვირვებელმა გააკეთა შესაბამისი ჩანაწერი.

გარდა ამისა, დღის მეორე ნახევარში საუბნო საარჩევნო კომისიაში შევიდა ახალგაზრდა, რომელსაც ეცვა კოალიცია „ქართული ოცნების“ მაისური, რაც აკრძალულია საარჩევნო კოდექსით. კომისიის თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება აღნიშნულზე და საკმაოდ მკაცრად მოსთხოვა შენობაში მყოფ ამომრჩეველებს, რომ მსგავსი აგიტაცია აღარ განმეორებულყო. ხოლო ახალგაზრდას მოსთხოვა, რომ შეეხებია ქურთუკი, რასაც ის დაემორჩილა, რის შემდეგაც დატოვა საარჩევნო უბანი.

2. №59 საარჩევნო ოლქის № 25 საარჩევნო უბანზე დღის მეორე ნახევარში ხალხის ნაკადის მატებასთან ერთად შეინიშნა დარღვევებიც. კერძოდ, ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის დამკვირვებელი საარჩევნო უბანში შევიდა კომისიის მდივანთან რეგისტრაციის გავლის გარეშე და ცდილობდა, ერთგვარი პროვოკაცია მოეწყო უბანში. ის არ უჩვენებდა კომისიის თავმჯდომარეს თავის სადამკვირვებლო საბუთს და ამით ცდილობდა, ხმაური გამოეწვია. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა კომისიის თავმჯდომარეს დაუყოვნებლივ მოსთხოვა რეაგირება და მკაცრად მოითხოვა, შენობაში მყოფ დამკვირვებელს წარედგინა შესაბამისი დოკუმენტი, რის შემდეგაც ეს დამკვირვებელი უბნიდან წავიდა. ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნულის შესახებ გააკეთა ჩანაწერი დღის ჩანაწერთა წიგნში, რაზეც ხელი მოაწერა იქ მყოფმა ყველა დამკვირვებელმა.

საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დამკვირვებელს არა აქვს უფლება: ა) ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში, ე) კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე. იმავე მუხლის 4 პუნქტის თანახმად „დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მედიის წარმომადგენლების მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტის "ა"-დ" ქვეპუნქტების მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით“. ხოლო „საარჩევნო კოდექსის“ 27-ე მუხლის ზ) პუნქტის თანახმად, სწორედ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეა პასუხისმგებელი კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნის შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვისთვის.

3. №59 საარჩევნო ოლქის № 25 საარჩევნო უბანზე, დღის მეორე ნახევარში შემოსასვლელ კარში იდგა დიდი რაოდენობით ამომრჩეველი, რაც აფერხებდა საარჩევნო პროცესის მსვლელობას. კომისიის თავმჯდომარემ გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის შენიშვნა და ნაკადის მარეგულირებელს სთხოვა, დაერეგულირებინა სიტუაცია.
4. იმავე საარჩევნო უბანზე ერთ-ერთი ამომრჩეველი, რომელიც საჭიროებდა ბინაზე ყუთის მიტანას, არ იყო საარჩევნო სიაში შეყვანილი. როგორც აღმოჩნდა და როგორც ამომრჩევლის ახლობლებმა განაცხადეს, სიაში ამომრჩევლის შეყვანის შესახებ თავმჯდომარემ მათ ინფორმაცია წინასწარ არ მიაწოდა. ისინი ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენჯერმე იყვნენ კონსულტაციისთვის თავმჯდომარესთან ნამყოფნი. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა შენიშვნა მისცა თავმჯდომარეს, რომელმაც უპასუხა, რომ აღნიშნული ფაქტი გამორჩა. შემდეგ დამკვირვებელმა მოსთხოვა აღნიშნულ ფაქტზე ახსნა-განმარტების დაწერა. თავმჯდომარემ ახსნა-განმარტება დაწერა.

5. მოგვიანებით იმავე უბანზე ხმის მისაცემად შევიდა ახალგაზრდა მანდილოსანი, რომელსაც ნაკადის მარეგულირებელმა აღმოუჩინა მარკირების სითხე მარჯვენა ხელის თითებზე, რაზეც მანდილოსანმა სცადა თავის გამართლება. საუბარი ხმამაღალ ლაპარაკში გადაიზარდა, რის შემდეგაც დამკვირვებელმა მოსთხოვა კომისიის თავმჯდომარეს, გაენეიტრალებინა სიტუაცია. თავმჯდომარემ აღნიშნული პიროვნება არ დაუშვა საარჩევნო უბანში. კენჭისყრის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე მოვიდნენ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჟურნალისტები. მათ განაცხადეს, რომ ამ უბანზე ადგილი ჰქონდა ე.წ. „კარუსელს“. თუმცა, აღნიშნული არ შეესაძლებოდა სიმართლეს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი უშუალოდ აკვირდებოდა ხმის დათვლის პროცედურას, რომელმაც ექსცესების გარეშე ჩაიარა.

საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კენჭისყრის ოთახში შესვლისას ამომრჩეველი გადის მარკირების შემოწმების პროცედურას. თუ ამომრჩეველი არ იქნება მარკირებული, მას მხოლოდ ამ შემთხვევაში მიეცემა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება“. „საარჩევნო კოდექსის“ 59-ე მუხლის მე-4 პუნქტი, ასევე, იძლევა კომისიის შენობიდან დამრღვევის გაძევების უფლებას, კერძოდ - „კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსების შენობიდან დამრღვევის გაძევების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საუბნო საარჩევნო კომისია, რაზედაც დგება შესაბამისი აქტი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. აქტში აღინიშნება დამრღვევის სახელი და გვარი, საარჩევნო ოლქისა და უბნის ნომრები, დარღვევის არსი და მისი ჩადენის ზუსტი დრო“.

6. ქუთაისის N-59 საარჩევნო ოლქის 40-ე საარჩევნო უბნებზე იყო ე.წ კარუსელის მცდელობა. მარკირებული ამომრჩეველი ხელახლა ცდილობდა საარჩევნო უბანზე შესვლას და ხმის მიცემას. ასევე იყო სხვა მცირეოდენი დარღვევები, რომლებიც, ძირითადად, საარჩევნო ადმინისტრაციის (კომისიის წევრთა) არაკვალიფიციურობით იყო გამოწვეული და ადგილი არ ჰქონია, რაიმე გამიზნულ დარღვევას. უნდა ითქვას, რომ ყველა დარღვევა, რაც აღნიშნულ უბანში ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მიერ იყო დაფიქსირებული, ძირითადად, ადმინისტრაციის გამოუცდელიობით იყო გამოწვეული და დაუყოვნებლივ აღმოიფხვრა.
7. 59-ე ოლქის 71-ე საარჩევნო უბანზე ადგილი ჰქონდა დარღვევას, რის თაობაზეც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი. კერძოდ, არ იყო დალუქული საარჩევნო ყუთი, ანუ დღის 2 საათისთვის დამკვირვებელმა აღმოაჩინა, რომ უბნის გახსნის შემდგომი პროცედურებიდან თავმჯდომარეს და კომისიის წევრებს გამორჩათ მეტად მნიშვნელოვანი პროცედურა - საარჩევნო ყუთის დალუქვა და მხოლოდ დამკვირვებლის საჩივრის შემდეგ აღმოიფხვრა აღნიშნული პრობლემა. სამწუხაროდ, საარჩევნო ადმინისტრაცია (კომისიის

სრული შემადგენლობა) არ გამოირჩეოდა სათანადო ცოდნითა და გამოცდილებით, რის გამოც არსებობდა მოსალოდნელი დარღვევების დიდი ალბათობა.

8. #52 საარჩევნო ოლქის N 01 საარჩევნო უბანზე 7³⁰ სთ-ზე დაიწყო წილისყრა კომისიის წევრებს შორის ფუნქციების გასანაწილებლად. 7⁴⁵ სთ-ზე მოვიდა კომისიის მე-13 წევრი. უბნის გახსნის მოსამზადებელი პროცედურა მიმდინარეობდა წესების დაცვით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კომისიის წევრების დაგვიანებამ შეაფერხა უბნის დროულად გახსნა. უბანი გაიხსნა 8²⁰ სთ-ზე. ამ დროისათვის უკვე იყო რამდენიმე ამომრჩეველი რიგში. ხმის მიცემის პროცედურა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, არ გამოირჩეოდა ხალხის დიდი რაოდენობა. ერთ-ერთმა რეგისტრატორმა ერთი კონვერტით მეტი გასცა ამომრჩეველზე და საარჩევნო ყუთში ერთი კონვერტით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ხელმოწერა. ეს დარღვევა 10 საათისთვის გამოვლინდა და მდივანმა შეიტანა ჩანაწერთა წიგნში. ასევე დაფიქსირდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლით ხმის მიცემის მცდელობა, თუმცა როგორც კი დამკვირვებელმა ამაზე მიუთითა რეგისტრატორს, რეგისტრატორმა უარი უთხრა ამომრჩეველს ბიულეტენების გაცემაზე. ასევე საარჩევნო უბანში აღმოჩნდნენ ერთი საარჩევნო სუბიექტის რამდენიმე წარმომადგენელი. თავმჯდომარემ ფაქტის აღმოჩენისთანავე მიუთითა მათ დარღვევაზე და დაატოვებინა უბანი.

საარჩევნო კოდექსის 61-ე მუხლის 1 პუნქტი განმარტავს, „საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის 7 საათზე. თუ ამ დროისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა შვიდზე ნაკლები აღმოჩნდა, ამის თაობაზე ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც დაუყოვნებლივ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას“. მოცემულ შემთხვევაში, ეს მოთხოვნა არ შესრულდა და კომისიის თავმჯდომარე დაელოდა, როდის მოვიდოდა კომისიის ყველა წევრი, რის გამოც დაგვიანებით გახსნა საარჩევნო უბანი, რაც სცილდება სამართლებრივ ჩარჩოებს.

რაც შეეხება პირადობის მოწმობის ასლით ხმის მიცემას, მსგავსი უფლება მოქმედი კანონმდებლობით არ არსებობს, რადგან კანონი პირდაპირ განსაზღვრავს თუ რა საბუთით შეუძლია ამომრჩეველს ხმის მიცემა. ესენია: საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი, (საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში - დევნილის მოწმობა, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან ერთად). ერთიან სიაში რეგისტრირებულ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეს უფლება აქვს, წარმოადგინოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პასპორტი (საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის 2 ნაწ. „ბ“ პუნქტი).

9. N-59 საარჩევნო ოლქის N128 საარჩევნო უბანში იმყოფებოდა პრეზიდენტობის კანდიდატის დავით ბაქრაძის რამდენიმე წარმომადგენელი, რომელთაც

სურდათ, დარჩენილიყვნენ აღნიშნულ უბანში. ამის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აცნობა თავმჯდომარეს და ერთ-ერთი მათგანი გაამძევეს საარჩევნო უბნიდან. ამის შემდეგ დამკვირვებელმა შენიშნა, რომ დევნილი ამომრჩეველი რეგისტრატორმა დევნილის მოწმობის გარეშე გაატარა რეგისტრაციაში. თავმჯდომარემ ამის თაობაზე დამკვირვებელს განუმარტა, რომ ამის უფლება მას საოლქო საარჩევნო კომისიიდან ჰქონდა მიღებული. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაუყოვნებლივ დარეკა საოლქო კომისიაში, რათა გაერკვია ეს საკითხი. საოლქო კომისიამ აღნიშნული ინფორმაცია არ დაადასტურა, რის შემდეგაც ამომრჩეველს მიეცა რეკომენდაცია, მოეტანა დევნილის მოწმობა და ისე მიეღო მონაწილეობა არჩევნებში.

10. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა შენიშნა, რომ N-59 საარჩევნო ოლქის N9 საარჩევნო უბანში რეგისტრატორი ახორციელებდა არასწორად ბიულეტენების მოხვევას შესაბამისი ბლოკნოტიდან, ორ ბიულეტენს კოდებიც ჰქონდა მოხეული, დამკვირვებელმა თავმჯდომარეს მოსთხოვა ამ დარღვევის აღმოფხვრა. რეგისტრატორს მიეცა მითითება და გაფრთხილება, რომ მსგავსი ქმედება არ განმეორებულიყო.

11. N-59 საარჩევნო ოლქის N- 9 საარჩევნო უბანში ხმების გადათვლის შედეგად დამკვირვებელმა დააფიქსირა, რომ რეგისტრატორს ხელი ჰქონდა მოწერილი ამომრჩევლის საიდენტიფიკაციო ხაზის გასწვრივ - ამომრჩეველს კი არა. სასწრაფოდ ეცნობა ამის შესახებ თავმჯდომარეს, რის შემდეგაც თავმჯდომარემ გადათვალა ცარიელი ბიულეტენები. აღმოჩნდა, რომ ზედმეტი ბიულეტენი გაცემული იყო. რეგისტრატორმა აღნიშნულ დარღვევაზე ახსნა-განმარტებითი ბარათი დაწერა.

➤ კახეთი

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები არჩევნებს აკვირდებოდნენ გურჯაანის, ახმეტის, საგარეჯოს და ყვარლის ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებზე. აღნიშნულ რეგიონში სხვა რეგიონებთან შედარებით, სადაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები არჩევნებს აკვირდებოდნენ, გამოვლინდა ყველაზე ნაკლები დარღვევა. ყველა დარღვევა გამოსწორდა მაშინვე, როგორც კი დამკვირვებელმა მითითება მისცა კომისიის თავმჯდომარეს, რის გამოც აუცილებლობა აღარ იყო აღნიშნულ დარღვევებზე შენიშვნის ან საჩივრის დაწერა. მეტად საყურადღებოა ეთნიკურად აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში გამოვლენილი პრობლემები, სადაც თვალშისაცემია მოქალაქეთა განათლების დაბალი დონე. ხშირ შემთხვევაში, მათ არ იცოდნენ წერა-კითხვა, არ იცოდნენ ხმის მიცემის პროცედურა, ზოგიერთმა ხელის მოწერაც ვერ შეძლო. მასობრივად ელოდებოდნენ სხვა ამომრჩეველს, რათა ის მიხმარებოდა ხმის მიცემაში. თუმცა, იყო შემთხვევები, როცა

არც მეორე ამომრჩეველმა არ იცოდა წერა-კითხვა, რის გამოც ხდებოდა ამომრჩეველების საარჩევნო უბანზე დიდხანს დაყოვნება, რაც არასასურველია საარჩევნო პროცესისთვის. ხშირ შემთხვევაში, ასეთი ტიპის ამომრჩეველები კაბინიდან გამოდიოდნენ გაშლილი ბიულეტენით, რითაც ირღვეოდა არჩევნების ფარულობა. გარდა აღნიშნულისა, იყო შემთხვევები, როდესაც წარმომადგენელი უბანზე იმყოფებოდა სამკერდე ნიშნის გარეშე, ასევე როდესაც რეგისტრატორი არასწორად აკეთებდა მარკირებას. გამოვლინდა არჩევნების დღეს აგიტაციის შემთხვევაც.

1. ლაგოდეხის N 17 საარჩევნო ოლქში შემავალ 37-ე საარჩევნო უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთ დამკვირვებელს არ ჰქონდა სამკერდე ნიშანი. მას ეთხოვა, განემარტა, საიდან იყო და რატომ არ ჰქონდა შესაბამისი მოწმობა. თავმჯდომარის მოწოდების შემდეგ მან ქურთუკიდან ამოიღო მოწმობა და კისერზე დაიკიდა.

საარჩევნო კოდექსის 41-ე მუხლის 2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, აკრძალულია, პირი კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე.

2. N 17 საარჩევნო ოლქში შემავალ უბნებში, რომლებიც განთავსებულია ეთნიკურად აზერბაიჯანულად დასახლებულ სოფლებში, ამომრჩეველი მოუმზადებელი და დაბნეული იყო. მათ არ იცოდნენ რა სახით უნდა მიეცათ ხმა, არ იცოდნენ, რომ საჭირო იყო სასურველი კანდიდატის შემოხაზვა. გარდა ამისა, უმეტესი მათგანი კაბინიდან გამოდიოდა გაშლილი ბიულეტენით, რადგან არ იცოდნენ, რომ კონვერტში უნდა მოეთავსებინათ ბიულეტენი და ა.შ. ანუ ძირითადი პრობლემა იყო მოსახლეობის განათლების დაბალი დონე.
3. N 12 საარჩევნო ოლქის N 47-ე საარჩევნო უბანში ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მოითხოვა მიღება- ჩაბარების აქტი, რათა დაედგინა მიღებული ბიულეტენების და კონვერტების რაოდენობა. აღმოჩნდა, რომ საარჩევნო კომისიას მიუღია 950 საარჩევნო ბიულეტი და 974 კონვერტი, რაც ეწინააღმდეგება საარჩევნო კოდექსის მოთხოვნებს. დამკვირვებლის ყურადღება ასევე მიიპყრო კიდევ ერთმა ფაქტმა - ბიულეტენების დალუქულ პაკეტს ზემოდან კალმით ეწერა 1024, რაც აჩენდა ეჭვს, რომ შესაძლოა, ეს ყოფილიყო რეალურად მიღებული ბიულეტენების რაოდენობა, მაგრამ აღნიშნული ციფრი არ ემთხვეოდა აქტში მითითებულ რიცხვს. დამკვირვებელმა მაშინვე დარეკა გურჯაანის N12 საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან და გადაამოწმა ბიულეტენების საერთო რაოდენობა, რის შემდეგაც აღმოჩნდა, რომ ბიულეტენების რაოდენობა იყო ის, რაც მითითებული იყო აქტში. შესაბამისად, რაიმე სახის დარღვევა არ გამოვლენილა ამ კუთხით. სხვა რაიმე მნიშვნელოვან დარღვევას საარჩევნო უბანზე ადგილი არ ჰქონია.

4. N 12 საარჩევნო ოლქის N5 უბანზე, დამკვირვებელი სისტემატიურად საუბრობდა რეგისტრატორთან, რის შესახებაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა თავმჯდომარეს მისცა მითითება. დამკვირვებლის ჩარევის შემდეგ დარღვევა აღარ განმეორებულა.
5. N 16 საარჩევნო ოლქის N 3 საარჩევნო უბანზე ერთ-ერთი რეგისტრატორი მარკირების სითხეს ამომრჩეველს მარცხენა თითზე უსვამდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა აღნიშნულის შესახებ მიმართა თავმჯდომარეს. თავმჯდომარემ მარკირება იგივე პიროვნებისათვის მარჯვენა ხელის თითზეც გააკეთებინა. შესაბამის რეგისტრატორს მიეცა შენიშვნა, რომ მსგავსი ქმედება არ განმეორებულიყო. ამის შემდეგ ერთ რეგისტრატორს დაუზიანდა ბიულეტენი. დამკვირვებელმა მოითხოვა, აღნიშნული ბიულეტენი ბათილად ჩაეთვალოს, რადგან დაზიანება იმდენად შესამჩნევი იყო, რომ ხმის მიცემის ფარულობის პრინციპი ირღვეოდა. საბოლოოდ ბიულეტენი ბათილად მიიჩნის.
6. N 16 საარჩევნო ოლქის N 3 საარჩევნო უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის ყურადღება მიიქცია რამდენიმე ქალბატონმა, რომლებიც დილის საათებშიც იყვნენ საარჩევნო უბნის ეზოში. შეკითხვაზე, თუ ვინ იყვნენ ეს ქალბატონები, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იგი არ აქცევს ყურადღებას, ეზოში რა ხდება და მას მხოლოდ საარჩევნო კომისიის შენობაში წესრიგის დაცვა ევალება. ამის შემდეგ დამკვირვებელი გავიდა ეზოში და პირადად მათ ჰკითხა, ვინ ბრძანდებოდნენ, რაზეც უპასუხეს, რომ აგიტატორები არიან. დამკვირვებელმა მოითხოვა, აგიტატორებს დაეტოვებინათ საარჩევნო უბნის ტერიტორია, მაგრამ ისინი მოთხოვნას არ დაემორჩილნენ. შემდეგ დამკვირვებელმა მიმართა თავმჯდომარეს და მანაც მოუწოდა აგიტატორებს დაეტოვებინათ საარჩევნო უბნის ტერიტორია. საჭირო გახდა საარჩევნო ოლქში დარეკვაც, რადგან აგიტატორები არ ემორჩილებოდნენ არც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის ამგვარი რეაგირების და საოლქო კომისიის ჩარევის შემდეგ აგიტატორებმა საბოლოოდ დატოვეს საარჩევნო უბნის ტერიტორია.
7. N 16 საარჩევნო ოლქის N 3 საარჩევნო უბანზე მომხდარმა ფაქტმა დააეჭვა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი. იგი წავიდა სხვა საარჩევნო უბნებზეც, სადაც მსგავსი სიტუაცია დახვდა, კერძოდ - 16-ე ოლქის N 1 და N 4 საარჩევნო უბნებში. №1 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს დამკვირვებელმა მიმართა სიტყვიერი შენიშვნით, რომ საარჩევნო უბნის ეზოში იყვნენ აგიტატორები, რაზეც მან უპასუხა, რომ ამის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რადგან აგიტატორები იმყოფებოდნენ შენობის პირველ სართულზე, ხოლო საარჩევნო უბანი იყო განთავსებული მეორე სართულზე. დამკვირვებლის მოთხოვნას აგიტატორების მიმართ კვლავ

მოჰყვა მათი გაღიზიანება და საუბარი კამათით დასრულდა. აგიტატორებმა საარჩევნო უბანი დატოვეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კვლავ საოლქო საარჩევნო კომისიაში დაირეკა. ანალოგიური სიტუაცია იყო 4 -ე საარჩევნო უბანშიც.

8. #12 საარჩევნო ოლქში შემავალ №1 საარჩევნო უბანში ფარული კენჭისყრის კაბინებში საპრეზიდენტო კანდიდატთა სიები არ იყო გამოკრული. ამასთან დაკავშირებით, თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამომრჩევლები ხშირ შემთხვევაში, უშუალოდ სანიმუშო სიიდან აფიქსირებენ საკუთარ პოზიციას და ამ მიზეზის გამო აღარ გამოაკრეს. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითების შემდეგ სიები გამოიკრა. პრობლემა იყო საარჩევნო დოკუმენტაციის რაოდენობასთან დაკავშირებით, კერძოდ - სპეციალური კონვერტების რაოდენობა შეადგენდა 1236-ს, ხოლო ბიულეტენებისა - 1200-ს. ანუ კონვერტი იყო 36-ით მეტი, რაზეც დამკვირვებელმა გააკეთა შესაბამისი ჩანაწერი დღის ჩანაწერთა წიგნში.
9. №11 საარჩევნო ოლქის №16 უბანზე, დაფიქსირდა ორგანიზაცია „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორიის“ ზედმეტი აქტივობა, რაც გამოიხატა უბანზე რამდენიმე წარმომადგენლის ერთდროულად ყოფნაში. აღნიშნული საკითხით ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა მიმართა კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც მაშინვე გადაამოწმა მათი სამკერდე ნიშნები პირადობის მოწმობასთან ერთად და თხოვნით მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენლებს, დაეტოვებინათ საარჩევნო უბანი და დარჩენილიყო მხოლოდ ერთი წარმომადგენელი.
10. 11-ე ოლქის №15 უბანზე, 18:45 სთ-ზე კენჭისყრის ოთახში შემოვიდა პირი არაფხიზელ მდგომარეობაში, რომელმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ყველა იმ ამორჩეველს, ვინც ხმა მისცა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს. მყისიერად მოხდა ამ პრობლემის მოგვარება და თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ დაატოვებინა პირს როგორც საარჩევნო უბანი, ისე მიმდებარე ტერიტორია.

➤ ქვემო ქართლი

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები არჩევნებს აკვირდებოდნენ რუსთავის და გარდაბნის ოლქებში შემავალ საარჩევნო უბნებზე. დამკვირვებელთა განმარტებით, არჩევნების დღემ, ძირითადად, ექსცესების გარეშე ჩაიარა, მაგრამ იყო წვრილმანი დარღვევებიც. მაგალითად: საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლებს ჰქონდათ მცდელობა საარჩევნო ბიულეტენტან ერთად კონვერტში ჩაეგდოთ ამომრჩევლის ბარათი, სადაც მათი ვინაობა იყო მითითებული. დამკვირვებლების მხრიდან საარჩევნო უბნის თავმჯდომარეს სიტყვიერად ეძლეოდა მითითება, რათა ამომრჩევლებისთვის აეხსნათ კონვერტში მხოლოდ ბიულეტენის ჩადების საჭიროება.

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები ქვემო ქართლის რეგიონში არჩევნებს, ასევე, აკვირდებოდნენ არაქართულენოვანი მოქალაქეებით დასახლებულ სოფლებში გახსნილ საარჩევნო უბნებშიც. დამკვირვებლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, იყო თუ არა ბიულეტენები, ხმის მიცემის ინსტრუქცია და საარჩევნო სიები არაქართულ, კერძოდ კი - აზერბაიჯანულ ენაზე. დამკვირვებლები განმარტავენ, რომ სადაც აკვირდებოდნენ, ყველა საარჩევნო უბანში აღნიშნული დოკუმენტაცია ქართულ-აზერბაიჯანულ ენაზე იყო წარმოდებული.

საარჩევნო კოდექსის 62-ე მუხლის 2 პუნქტის თანახმად, „ჩანაწერთა წიგნი იწარმოება ქართულ ენაზე, ხოლო იმ საარჩევნო ოლქებისათვის, რომლებისთვისაც საარჩევნო ბიულეტენები იბეჭდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგებ სხვა ენაზედაც, ჩანაწერთა წიგნი შეიძლება იწარმოებოდეს შესაბამის ენაზედაც“.

1. გარდაბნის №3 საარჩევნო უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის ყოფნის დროს კონვერტის ჩაგდების შემდეგ მოქალაქემ განაცხადა, რომ ბიულეტენთან ერთად პირადობის მოწმობაც ჩაჰყვა. კომისიის თავმჯდომარემ აუხსნა, რომ ყუთიდან ვერ ამოუღებდა პირადობის მოწმობას და მხოლოდ ხმების დათვლის შემდეგ, მეორე დღეს მისცემდნენ. სიტყვიერი გაფრთხილება მიეცა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ფლორა ნეიმატოვას. ინციდენტის შემდეგ ის ყურადღებით აკვირდებოდა არჩევნების პროცესს და აფრთხილებდა ამომრჩევლებს, რომ კონვერტში მხოლოდ ბიულეტენი უნდა ჩაედოთ.

პროცედურას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ბიულეტენის სპეციალურ კონვერტში მოთავსება გამსაზღვრავს საარჩევნო კოდექსის 65-ე მუხლის „დ“ პუნქტი: „დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენით ამომრჩეველი მიდის განცალკევებით მდგარ მაგიდასთან, საიდანაც დამოუკიდებლად იღებს სპეციალურ კონვერტს და მასში ათავსებს ბიულეტენს. მხოლოდ ამომრჩეველია უფლებამოსილი, საარჩევნო ბიულეტენი მოათავსოს სპეციალურ კონვერტში. საარჩევნო კომისიის წევრს არა აქვს უფლება, გახსნას შევსებული საარჩევნო ბიულეტენი ან სხვაგვარად დაარღვიოს კენჭისყრის ფარულობა“.

2. არჩევნების მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრის მობილურ ჯგუფს დაუკავშირდნენ გარდაბნის რაიონის სოფელ ქესალოდან და განაცხადეს, რომ ქესალოს №52 და №53 საარჩევნო უბნებზე გამოქვეყნებულია პრეზიდენტობის კანდიდატების ნინო ბურჯანაძის და გიორგი მარგველაშვილის სააგიტაციო მასალა. ადგილზე მისვლისას ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა ნახა, რომ სააგიტაციო მასალა, კერძოდ - პლაკატები გაკრული იყო საარჩევნო უბნიდან 100 მეტრის მოშორებით. მანძილის გარდა, მათ საარჩევნო უბნიდან ამორებდა საავტომობილო გზაც. პლაკატები არ იყო ახალი გაკრული, რადგან

გამოსახულება ნაკლებად მკვეთრი და დაზიანებული იყო. შესაბამისად, ამ პლაკატების მეშვეობით აგიტაციას საარჩევნო უბნებზე ადგილი არ ჰქონია. მოგვიანებით ინფორმაციები გავრცელდა გარდაბნის რაიონ სოფელ გამარჯვებისა და სართიჭალიდან, რომ ხდებოდა ამომრჩევლების სამარშრუტო ტაქსებით გადაყვანა საარჩევნო უბნამდე. თუმცა, ადგილზე მისვლისას მსგავსი ფაქტი არ დადასტურდა.

3. რუსთავის №2 საარჩევნო უბანში შესაბამისი პროცესის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა შემაჯამებელ ოქმში არ შეიტანა ორი პოლიტიკური სუბიექტის - ზურაბ ხარატიშვილის და ნინო ბურჯანაძის მიერ მიღებული ხმები. მითითების შემდეგ მან განაცხადა, რომ შეეშალა და შესაბამისი, მინაწერი გააკეთა ოქმზე, ასევე შეადგინა შესწორების ოქმიც.

როგორც ჩვენი დამკვირვებლის ანგარიშიდან და წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, მართალია, კომისიის თავმჯდომარემ შეადგინა შესწორების ოქმი, მაგრამ ოქმშიც ჩასწორდა მონაცემები, რაც აკრძალულია საარჩევნო კოდექსით. კერძოდ, საარჩევნო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით, „აკრძალულია შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება. ასეთი შემაჯამებელი ოქმის ბათილობის საკითხს განიხილავს ზემდგომი საარჩევნო კომისია. შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება იწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივნის პასუხისმგებლობას ამ კანონით დადგენილი წესით. თუ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას დაშვებულ იქნა შეცდომა, მის გამოსასწორებლად შემაჯამებელ ოქმში შესაბამისი მონაცემის გასწვრივ მაშინვე კეთდება წარწერა - „შესწორებულია“. საარჩევნო კომისიამ უნდა შეადგინოს შესწორების ოქმი, რომელშიც აღინიშნება შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემის შესწორება და ამ ოქმის შედგენის თარიღი და დრო. სხდომაზე დამსწრე საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ვალდებულია, ხელი მოაწეროს შესწორების ოქმს. შესწორების ოქმს დაესმება საარჩევნო კომისიის ბეჭედი, გატარდება კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში და დაერთვება იმ შემაჯამებელ ოქმს, რომელში შეტანილი მონაცემიც შესწორდა“.

4. ბოლნისის N 23 საარჩევნო ოლქის N 13 საარჩევნო უბანში ზოგიერთი ამომრჩეველი საარჩევნო კაბინიდან გამოდიოდა გაშლილი ბიულეტენით. დამკვირვებლების შენიშვნის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ აღკვეთა მსგავსი ქმედება. თუმცა, კომისიის წევრებმა აგრესიით უპასუხეს შენიშვნის მიმცემ დამკვირვებელს და განუცხადეს, რომ შესაბამისი ოქმის საფუძველზე დაატოვებინებდნენ საარჩევნო უბანს. მოხდა მცირედი შელაპარაკება დამკვირვებლებსა და საარჩევნო კომისიის წევრებს შორის. 14⁴⁰ სთ-ზე ერთ-ერთმა ამომრჩეველმა ბიულეტენის გარეთ გატანა სცადა, რაც დამკვირვებელმა შენიშნა და აცნობა თავმჯდომარეს. თავმჯდომარემ და ნაკადის მარეგულირებელმა დააბრუნეს ამომრჩეველი და გამოართვეს ბიულეტენი.

აღნიშნული ამომრჩევლისთვის ხმის მიცემის უფლება აღარ მიუციათ. დღის ბოლოს ხმის, დათვლის პროცესის დაწყებამდე, კომისიის თავმჯდომარემ მოითხოვა, დამკვირვებლებს დაეტოვებინათ საარჩევნო უბანი იმ მოტივით, რომ ხმის დათვლის პროცესზე დაკვირვების უფლება მხოლოდ ორ დამკვირვებელსა და ორ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ჰქონდა. ამას მოჰყვა დამკვირვებლების დიდი წინააღმდეგობა და საბოლოოდ ყველა დამკვირვებელი, რომელიც ესწრებოდა არჩევნების პროცესს, დაესწრო ხმის დათვლის პროცესსაც.

5. რუსთავის N 20 საარჩევნო ოლქის N 88-ე საარჩევნო უბანი მდებარეობდა რუსთავის მე-17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ადამიანის უფლებათა ცენტრმა აქ რამდენიმე დარღვევა დააფიქსირა. მაგალითად, ერთ-ერთი მოქალაქის გრაფაში ხელი მოაწერა იგივე სახელისა და გვარის მქონე სხვა ამომრჩეველმა ისე, რომ რეგისტრატორს პირადი ნომრები არ შეუდარებია ერთმანეთისთვის, რის გამოც მოხდა შეცდომა. შეცდომა მას შემდეგ გამოიკვია, როდესაც უბანზე მოვიდა ამომრჩეველი და აღმოაჩინა, რომ მის მაგივრად სხვას ჰქონდა ხელი მოწერილი შესაბამის გრაფაში. რეგისტრატორმა კომისიის თავმჯდომარესთან და საოლქო კომისიის წარმომადგენელთან კონსულტაციების შემდეგ, იმავე გრაფაში ხელი მოაწერინა მეორე მოქალაქეს (რომლის პირადი ნომერი და მისამართი ემთხვეოდა სიაში არსებულს). რეგისტრატორმა აღნიშნულ ფაქტზე დაწერა ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა თავისი შეცდომა. შემდგომში აღნიშნული ახსნა-განმარტება გამოყენებული იქნა ხმის დათვლის პროცესში. რეგისტრატორის მეორე შეცდომა გახლდათ ის, რომ მან შემთხვევით ორი ბიულეტენი გადასცა ამომრჩეველს. ამის შესახებ მან კვლავ ახსნა-განმარტება დაწერა. ხმების დათვლისას მართლაც აღმოჩნდა ერთ კონვერტში ორი ბიულეტენი, რომელიც კომისიის წევრებმა ბათილად ჩათვალეს.

➤ შიდა ქართლი

ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები არჩევნებს აკვირდებოდნენ გორის ოლქის საარჩევნო უბნებზე, მათ შორის კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლებში (კარალეთი, ტყვიავი, მერეთი და სხვა). დამკვირვებლების მიერ რაიმე განსხვავებული დარღვევა არ დაფიქსირებულა, აქაც იყო, ძირითადად, პროცედურული დარღვევები. ამომრჩეველს ეძლეოდა შესაძლებლობა, შეფერხების გარეშე დაეფიქსირებინა საკუთარი არჩევანი. ტყვიავის ოლქში შემავალ უბნებში სხვა ოლქებთან შედარებით, იკვეთებოდა აგიტაციის ფაქტები. იყო შემთხვევები, როდესაც უბანზე იმყოფებოდნენ ადამიანები სამკერდე ნიშნის გარეშე. პროცედურული ხასიათის დარღვევებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლებმა რეგიონში დაწერეს 2 საჩივარი და 1 შენიშვნა ჩანაწერთა წიგნში.

1. #32 საარჩევნო ოლქის N2 საარჩევნო უბანში ამომრჩეველი, რომელმაც გაიარა შემოწმება ნაკადის მარეგულირებელთან, რეგისტრატორთან ვერ ნახა თავისი გვარი ამომრჩეველთა სიაში. იგი გავიდა უკან საჯაროდ გამოკრულ ამომრჩეველთა ერთიან სიაში თავისი გვარის მოსაძებნად. უკან დაბრუნებულს კი ხელახალი შემოწმების დროს დაუდგინდა მარკირების სითხე ორივე ხელის შესაბამის თითებზე, რაზეც ამომრჩეველის პასუხი იყო, რომ მას ხმა არსად არ მიუცია და არც მარკირება ჰქონდა გაკეთებული. ამომრჩეველი არ იქნა დაშვებული ხმის მისაცემად, გაკეთდა შესაბამისი ჩანაწერი ჩანაწერთა წიგნში და ამის შესახებ ეცნობა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.
2. #32 საარჩევნო ოლქის N64-ე საარჩევნო უბანში ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დააფიქსირა, როგორ უთხრა საარჩევნო კომისიის წევრმა ერთ-ერთ ამომრჩეველს: „41 ნომერი შემოხაზე!“ აღნიშნულის შესახებ დამკვირვებელმა აცნობა კომისიის თავმჯდომარეს, რასაც მისი მხრიდან კომისიის წევრის მკაცრი გაფთხილება მოჰყვა. მსგავს ფაქტს ადგილი აღარ ჰქონია. დღის ბოლოს დაფიქსირდა 4 მარკირებაგავლილი ადამიანი, რის შემდეგაც მათ დაატოვებინეს საარჩევნო უბანი. მათ არ მიეცათ ხმის მიცემის უფლება.
3. 32-ე ოლქის №17 საარჩევნო უბანზე, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, მოადგილემ და მდივანმა თითქმის ყველა პროცედურა კანონის ფარგლებში განახორციელეს. თუმცა, იყო რამდენიმე ხარვეზი, მაგალითად: კენჭისყრა უკვე დაწყებული იყო, მაგრამ არ იყო გამოვლენილი დამკვირვებლები, რომლებიც მონიტორინგს განახორციელებდნენ მდივნის საქმიანობასა და საჩივრების რეგისტრაციაზე. მითითების შემდეგ ხარვეზი გამოსწორდა. თითოეულ უბანზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი ამოწმებდა სადემონსტრაციო ოქმს, ეცნობოდა ჩანაწერთა წიგნს, ესაუბრებოდა კომისიის წევრებს და დამკვირვებლებს, იღებდა ინფორმაციას შენიშვნებისა და საჩივრების შესახებ, აკვირდებოდა ამომრჩეველის მიერ ხმის მიცემის პროცედურას.
4. ტყვიავის 92-ე საარჩევნო უბანზე, კერძოდ - საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა აგიტაციის შემთხვევებს. მსგავსი შემთხვევა იყო 64-ე საარჩევნო უბანზეც. იყო შემთხვევა, როდესაც საარჩევნო კომისიის წევრმა გასწია აგიტაცია საპრეზიდენტო კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის სასარგებლოდ, რაზეც კომისიის თავმჯდომარემ მოახდინა რეაგირება და საყვედური გამოუცხადა კომისიის წევრს. თითქმის ყველა საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე შეინიშნებოდა ხალხმრავლობა. იყო შემთხვევა, როცა აკრედიტაციის და შესაბამისი სამკერდე ნიშნის გარეშე კენჭისყრის ოთახში იმყოფებოდნენ ადამიანები. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლის მითითების შემდეგ თავმჯდომარემ აღნიშნულ პირებს დაატოვებინა უბანი და საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორია.

5. N 32 საარჩევნო ოლქის N100 საარჩევნო უბანზე დაახლოებით 11⁰⁰ სთ-ზე ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლისთვის ცნობილი გახდა, რომ ბიულეტენების ერთ-ერთ შეკვრას, რომელიც რეგისტრატორს ჰქონდა ჩაბარებული, არ ჰქონდა თავფურცელი. დამკვირვებელმა თავმჯდომარეს მოსთხოვა, განემარტა სად შეიძლებოდა ყოფილიყო თავფურცელი და იმ შემთხვევაში თუ საოლქო კომისიიდან ბიულეტენის შეკვრა თავფურცლის გარეშე მოვიდა, რატომ ჩააბარა რეგისტრატორს ბლოკნოტი ასეთი სახით. დამკვირვებელმა თავმჯდომარისგან ვერ მიიღო პასუხი. თავდაპირველად ის ამბობდა, რომ შეკვრა საოლქო კომისიიდან თავფურცელის გარეშე მოვიდა, შემდეგ ახსნა-განმარტებაში დაწერა, რომ თავფურცელი უბანზე დაიკარგა. ამის შესახებ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა დაწერა საჩივარი. გარდა აღნიშნულისა, საარჩევნო უბანზე 12³⁰ სთ-ზე შევიდა უცხო პირი, რომელიც იყო სამკერდე ნიშნის გარეშე. დამკვირვებლის მოთხოვნის შემდეგ მან წარმოადგინა საბუთი, რომელიც მისივე თქმით, ადასტურებდა, რომ ის იყო სახანძრო სამსახურის წარმომადგენელი და შესაბამისად ევალეზობდა, გაეკონტროლებინა უსაფრთხოება შენობაში. დამკვირვებელმა თავმჯდომარის მოადგილეს მოსთხოვა, გაეძევირებინა უცხო პირი საარჩევნო უბნიდან, მაგრამ ამ უკანასკნელმა შენობა მხოლოდ ცესკოს წარმომადგენელის ჩარევის შემდეგ დატოვა. ცოტა ხნის შემდეგ იგივე პირი შეინიშნა შენობის გარეთაც, საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე. დამკვირვებელმა მას კვლავ მოსთხოვა ახსნა-განმარტება, რის საფუძველზე იმყოფებოდა აღნიშნული პირი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე. მან კვლავ წარმოადგინა სახანძრო სამსახურის უფროსის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მას შენობის დათვალიერება ევალეზობდა უსაფრთხოების მიზნით, მაგრამ თარიღად მითითებული იყო 25 ოქტომბერი. ამის შემდეგ მოქალაქეს მოეთხოვა საარჩევნო უბნის ტერიტორიის დატოვება. აღნიშნული პირი აღარ გამოჩენილა საარჩევნო უბანზე.
6. 32-ე ოლქის 100-ე უბანზე საღამოს დაახლოებით 19⁰⁰ სთ-სთვის ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა შემთხვევით გაიგონა, როგორ ეუბნებოდა კომისიის მდივანი ნაკადის მარეგულირებელს, რომ უბანზე შემოვიდოდა ვინმე შმაგი რაზმამდე, რომელსაც ექნებოდა პირადობის მოწმობის ასლი და მას უბანზე ეს პირი უნდა შემოეშვა. დამკვირვებელმა საჩივრის დაწერისაგან თავი შეიკავა, რადგან არ ჰყავდა მოწმეები. ამის შესახებ მან გააფრთხილა სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლებიც, რომ ყურადღება მიექციათ უბანზე შემოსული პირებისთვის. ცოტა ხანში ნაკადის მარეგულირებელს სურდა ზემოთხსენებული პირის უბანზე შეშვება პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსერო-ასლით, მიუხედავად იმისა, რომ დამკვირვებლები მას წინააღმდეგობას უწევდნენ. დამკვირვებელმა დარეკა ადამიანის უფლებათა ცენტრის ცხელ ხაზზე და კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ ასეთი საბუთით უბანზე ამომრჩევლის დაშვება არ შეიძლებოდა. ამის შემდეგ პირს ეთხოვა,

დაეტოვებინა საარჩევნო უბანი. იგი წინააღმდეგობის გარეშე წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ კოალიცია „ქართული ოცნების“ კოორდინატორმა იკითხა, ვინ დაატოვებინა შმაგი რაზმამეს საარჩევნო უბანი. ნაკადის მარეგულირებელმა მიუთითა ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელზე. კოორდინატორმა მას მოსთხოვა პასუხი, რის საფუძველზე დამკვირვებელმა არ შეუშვა პირი უბანზე. მან განმარტა, რომ პიროვნებას მოთხოვა უბნის დატოვება იურისტთან კონსულტაციის შემდეგ. მიუხედავად ამისა, კოორდინატორმა დარეკა უცნობ პირთან, რომელსაც ჩააწერინა დამკვირვებლის სახელი, გვარი და უთხრა, რომ ამომრჩეველი ხელმეორედ მოვიდოდა უბანზე, რადგან მას ჰქონდა ხმის მიცემის უფლება. ამის შემდეგ, დამკვირვებელი იძულებული გახდა, დაერეკა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცხელ ხაზზე, სადაც ასევე განუმარტეს, რომ ასეთი პირის უბანზე შემოსვლა დარღვევა იყო. ცესკოდან განმარტების მიუხედავად, დამკვირვებელს წინააღმდეგობას უწევდნენ რეგისტრატორები, კომისიის თავმჯდომარე და თავმჯდომარის მოადგილე. კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დამკვირვებელს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და განაცხადა, რომ მათ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელი მთელი დღის განმავლობაში უშლიდა ხელს მუშაობაში. ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელმა თავმჯდომარის მოადგილეზე დაწერა საჩივარი, რომელიც გატარდა ჩანაწერთა წიგნში. კომისიის მდივანმა თავდაპირველად უარი განაცხადა საჩივრის დარეგისტრირებაზე და მხოლოდ მოწმეებისა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლების ჩარევის შემდეგ გახდა იძულებული, დაეფიქსირებინათ დამკვირვებლის საჩივარი. ზემოთხსენებული ამომრჩეველი საარჩევნო უბანზე აღარ გამოცხადებულა.

არჩევნების შემდგომი პერიოდი

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების შედეგები 2013 წლის 12 ნოემბერს შეაჯამა. საბოლოო შედეგების მიხედვით, გიორგი მარგველაშვილმა ხმების 62,12 % მოიპოვა, დავით ბაქრაძემ - 21,72 %, ნინო ბურჯანაძემ - 10,19 %, შალვა ნათელაშვილმა - 2,88 %, გიორგი თარგამაძემ - 1,06 %; დანარჩენი პრეზიდენტობის კანდიდატების პროცენტულმა მაჩვენებელმა ვერ გადააჭარბა 1%-ს. კანონმდებლობის მიხედვით, ცესკოს არჩევნების შედეგების შეჯამების ვადა 16 ნოემბრის ჩათვლით ჰქონდა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ 12 ნოემბრისათვის არანაირი საარჩევნო დავა აღარ მიმდინარეობდა არც ერთ ინსტანციაში, ცესკომ კანონით განსაზღვრულ ვადაზე 4 დღით ადრე შეძლო პრეზიდენტის არჩევნების შედეგების შეჯამება.

ცესკოს ინფორმაციით, არჩევნების დანიშვნის დღიდან მის დასრულებამდე (2013 წლის 1 ივლისი - 12 ნოემბერი) საარჩევნო უბნებში სულ შევიდა 417 განცხადება/საჩივარი,

საოლქო საარჩევნო კომისიებში შევიდა 374 განცხადება/საჩივარი. ცესკოში შევიდა 43 საჩივარი. საარჩევნო უბნების ადმინისტრაციის მონაწილეობით საანგარიშო პერიოდში გაიმართა 33 სასამართლო პროცესი, საოლქო საარჩევნო კომისიების მონაწილეობით 6 სასამართლო პროცესი ხოლო, ცესკოს მონაწილეობით კი 14 სასამართლო პროცესი.

საარჩევნო ადმინისტრაციამ შეადგინა 13 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გაუგზავნა შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოებს, ადმინისტრაციული საქმეების განსახილველად. საოლქო საარჩევნო კომისიებმა ბათილად მიიჩნია 2 საარჩევნო უბნის შედეგი, ასევე გაბათილდა 5 საარჩევნო უბნის გადასატანი ყუთის შედეგი. საოლქო საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებით, გადაითვალა 8 საუბნო საარჩევნო კომისიის საარჩევნო ბიულეტენები, ხოლო სასამართლოს გადაწყვეტილებით №22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიას დაევა 3 საარჩევნო უბნის საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა გადათვლა.

ცესკოს მიერ შედეგების საბოლოოდ შეჯამების შემდეგ ერთადერთი სარჩელი, რომელიც შევიდა სასამართლოში, იყო ლეიბორისტული პარტიის სარჩელი. გასაჩივრდა ცესკოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება. საქალაქო სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ლეიბორისტულმა პარტიამ სააპელაციო საჩივარიც შეიტანა, სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა აღნიშნული გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოა და აღარ საჩივრდება. პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თავისი უფლებების დასაცავად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართავს, კანონით დადგენილ 6-თვიან ვადაში.

რაც შეეხება საარჩევნო უბნებს, არჩევნების შემდგომ გამოიკვეთა შემდეგი სურათი:

- **აჭარა**

ქობულეთის ოლქში მხოლოდ ერთი - 65-ე საარჩევნო უბნის შედეგები გაუქმდა. გაუქმების მიზეზი საკონტროლო ფურცლის არასრულად შევსება გახდა. ამის გამო კომისიის არც ერთ წევრს ფულადი ჯარიმა არ დაკისრებია.

ხულოს საარჩევნო ოლქში მხოლოდ 1 საჩივარი განიხილეს, რომელიც „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელმა დაწერა. როგორც საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნოდარ მელაძე აცხადებდა, დამრღვევს გაფრთხილება მიეცა.

ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში 8 საჩივარი განიხილეს. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ომარ ვარშანიძის განცხადებით, ორი საჩივრის გარდა, ყველა საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

ქობულეთის საარჩევნო ოლქში 16 საჩივარი განიხილეს, რომელთა ძირითადი ნაწილი პროცედურულ დარღვევებს ეხებოდა.

ქედის საარჩევნო ოლქში სულ 5 საჩივარი შევიდა. ძირითადად, საქმე პროცედურულ დარღვევებთან გვეკონდა. ყველა მათგანი დაკმაყოფილდა. დამრღვევებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრათ.

სხვა ოლქებისაგან განსხვავებით 23 საჩივარი შევიდა ბათუმის ოლქში. როგორც ოლქის თავმჯდომარე, კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, საჩივრებიდან რამდენიმე დაკმაყოფილდა: მე-2, 21-ე და 97-ე უბნების კომისიის რამდენიმე წევრს 10 დღის ხელფასი დაეკვითა.

- **კახეთი**

კახეთში არსებითი დარღვევები, რომლებიც საარჩევნო უბნების შედეგების ბათილობას გამოიწვევდა, არ დაფიქსირებულა. ძირითადი პასუხისმგებლობის სახეები, რაც დარღვევებისთვის კომისიის წევრებს დაეკისრათ, შენიშვნა და გაფრთხილება იყო.

საგარეჯოს საოლქო კომისიაში სულ ორი საჩივარი დაფიქსირდა. ლეიბორისტული პარტიის საჩივარი, რომელიც უკავშირდებოდა შემაჯამებელ ოქმთან დაკავშირებულ უთანხმოებას, რაც განუხილველად იქნა დატოვებული, რადგან საჩივარს კომისიის მდივანმა დაუდგინა ხარვეზი და მისცა ხარვეზის გამოსასწორებელი დრო. ამ დროის განმავლობაში ხარვეზი მხოლოდ ნაწილობრივ გამოსწორდა, რის გამოც საჩივარი დარჩა განუხილველი. მეორე საჩივრის ავტორი იყო საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. საჩივარი ეხებოდა შემაჯამებელ ოქმში ნაკვეთურების არარსებობის ფაქტს. აღნიშნული საჩივრის განხილვისას შენიშვნა მიეცათ 06-ე, 09-ე, 22-ე, 29-ე, 35-ე, 48-ე საარჩევნო უბნების თავმჯდომარეებსა და 48-ე საარჩევნო უბნის მდივანს. 17-ე საარჩევნო უბნის თავმჯდომარესა და მდივანს გამოუცხადეს გაფრთხილება.

გურჯაანის N12 საოლქო საარჩევნო კომისიაში სულ დაფიქსირდა 22 საჩივარი. მათგან ერთი საჩივრის საფუძველზე, რომლის ავტორი იყო ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შედგა.

სიღნაღი საჩივართა სიმრავლით არ გამოირჩეოდა. აქ ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ერთი საჩივარი შეადგინა. საჩივარი წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) მოთხოვნათა დარღვევებს შეეხებოდა. ამასთან დაკავშირებით შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი.

დედოფლისწყაროს N 14 საოლქო საარჩევნო კომისიაში შევიდა ორი საჩივარი, კენჭისყრის პროცედურის დარღვევასთან დაკავშირებით. არცერთი მათგანი არ დაკმაყოფილდა.

ლაგოდების, ახმეტისა და ყვარლის საარჩევნო ოლქში არც ერთი საჩივარი არ დაფიქსირებულა.

თელავის საარჩევნო საოლქო კომისიაში ექვსი საჩივარი შევიდა. აქედან ყველა განიხილეს და დააკმაყოფილეს, მომჩივანი მხარეები, ძირითადად, აქცენტს აკეთებდნენ პროცედურული ნორმების დარღვევაზე.

- იმერეთი

ქუთაისის 59-ე საარჩევნო ოლქის დაქვემდებარებაში იყო 127 საარჩევნო უბანი და 2 სპეცუბანი. აღნიშნულ ოლქში იყო საარჩევნო უბნები, სადაც დარღვევები, როგორც რიცხობრივად, ასევე მნიშვნელობითაც, საკმაოდ მასშტაბური იყო. მაგალითად, 71-ე საარჩევნო უბანზე ყუთი იყო დაულუქავი და ამის შესახებ დაიწერა კიდევ საჩივარი. საჩივრის განხილვის შედეგად კომისიის წევრებმა მიიღეს შენიშვნა.

65-ე საარჩევნო უბანში, დარღვევების საფუძველზე, ჯერ ხმების ბათილობის საკითხი დადგა, მოგვიანებით კი პრობლემა უბნის კომისიის სასარგებლოდ გადაწყდა. იყო საკონტროლო ფურცლის პრობლემა, ანუ ფურცელზე არ ფიქსირდებოდა პირველი ამომრჩევლის პირადი მონაცემები. ყუთი უკვე დალუქული იყო და ბუნებრივია, მისი მთლიანობა ვერ დაირღვეოდა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ყუთის გახსნის დროს იდენტიფიცირებული ყოფილიყო სამივე საკონტროლო ფურცელი, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ - კომისიის მდივანმა საკუთარი ინიციატივით, კომისიის თავმჯდომარესთან და კომისიის შემადგენლობასთან შეუთანხმებლად, პირველ ამომრჩეველს (რომელიც იმავე უბნის კომისიის წევრი იყო) ერთ-ერთ საკონტროლო ფურცელზე მოაწერინა ხელი. შესაბამისად, ერთზე აღმოჩნდა ხელმოწერა, ორზე - არა. თავისთავად ცხადია, ეს საკმარისი დარღვევა იყო საიმისოდ, რომ დამდგარიყო უბნის ბათილობის საკითხი. თუმცა, საბოლოოდ საკითხი ასე არ გადაწყდა. საოლქო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე კომისიის 6-მა წევრმა ბათილობას დაუჭირა მხარი, 6-მა - არა. შედეგად, კომისიის თავმჯდომარემ ისარგებლა თავისი უფლებამოსილებით საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით და ხმა მისცა უბნის შედეგების ბათილობას. თუმცა, საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, უბნის ბათილობას სჭირდება ხმების 2/3, რაც არ აღმოჩნდა და ბუნებრივია, უბნის შედეგების ბათილობის საკითხი საბოლოოდ ვერ გადაწყდა. რაც შეეხება სანქციებს, საარჩევნო უბნის თავმჯდომარეს ხელფასიდან დაეკითა 100%, ხოლო მდივანს - 50 %. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ კომისიის შემადგენლობა არ იყო სათანადოდ მომზადებული, რაც აისახა კიდევ იმ პროცედურულ დარღვევებზე, რომელიც მრავლად იყო სხვადასხვა უბანზე.

- ქვემო ქართლი

ქვემო ქართლის საარჩევნო უბნებზე ათობით საჩივარი დაიწერა.

საჩივრების უმრავლესობა არჩევნების დღეს უბანზე დაშვებულ პროცედურულ დაღვევებს ეხებოდა. შეცდომები იყო შემაჯამებელი ოქმის შევსების დროს, რამაც განაპირობა არაერთი საჩივრის დაწერა. შემაჯამებელი ოქმი შედგა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევით წალკის 39-ე, 38-ე, 32-ე, 29-ე, 27-ე, 24-ე, 22-ე, 17-ე, 16-ე, 04-ე, 05-ე, 11-ე, 15-ე, 20-ე, 33-ე, 27-ე, 31-ე და 42-ე საარჩევნო უბნებში. კერძოდ, ზემოაღნიშნულ უბნებში შედგენილ შემაჯამებელ ოქმებში საარჩევნო სუბიექტთა მიერ მიღებული ხმების გრაფები დატოვებული იყო ღიად. საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, ღიად დარჩენილი გრაფები უნდა იყოს შევსებული ჯვრებით ან ნულებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემაჯამებელი ოქმის გაყალბების შესაძლებლობა. არც ერთი აღნიშნული საჩივარი არ დაკმაყოფილდა. საოლქო კომისიამ თავის გადწყვეტილებებში აღნიშნა, რომ საარჩევნო კოდექსი შემაჯამებელი ოქმის შევსებისას მსგავს ვალდებულებას არ აწესებს. აღნიშნულ შინაარსის ათობით საჩივარი შევიდა რეგიონის საოლქო საარჩევნო კომისიებში, მაგრამ არც ერთი არ დაკმაყოფილდა.

მარნეულის მე-4 უბანზე დაწერილ საჩივარში ვკითხულობთ: „ერთ-ერთმა რეგისტრატორმა, ელმირა მამედოვამ მოქალაქეს ხმა მიაცემინა მართვის მოწმობით“. საჩივარი საოლქო კომისიის მიერ არ დაკმაყოფილდა, სამართლებრივი საფუძველის არ არსებობის გამო.

ასევე არ დაკმაყოფილდა „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ წარმომადგენლის, კობა დარბაიძის საჩივარი. 22-ე მარნეულის ოლქი, უბანი 42-ე, საჩივრის ავტორის განმარტებით „თავმჯდომარე არასრულწლოვნებს აძლევდა უფლებას, მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში“, მოთხოვნა - 42-ე საარჩევნო უბნის შედეგების ბათილად ცნობა, არ დაკმაყოფილდა.

ქვემო ქართლის რეგიონში დაიწერა საჩივრები საარჩევნო უბნებზე მომხდარ რამდენიმე დარღვევაზე.. „22-ე მარნეულის საარჩევნო ოლქის 40-ე საარჩევნო უბანზე არ აღმოჩნდა ბიულეტენების მიღება-ჩაბარების აქტი, საარჩევნო ბიულეტენები ინახებოდა ფანჯრის რაფაზე, ამომრჩევლებს არ თხოვდნენ პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს, არ ფუნქციონირებდა სარეგისტრაციო ჟურნალი. კომისიის თავმჯდომარე შენიშვნებზე არ რეაგირებდა“. მოთხოვნა - 40-ე უბნის ბათილად ცნობა, არ დაკმაყოფილდა.

ქვემო ქართლში შესული საჩივრების, მხოლოდ მცირე ნაწილი დაკმაყოფილდა. საჩივრების უმრავლესობაზე საოლქო საარჩევნო კომისიებმა განაცხადეს, რომ

„მომჩივანის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არ არსებობის გამო“.

- **გურია**

დაწერილი საჩივრები უფრო პროცედურული ხასიათისა იყო და საარჩევნო კომისიების წევრთა არაკომპეტენტურობის შედეგი უფრო იყო, ვიდრე არჩევნების გაყალბების მიზნით ჩადენილი გადაცდომები.

დარღვევები, რომლებიც გურიაში დაფიქსირდა, კანონის უცოდინრობით იყო გამოწვეული. მაგალითად, ლანჩხუთის 6-ე უბანზე გადასატან ყუთს ერთი საარჩევნო სუბიექტის ორი წარმომადგენელი გაყვა. საოლქო კომისიაში დაიწერა საჩივარი. საოლქო კომისიის გადაწყვეტილებით, გადასატანი ყუთის საშუალებით მიცემული ხმები ბათილად იქნა ცნობილი, ხოლო უბნის თავმჯდომარესა და მდივანს მიეცათ გაფრთხილება.

ლანჩხუთის მე-7 საარჩევნო უბანზე 17:45 წთ-ზე დაფიქსირდა, რომ რეგისტრატორის ბეჭედს არ ჰქონდა ნაკვეთური. საოლქო კომისიაში შევიდა საჩივარი. საოლქო კომისიის გადაწყვეტილებით, უბეჭდო ბიულეტენები ბათილად იქნა ცნობილი, ხოლო კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს დაეკისრათ ადმინისტრაციული სახდელი და მიეცათ გაფრთხილება.

ჩოხატაურის №62 საოლქო კომისიის №31 საარჩევნო უბანზე გადასატანი ყუთი 24 ამომრჩეველთან უნდა მისულიყო. თუმცა, რეგისტრაციის ჟურნალში 23 ამომრჩეველი იყო დაფიქსირებული. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებდა, რომ დაფიქსირებული არ იყო, მაგრამ იცოდა, ვისთან უნდა მისულიყო ყუთი. აღნიშნულ ფაქტზე საჩივარი დაწერა ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელმა. კომისიის მდივანმა შენიშვნა მიიღო. ამომრჩეველს რომელიც სიაში, არ იყო არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

- **შიდა ქართლი**

გორის N32 საარჩევნო ოლქში, საპრეზიდენტო არჩევნების დღის ხარვეზებთან დაკავშირებით, ცხრა საჩივარი დაიწერა. აქედან საოლქო საარჩევნო კომისიამ ერთი სრულად, ექვსი ნაწილობრივ, ორი კი საერთოდ არ დააკმაყოფილა. საჩივრები, ძირითადად, ისეთი საარჩევნო პროცედურების დარღვევას ეხებოდა, როგორც არის: ბეჭედზე ნაკვეთურების არარსებობა, შემაჯამებელ ოქმში ჩასწორება, შესწორების ოქმის არარსებობა, შემაჯამებელ ოქმებზე ბეჭედის არარსებობა, 57-ე, 60-ე, 97-ე და 101-ე საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმებში მონაცემები იყო გადასწორებული, რასაც თან არ ერთვოდა შესწორების ოქმები. აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივარი შევიდა გორის 32-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში, მოთხოვნა: კომისიის

თავმჯდომარეებისა და მდივნების ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაყენება, რაც საოლქო საარჩევნო კომისიამ ოთხივე უბნის შემთხვევაში დააკმაყოფილა, აღნიშნული დარღვევები არ ცვლიდა არჩევნების შედეგებს და აქედან გამომდინარე, კომისიის თავმჯდომარეებისა და მდივნების მიმართ არ იქნა მოთხოვნილი დისციპლინარული პასუხისმგებლობით გათვალისწინებული მკაცრი სასჯელის ფორმა - 2000-ლარიანი ჯარიმა. გასათვალისწინებელი იყო ადამიანური ფაქტორი, რადგან არ იკვეთებოდა განზრახ დანაშაული. საოლქო კომისიამ დისციპლინარულ პასუხისმგებლობად ხელფასის 10% და 20 % დაქვითვა დაადგინა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა საჩივარი შეიტანა 1, 51-ე, 63-ე და მე-80 უბნებზე დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებით, სადაც ბექედის გარეშე იყო ოქმები. ჩვენი მოთხოვნები ადმინისტრაციული სასჯელის გამოყენებასთან დაკავშირებით, დაკმაყოფილდა.

საჩივრების ძირითადი ნაწილი ეხებოდა ტექნიკურ დარღვევებს. მაგალითად, იყო შემთხვევა, სადაც შემაჯამებელ ოქმთან დაკავშირებით, კირბალის 57-ე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს დისციპლინარულ პასუხისმგებლობად დაესკირა ხელფასის 10%-ით დაქვითვა, რადგან შემაჯამებელ ოქმზე ჩასწორება კალმით იყო გაკეთებული. ანალოგიური დარღვევა იყო კიდევ რამდენიმე უბანზე. 60-ე საარჩევნო უბანზე შემაჯამებელ ოქმში იყო რამდენიმე შეცდომა. კერძოდ, ოქმზე არ იყო ბექედი დარტყმული. თუმცა, დამკვირვებლების მიერ წარმოდგენილი ოქმები იყო ბექედით დამოწმებული, რის გამოც საოლქო საარჩევნო კომისიამ დისციპლინარულ პასუხისმგებლობად გამაფრთხილებელი შენიშვნები მისცა თავმჯდომარესა და მდივანს.

N98-ე უბანზე ბექდს არ ჰქონდა ნაკვეთური, რაც საარჩევნო პროცედურის დაღვევად ჩაითვა და დაკმაყოფილდა საჩივარი.

N32 გორის საარჩევნო ოლქის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, ამომრჩევლის რაოდენობა 110 916 შეადგენდა, აქედან არჩევნებში მონაწილეობა 51 606 ამომრჩეველმა მიიღო, ოლქში შემავალი საარჩევნო უბნების მონაცემებით 715 ბიულეტენი იქნა ბათილად ცნობილი.

დასკვნა

მართალია, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, ძირითადად, მშვიდ და სამართლიან გარემოში მიმდინარეობდა, მაგრამ არჩევნების დღეს არაერთი დარღვევა დაფიქსირდა. საპრეზიდენტო არჩევნები წინა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით, უფრო გამჭვირვალე იყო. მნიშვნელოვნად იკლო ე.წ. „სპეცუბნების“ რაოდენობამ, სამხედრო მოსამსახურეებს და შსს თანამშრომლების დიდ ნაწილს საშუალება მიეცათ, ხმა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მიეცათ სასურველი კანდიდატისთვის. წინა წლებში ჩატარებულ არჩევნებში ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლები მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, ხმა რეგისტრაციის ადგილის მიხედვით მიეცათ.

საარჩევნო უბნებზე კვლავ ფიქსირდებოდა საზოგადოებისათვის უცნობი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების ყოფნის ფაქტები. აღნიშნული დამკვირვებლები სწორად ვერ ასახელებდნენ რომელ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ და მათი ორგანიზაციის დაარსების ზუსტ თარიღს და ა.შ. ასეთი ტიპის ე.წ. „დამკვირვებლები“, სავადაუდოდ, საარჩევნო სუბიექტების სატელიტ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ, რაც მართალია, კანონდარღვევა არ არის, მაგრამ ჩრდილს აყენებს საარჩევნო პროცესში სამართლიანობის პრინციპს. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო უბნებზე არ ხდებოდა ამომრჩევლების ორგანიზებული მიყვანა მიკროავტობუსებით და მათი კონტროლი პარტიის კოორდინატორთა მიერ, რაც დამახასიათებელი იყო წინა არჩევნებისათვის.

არჩევნების დღეს ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ საუბნო საარჩევნო კომისიების ჩანაწერთა წიგნში დაიწერა 9 შენიშვნა. საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ შენიშვნების გაუთვალისწინებლობის გამო. ასევე, დაიწერა 8 საჩივარი.

რაც შეეხება დარღვევებთან დაკავშირებულ ტენდენციებს, საქართველოს ექვსივე რეგიონის მასშტაბით, შეიმჩნეოდა:

- ✓ ბიულეტენების საჭიროზე ნაკლები რაოდენობის გადაცემა საუბნო საარჩევნო კომისიისათვის;
- ✓ ბიულეტენების და სპეციალური კონვერტების რიცხოვნობრივად შეუსაბამობა;
- ✓ საარჩევნო უბანზე საპრეზიდენტო კანდიდატების რეალურად ორ წარმომადგენელზე მეტის მისვლა.
- ✓ საარჩევნო უბნის ბეჭდისა და რეგისტრატორის ბეჭდებზე შესაბამისი ნაკვეთურების არარსებობა;
- ✓ აგიტაციის ფაქტები საარჩევნო უბნების ტერიტორიაზე;
- ✓ საარჩევნო დოკუმენტაციის არასრულყოფილად/არასწორად შევსების ფაქტები;
- ✓ კომისიის წევრების საარჩევნო კანონმდებლობის არცოდნა.

- ✓ კვლავ იდგა ამომრჩეველთა სიების პრობლემა, კერძოდ - ამომრჩეველთა ნაწილმა საკუთარი თავი ვერ აღმოაჩინა არჩევნების დღეს საარჩევნო სიაში. გარდაცვლილი ადამიანების გარკვეული რაოდენობა კვლავ რჩებოდა სიებში.

რეკომენდაციები

- ✓ აუცილებელია, გაგრძელდეს საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგების გზით. კერძოდ, საარჩევნო კომისიების წევრებს მეტი კვალიფიკაცია და ცოდნა სჭირდებათ საარჩევნო დოკუმენტაციის შევსების წესებთან დაკავშირებით, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შევსებასთან დაკავშირებით და საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით.
- ✓ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება ყველა ეტაპზე უფრო გამჭვირვალე გახდეს; საარჩევნო კომისიებში აღარ მოხდნენ ის პირები, რომელთა გადაცდომებსა და დარღვევებზე კონკრეტული საჩივრები არსებობს.
- ✓ წინასაარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შეზღუდვის მიზნით, მკაფიო ზღვარი უნდა გაივლოს მმართველი პარტიის საარჩევნო კამპანიასა და ხელისუფლების საქმიანობას შორის.
- ✓ მნიშვნელოვანია, წინასაარჩევნოდ ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლება საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით - ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.
- ✓ ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამომრჩეველთა სიების დასახვეწად. საქართველოს იუსტიციის სახლის შესაბამისმა სამსახურმა და საარჩევნო ადმინისტრაციამ ერთად დაიწყოს საარჩევნო სიების დახვეწა. სრულყოფილი და ზუსტი სურათის მისაღებად, აუცილებელია, განხორციელდეს მოსახლეობის საყოველთაო-სახალხო აღწერა.
- ✓ ცენტრალური საარჩევნო კომისია უნდა ეცადოს, რომ საარჩევნო უბნები მაქსიმალურად ადაპტირებული იყოს შეზღუდული შესაძლებლობების ამომრჩევლისთვის.

- ✓ საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით დაწესდეს შეზღუდვა და შესწორებები არჩევნებამდე მინიმუმ 3 თვით ადრე განხორციელდეს.
- ✓ ნათლად ჩამოყალიბდეს კონსტიტუციური ნორმა ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების რეგლამენტაციასთან დაკავშირებით, რითაც ხაზგასმით ჩამოყალიბდეს პრეზიდენტის თანამდებობის დაკავებისა და პრეზიდენტის კანდიდატად დარეგისტრირების სავალდებულო კრიტერიუმები.
- ✓ საარჩევნო კოდექსში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს მითითება, თუ რომელი საარჩევნო სუბიექტი ან ნომერი უნდა ჩანდეს წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამაში. პოლიტიკურ რეკლამაში გარკვევით უნდა ჩანდეს, თუ ვინ წარმოადგენს რეკლამის დამკვეთს, მათ შორის - ისეთ რეკლამებში, რომლებიც ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩენს მოწინააღმდეგე პოლიტიკურ სუბიექტს.